

178

1966

VI-3.

178
1966.



საგჭოთა სამართალი


საქართველოს 33 ტენჯილური კომიჯივის გარმთხეობა

1966

2

„ყრილობა მოითხოვს ადმინისტრაციული ორგანოებისაგან გადაჭრით გააძლიერონ ბრძოლა დამნაშავეობასთან და უწინარეს ყოვლისა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობებთან, სოციალისტური კანონიერების დარღვევათა აღმოსაფხვრელად. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობისადმი დამნაშავეობასთან ბრძოლისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულების საქმეში“.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის რეზოლუციიდან.



საბჭოთა სამართალი

№ 2

მარტი—აპრილი

1966 წელი

გამოცემის XIII

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

ზინაარსი

საბჭოთა მართლმსაჯულების ლენინური პრინციპები	3
შ. პაპიძე — სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საწყისების შეხამების შესახებ საბჭოების მოღვაწეობაში	12
თ. წერეთელი — ფინალური თეორია ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში და მისი კრიტიკა	25
გ. მოხესიანი — საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების მოვალეობის შესახებ	38
ე. ნეიძე — მუშაკის სამუშაოდან გადაყენება და დათხოვნა	45
თ. მოღვაძე — სანოტარო მოქმედების ზოგიერთი საკითხი	52
გ. კვარაცხელია — კანონის ენის შესახებ	56

10-196

რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის

ვ. აბაშმაძე — უფლებრივი თანასწორობის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“	67
--	----

ქალთა საერთაშორისო აღმსარებლის

მ. ვაყელიშვილი — საქართველოში მოღვაწე პირველი ადვოკატი ქალები	77
---	----

ჩვენი ინტერვიუ

ლ. ისაკაძე — პროფ. რ. თ. ხალფინა თბილისში	83
ინფორმაცია	85
მმაჩის ორგანოების პრაქტიკა	88
არბიტრაჟის პრაქტიკა	91
სასამართლო პრაქტიკა	94



СОДЕРЖАНИЕ

Ленинские принципы советского правосудия	3
III. Папидзе — О сочетании государственных и общественных начал в деятельности Советов	12
Т. Церетели — Финальная теория в буржуазном уголовном праве и ее критика	25
Г. Мосесян — Об обязанности доказывания в советском уголовном процессе	38
Е. Неидзе — Смещение и увольнение работника с должности	45
Т. Модебадзе — Некоторые вопросы нотариального действия	52
Г. Кварацхелиа — Об языке закона	56

К 800-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ РУСТАВЕЛИ

В. Абашмадзе — Правовое равенство в «Витязе в тигровой шкуре»	67
--	----

К МЕЖДУНАРОДНОМУ ДНЮ ЖЕНЩИН

М. Вакелишвили — Первые женщины-адвокаты Грузии	77
--	----

НАШ ИНТЕРВЬЮ

Л. Исакадзе — Проф. Р. О. Халфина в Тбилиси	83
Информация	85
Практика органов ЗАГСа	88
Практика арбитража	91
Судебная практика	94

შგ. № 1097
ტირაჟი 5700
შგ 09271

სარედაქციო კოლეგია

**ო. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
პ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინჭკირველი,
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,
ს. ჯორბენაძე.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გადაეცა წარმოებას 22/III-66 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IV-66 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

საბჭოთა მართლმსაჯულების დანიშნუი პრინციპები

ვ. ი. ლენინის უკვდავ მოძღვრებაში სოციალისტურ სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბჭოთა მართლმსაჯულების საკითხებს. მათი ღრმად შესწავლა და ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს საბჭოთა მართლმსაჯულების სწორად განხორციელების გარანტიას, მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საფუძველს.

ვ. ი. ლენინი პირადად ხელმძღვანელობდა საბჭოთა სასამართლო სისტემის შექმნას, უშუალოდ მონაწილეობდა მართლმსაჯულების შესახებ პირველი, დამფუძნებელი აქტების შემუშავებაში, აქტიურად ადევნებდა თვალს იუსტიციის ორგანოების საქმიანობას და დაუყოვნებლივ ახდენდა სათანადო რეაგირებას მათ მუშაობაში დაშვებულ შეცდომებზე.

ვ. ი. ლენინმა, რომელიც თანამიმდევრულად იცავდა და აწვითებდა კლასობრივი იუსტიციის მარქსისტულ იდეას, ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დაასაბუთა ბურჟუაზიული სასამართლოს მოსპობის აუცილებლობა, სასამართლოს, რომელიც „ვითომ წესრიგის დაცვას წარმოადგენდა, ნამდვილად კი ბრმა, მოქნილი იარაღი იყო ექსპლოატირებულთა უღმობელი დათრგუნვისა, მდიდართა ინტერესების დაცვისა“¹.

განთქმულ ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია“ ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ რევოლუციური პროლეტარიატი ხელისუფლების დაპყრობისთანავე დაამსხვრევს ბურჟუაზიულ სახელმწიფო აპარატს და ქვას ქვაზე არ დატოვებს ძველი ბიუროკრატიული სასამართლოს სისტემიდანო. დიდი ბელადის წინასწარხედვა სავსებით გაამართლა ოქტომბრის რევოლუციის მსვლელობამ, როდესაც „რევოლუციური მასები, 1917 წ. 25 ოქტომბრის შემდეგ, სწორ გზას დაადგინენ და რევოლუციის ცხოველმყოფელობა დაამტკიცეს, როდესაც იწყეს თავიანთი, მუშათა და გლეხთა, სასამართლოების მოწყობა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სასამართლოს აპარატის დაშლის შესახებ ჯერ კიდევ ყოველგვარი დეკრეტების გამოცემამდე“².

სასამართლოს შესახებ პირველმა დეკრეტმა, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოქვეყნდა 1917 წლის 24 ნოემბერს, ოფიციალურად გააუქმა მეფის რუსეთის ყველა არსებული სასამართლო უწყება და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა სასამართლოს.

ვ. ი. ლენინმა დაამუშავა და დაასაბუთა ახალი საბჭოთა სასამართლოს ამოცანები, განსაზღვრა მათი როლი და ადგილი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში, ჩამოაყალიბა საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპები.

ვ. ი. ლენინის ცნობილი სტატიის „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ პირვანდელ მონასახში, რომელიც 1918 წლის მარტშია დაწერილი,

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 542.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 344.



საბჭოთა სასამართლოსა და მის ამოცანებს მიძღვნილი აქვს სპეციალური თავი. თუნდაც მარტო ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი სასამართლოებს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში.

აღნიშნულ მოწინააღმდეგეში ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ უპირველეს ყოვლისა ახალი სასამართლოები საჭიროა იმ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელნიც ცდილობენ აღადგინონ თავიანთი ბატონობა. მაგრამ ამასთან ერთად ვ. ი. ლენინი იქვე დასძენს, რომ „სასამართლოებს, თუ ისინი მართლა მოწყობილია საბჭოთა დაწესებულებების პრინციპის მიხედვით, ეკისრებათ სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა. ეს ამოცანაა — შრომელთა დისციპლინისა და თვითდისციპლინის უმკაცრესი გატარების უზრუნველყოფა“¹. თვით სტატიაში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ (1918 წლის აპრილი) ვ. ი. ლენინი კვლავ ხაზგასმით მიუთითებს, რომ „სასამართლო არის დისციპლინის აღზრდის იარაღი“².

გამოდირდა რა საბჭოთა ხელისუფლების განვითარების პერსპექტივებიდან ვ. ი. ლენინი პარტიის პროგრამის მომზადებასთან დაკავშირებით მოითხოვდა საბჭოთა სახელმწიფოს სასამართლო პოლიტიკის განხორციელებას ისეთი ღონისძიებების თანმიმდევრულად გატარებით, როგორიცაა: პირობითი მსჯავრისა და საზოგადოებრივი გაკიცხვის უფრო ფართოდ გამოყენება, თავისუფლების აღკვეთის შეცვლა შრომა-გასწორების სამუშაოებით, საპრობილემების შეცვლა აღმზრდელობით დაწესებულებებით და ამხანაგური სასამართლოების შემოღება გარკვეული კატეგორიის საქმეების განსახილველად³.

ვ. ი. ლენინი მითითებებს საბჭოთა სასამართლოს აღმზრდელობითი როლის შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე პირობებში, როდესაც ადამიანის აღზრდა კომუნისტური მორალისა და შეგნებულობის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით წარმოადგენს პრაქტიკულ საქმეს, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შემადგენელ ნაწილს, როდესაც პარტიამ დააყენა ამოცანა „უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დამნაშავეობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმომშობი ყველა მიზეზი“⁴.

საბჭოთა სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით აქტიურად უწყობს ხელს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, ადამიანთა შეგნებაში წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრას, მოქალაქეების აღზრდას სამშობლოსა და კომუნისმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით. „სასამართლო არა მარტო სჯის დამნაშავეებს, არამედ აგრეთვე მიზნად ისახავს მათ გამოსწორებასა და ხელახლად აღზრდას“ (სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლი).

ვ. ი. ლენინი სასამართლო ორგანოებისაგან მოითხოვდა შეუწყნარებლად ებრძოლა საბჭოთა კანონიერებისა და მართლწესრიგის დამრღვევთა წინა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 252.

² იქვე, გვ. 315.

³ იხ. В. И. Ленин, Полн. собр. соч. т. 38, стр. 408.

⁴ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ. 1961, გვ. 112.

აღმდეგ, გამოერკვიათ ყველა ჩადენილი დანაშაული და მიეღოთ გადამწყვეტი ზომები დამნაშავეთა დასასჯელად.

ვ. ი. ლენინი მკაცრად ილაშქრებდა სასამართლოების მხრივ დამნაშავეთა მიმართ რაიმე ლოიალობისა და შემწყნარებლობის გამოჩენის წინააღმდეგ. 1922 წლის 31 მარტს იუსტიციის სახალხო კომისრის დ. ი. კურსკისადმი გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი წერს, რომ მოსკოვის რევტრიბუნალი, რომელმაც განიხილა საქმე სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილებისა და გამოგონებათა საქმეების კომიტეტში გამეფებული დანაშაულებრივი დაუდევრობის, გაჯანჯლებისა და უმოქმედობის შესახებ, „უაღრესად მფარველურად მოეპყრო ბრალდებულთ, გაასამართლა უბრალოდებლოდ, ბოლოს და ბოლოს დაუმტკიცებლად ცნო ბრალდება და ყველა დამნაშავე გაამართლა“¹.

ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი წინადადებას იძლევა, რომ რევტრიბუნალს ხელის დაფარებისათვის და საქმისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულებისათვის სასტიკი საყვედური გამოეცხადოს“².

ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად საბჭოთა მართლმსაჯულების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, დამნაშავეთა მხილება და კანონის სწორი გამოყენებით იმის უზრუნველყოფა, რომ თითოეული დანაშაულის ჩამდენი სამართლიანად დაისაჯოს.

საბჭოთა სასამართლო სჯიდა და ახლაც მკაცრად სჯის იმ პირებს, რომლებსაც არ სურთ ეზიარონ პატიოსან შრომით ცხოვრებას, რომლებიც უხეშად არღვევენ სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებს, ხელს უშლიან კომუნისტური მშენებლობის გზაზე ჩვენს წინსვლას. საბჭოთა დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება, სასამართლოს აღმზრდელობითი როლის ამაღლება არ ნიშნავს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებას, სახელმწიფო იძულების გამოყენებაზე უარის თქმას. პირიქით, რაც უფრო წინ მივდივართ კომუნიზმისაკენ მით უფრო მეტ საზოგადოებრივ აღმფთვებებს იწვევს საბჭოთა სინამდვილისათვის უცხო მოვლენები, მით უფრო მოუთმენელი ხდება ცალკეული პირების მიერ კანონიერების დარღვევის ფაქტები. დღესაც „ჩვენ გვესაჭიროება სახელმწიფო, ჩვენ გვესაჭიროება იძულება. პროლეტარული სახელმწიფოს იმ ორგანოს, რომელიც ასეთ იძულებას ახორციელებს, უნდა წარმოადგენდნენ საბჭოთა სასამართლოები“³.

მიუთითებდა რა საბჭოთა სასამართლოს ამოცანებზე ვ. ი. ლენინი, ამასთან ერთად, მოითხოვდა სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის დამყარებას ისეთ დემოკრატიულ პრინციპებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ამოცანების რეალიზაციას.

მართლმსაჯულების განხორციელებაში, ისევე როგორც საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის ყველა სფეროში, ვ. ი. ლენინი მოითხოვდა სოციალისტური კანონიერების ზუსტად და განუხრელად დაცვას. 1922 წლის მაისში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი გაგზავნილ წერილში „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ სასამართლო „...ადვილობრივი ხელისუფლებაა, რომელიც ვალდებულია ერთი მხრივ, აბსოლუტურად დაიცვას ერთიანი, მთელი ფედერაციისათვის დაწესე-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 656.

2 იქვე, გვ. 657.

3 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 252.

ბული კანონები, ხოლო მეორე მხრივ, ვალდებულია სასჯელის განსაზღვრის დროს გაითვალისწინოს ყველა ადგილობრივი გარემოება“¹.

კანონიერება წარმოადგენს საბჭოთა მართლმსაჯულების ძირითად პრინციპს. სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის თანახმად, „მართლმსაჯულება სსრ კავშირში ხორციელდება სსრ კავშირის კანონმდებლობისა და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით“.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცება წარმოადგენს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანს. პარტიის პროგრამაში მითითებულია, რომ მართლმსაჯულება ხორციელდება კანონის სრული შესაბამისობით და რომ სასამართლო, გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოები უაღრესად სიზუსტით უნდა იცავდნენ კანონიერებას, ყველა პროცესუალურ ნორმას².

მართლმსაჯულების კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით განხორციელება ნიშნავს, რომ სასამართლოს მთელი საქმიანობა, რომელიც მიმართულია სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვა-გადაწყვეტისაკენ, განსაზღვრული და რეგლამენტირებულია კანონით. სასამართლოს მიერ საპროცესო და მატერიალური ნორმების ზუსტად და განუხრელად დაცვა წარმოადგენს საბჭოთა მართლმსაჯულების წარმატებით განხორციელების აუცილებელ პირობას და ერთადერთ საშუალებას. სოციალისტური კანონიერების მცირეოდენი დარღვევაც კი შეუწყნარებელია ყველგან და მით უმეტეს სასამართლოს საქმიანობაში, რომელიც იწყება და მიმდინარეობს სწორედ კანონის დარღვევის ფაქტის გამო. სასამართლო, რომელიც მოწოდებულია ებრძოდეს კანონიერებისა და მართლწესრიგის დარღვევებს, თვითონ უნდა იძლეოდეს კანონების უმწიკვლოდ და ზუსტად დაცვის მაგალითს.

მართლმსაჯულების განხორციელების დროს კანონიერების განუხრელად დაცვის უზრუნველსაყოფად ვ. ი. ლენინი მოითხოვდა მოსამართლეებისათვის ისეთი პირობების შექმნას, რაც გამორიცხავდა მათზე ყოველგვარი გარეშე ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობას. ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი ფაქტი: 1921 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურომ შეადგინა ცირკულიარი პარტიული და სასამართლო-სავამოძიებლო ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომელიც პარტიულ კომიტეტებს უფლებას აძლევდა პასუხისგებაში მიცემული კომუნისტების საქმეებზე მიეღოთ სასამართლოებისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებანი. როდესაც ვ. ი. ლენინი გაეცნო ცირკულიარის ამ ნაწილს, მას ზიანის მომტანი უწოდა და საკითხი განსახილველად შეიტანა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროში. პოლიტიბიურო დაეთანხმა ვ. ი. ლენინის მოსაზრებებს და დაავალა იუსტიციის სახალხო კომისარს დ. ი. კურსკის მთლიანად გადაესინჯათ ცირკულიარი სამართალში მიცემული კომუნისტების პასუხისმგებლობის გაძლიერების მიმართულებით³. სასამართლოზე უკანონოდ ზემოქმედების მოხდენის ყოველგვარ ცდას

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 429.

² საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ. 1961, გვ. 117—118.

³ იხ. В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 44, стр. 243

ვ. ი. ლენინი უწოდებდა ვიგანტურ შეცდომას და მოითხოვდა ასეთი ზემოქმედების მომხდენ პირთა სასტიკად დასჯას¹.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 112-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო წყობილების კანონმდებლობის მე-9 მუხლი ადგენს, რომ „მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლენი და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან“.

მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა ნიშნავს იმას, რომ არავის, არც ერთ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, თანამდებობისა და კერძო პირს უფლება არა აქვს ზემოქმედება მოახდინოს მოსამართლეთა შინაგან რწმენაზე, აიძულოს ისინი გამოიტანონ საქმეზე ესა თუ ის გადაწყვეტილება. მოსამართლენი საქმეებს განიხილვენ და სწყვეტენ დამოუკიდებლად, მხოლოდ კანონის საფუძველზე და თავიანთი სოციალისტური მართლშეგნების შესაბამისად.

კომუნისტური პარტია, რომელიც დაუღალავად იბრძვის სოციალისტური კანონიერების ყოველმხრივი განვითარებისა და განმტკიცებისათვის, სასტიკად დევნის მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე ხელყოფის ყოველგვარ გამოვლინებას, ვისგან და რა მოტივითაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი. 1954 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად დაგმო ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული ორგანოს მიერ სასამართლო საქმეების გადაწყვეტაში ჩარევის ფაქტები. მიღებულ გადაწყვეტილებაში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიუთითა, რომ კონკრეტულ საქმეების სასამართლო განხილვა-გადაწყვეტაში უკანონოდ ჩარევა წარმოადგენს პარტიული ხაზის უხეშ დამახინჯებას და მას არავითარი საერთო არა აქვს პარტიული ორგანოების მიერ პოლიტიკური ხელმძღვანელობის პრინციპის განხორციელებასთან².

პარტიამ და მთავრობამ ყველა პირობა შეუქმნეს მოსამართლეებს იმისათვის, რომ მართლმსაჯულების განხორციელების დროს ვისიმე ზემოქმედების ქვეშ არ მოექცნენ და, თუ რომელიმე მოსამართლეს უნარი არ შესწევს წინ აღუდგეს ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის უკანონო პრეტენზიებს, ამას არავითარი გამართლება არ შეიძლება მოენახოს.

რასაკვირველია, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა არ ნიშნავს მათ დამოუკიდებლობას პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკისაგან. სასამართლო თავისი საქმიანობით მჭიდროდ არის დაკავშირებული პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებთან, რომლებიც მას ყოველდღიურ დახმარებასა და მხარდაჭერას უწყვენ. სწორედ პარტიული ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს მოსამართლეთა ნამდვილ დამოუკიდებლობას და მათ დამორჩილებას მხოლოდ კანონისადმი. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა არ ნიშნავს აგრეთვე მათ უკონტროლობას. მოსამართლენი დამოუკიდებელნი არიან, მაგრამ ისინი კანონს ემორჩილებიან. ეს კი არ გამოორიცხავს, არამედ გულისხმობს პარტიული ორგანოებისა და საზოგადოების კონტროლს იმაზე, თუ როგორ ასრულებს სასამართლო მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპს.

საბჭოთა მართლმსაჯულების სწორად განხორციელების აუცილებელ პირობად ვ. ი. ლენინი თვლიდა კანონიერების დაცვის საფუძველზე საქმის ფაქტიური გარემოებების ობიექტურ და ყოველმხრივ გამოკვლევას, სისხლის სა-

¹ იხ. В. И. Ленин, Полн. собр. соч. т. 44. стр. 397, т. 53, стр. 109.

² იხ. „Партийная жизнь“, 1954, № 6, стр. 16.



მართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადაწყვეტისადმი დიდი სიფრთხილით მიდგომას, უდანაშაულო პირის სამართალში მიცემისა და დასჯის შემთხვევათა აღკვეთას.

ჯერ კიდევ რევოლუციის პირველ წელს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო კონტრრევოლუციონერთა გააფრთხილებული წინააღმდეგობის დასათრგუნავად მიემართა წითელი ტერორისათვის, ვ. ი. ლენინი წერდა: „სრულიადაც არ არის სავალდებულო ისეთ სისულელემდე მისვლა, როგორც დაწერ: ყაზანის ყურნალ „კრასნი ტერორში“ ამხანაგმა ლაცისმა, ერთერთმა საუკეთესო, ნაცადმა კომუნისტმა, რომელსაც უნდოდა ეთქვა, რომ წითელი ტერორი არის ძალდატანებითი დათრგუნვა ექსპლოატატორების, რომლებიც ცდილობენ აღადგინონ თავიანთი ბატონობა, ხოლო ამის ნაცვლად თავის ყურნალის № 1-ში მე-2 გვერდზე დაწერა: „ნუ ეძებთ (!!?) საქმეში გამამტყუნებელ ააბუთს, აჯანყდა თუ არა ის საბჭოს წინააღმდეგ იარაღით ან სიტყვიერო“¹.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა სახელმწიფოსათვის უდიდესი საფრთხის არსებობის დროსაც ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ ამ თუ იმ პირის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა დადგენილი ყოფილიყო ზუსტად, სათანადო მტკიცებულებებით.

ვ. ი. ლენინი მკაცრად ადევნებდა თვალყურს, რომ უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად არავინ ყოფილიყო სამართალში მიცემული და მსჯავრდებული. იმის ნათესაყოფად, თუ რა დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდებოდა ვ. ი. ლენინი მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვას, გავიხსენოთ რამოდენიმე ფაქტი.

ნოვგოროდის ჩკ-ას ორგანოებმა დააპატიმრეს მოქალაქე ბულატოვი იმისათვის, რომ მან ვ. ი. ლენინის სახელზე დაწერა საჩივარი. როდესაც ვ. ი. ლენინმა ამის შესახებ შეიტყო ნოვგოროდის გუბადმასკომს გაუგზავნა დეპეშა და გააფრთხილა, რომ ასეთი უკანონო მოქმედებისათვის აღმასკომისა და ჩკ-ას თავმჯდომარეებს დააპატიმრებდა და მიაღწევდა მათ დახვრეტას².

ინჟინერ მ. ნაზვანოვის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მიცემული იყო პასუხისგებაში კონტრრევოლუციურ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, ვ. ი. ლენინმა მოითხოვა სასწრაფოდ ეცნობებინათ მისთვის საქმეზე არსებული მტკიცებულებანი, გადაეგზავნათ უშუალოდ დაკითხვის ოქმები³.

საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა წარმოადგენს საბჭოთა სამართალწარმოების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, რომლის განუხრელად დაცვა უზრუნველყოფს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, ნამდვილ დამნაშავეთა მხილებას და სამართლიან დასჯას. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების მე-14 მუხლის ძალით, სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და პირი, რომელიც მოკვლევას აწარმოებს, მოვალეა განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის, გამოავლინოს დამნაშავის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 486.

² იხ. В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 50, стр. 318.

³ იხ. В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 53, стр. 130—131.

გარემოებანი. დაუშვებელია მტკიცების მოვალეობის გადატანა ბრალდებულზე და მისი ჩვენების გამოძალვა მუქარის, ძალადობისა და სხვა უკანონო ღონისძიებათა გზით.

კანონით მტკიცედ დადგენილია, რომ არავინ არ შეიძლება მიცემულ იქნას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში, თუ არა კანონით დადგენილ საფუძველზე და წესით. პროკურორი ვალდებულია მკაცრად ადევნოს თვალყურს, რათა არც ერთი მოქალაქე უკანონოდ და დაუსაბუთებლად არ იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში. უდანაშაულო პირის შეგნებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც მკაცრად ისჯება.

საბჭოთა მართლმსაჯულების ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს წარმოადგენს სასამართლო განხილვის საჯარობა, რასაც ვ. ი. ლენინი ანიჭებდა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც კი, როდესაც მართლმსაჯულების მახვილი მიმართული იყო ძირითადად დამხობილი კლასების წინააღმდეგობათა დასათრგუნავად, ვ. ი. ლენინი დამსჯელობითი პოლიტიკის გატარებაში უპირატესობას აკუთვნებდა სასამართლო ორგანოებს, რომლებიც მოქმედებდნენ საჯაროდ, ფართო საზოგადოების თანდასწრებით. 1918 წლის 5 ივლისს სრულიად რუსეთის საბჭოების მე-5 ყრილობაზე ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ჩვენ გვეუბნებიან, რომ, როცა ძერჟინსკის კომისიაში ხვრეტენ — ეს კარგია, ხოლო თუ სასამართლო მთელი ხალხის წინაშე აშკარად იტყვის: იგი კონტრრევოლუციონერია და დახვრეტის ღირსიაო, ეს ცუდია. ის ადამიანები, რომელნიც ასეთ თვალთმაქცობამდის მისულან, პოლიტიკურად მკვდარი არიან“¹.

ვ. ა. ავანესოვის, დ. ი. კურსკისა და ა. დ. ციურუპასადმი 1921 წლის 13 დეკემბერს გაგზავნილ ტელეფონოგრამაში საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის საკითხზე ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „ეჭვი არ არის, რომ საქმის გაჯანჯლებაში დამნაშავენი აქ მოიპოვებიან, ხოლო პრინციპის თვალსაზრისით საჭიროა ასეთი საქმეები ბიუროკრატიულ დაწესებულებათა ფარგლებში კი არ დაგტოვოთ, არამედ საჯარო მსჯავრის დასადებად გამოვიტანოთ, არა იმდენად მკაცრად დასჯისათვის (იქნებ, საქმარის აღმოჩნდეს საყვედური), არამედ საქვეყნოდ გამოცხადებისათვის და იმ საყოველთაო რწმენის გასაქარწყლებლად, თითქოს დამნაშავენი დაუსჯადნი იყვნენ“².

სასამართლოს პროცესების დიდი მნიშვნელობა აღნიშნულია ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ განაწესში „სამეურნეო მუშაობის საკითხებზე“, რომელიც ერთხმად მიიღო საბჭოების სრულიად რუსეთის მე-9 ყრილობამ 1921 წლის 28 დეკემბერს. ყრილობამ იუსტიციის სახალხო კომისარიატისაგან მოითხოვა მუშაობის გაძლიერება იმ მიმართულებით, რომ „სახალხო სასამართლოები მეტყურადღებას აქცევდნენ ბიუროკრატიზმს, საქმის გაჭიანურების, სამეურნეო უთაურობის სასამართლოს წესით დევნას. ამგვარი საქმეების გამო პროცესების მოწყობა აუცილებელია როგორც პასუხისმგებლობის გასადიდებლად იმ ბოროტებისათვის, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ასე ძნელია ჩვენს პირობებში,

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 636.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 638.

ისე მუშათა და გლეხთა მასების ყურადღების მისაპყრობად ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი¹.

სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი ზეგავლენის გაფართოების მიზნით ვ. ი. ლენინი მოითხოვდა პროცესების ფართოდ გაშუქებას პრესაში. მაგალითად, ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა წინადადება მისცა სათანადო ორგანოებს არა მარტო გადაეცათ დამნაშავენი სასამართლოსათვის და პროცესი ჩატარებინათ საჯაროდ, არამედ აგრეთვე ამის შესახებ გამოეჭევეყნებინათ მთელ საბჭოთა პრესაში, ხოლო გაზეთებს „იზვესტიასა“ და „პრავდას“ გაეშუქებინათ ეს საქმე რიგ ენერგიულ სტატიებში².

სასამართლო განხილვის საჯარობა ფორმულირებული იყო სასამართლოს შესახებ პირველ დეკრეტებში, ინსტრუქციებში, დებულებებში, ხოლო შემდეგ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პირველ საპროცესო კოდექსებში. 1936 წელს სსრ კავშირის კონსტიტუციამ აღნიშნული პრინციპი საბჭოთა მართლმსაჯულების კონსტიტუციურ პრინციპად გამოაცხადა. კონსტიტუციის 111-ე მუხლის თანახმად, „საქმის გარჩევა სსრ კავშირის ყველა სასამართლოში წარმოებს ღიად, რამდენადაც კანონით გამოწვეული არ არის გათვალისწინებული. „კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის შესაბამისად, სასამართლო განხილვის საჯარობის პრინციპი ჩამოყალიბებულია ამჟამად მოქმედ კანონმდებლობაში.

სასამართლო განხილვის საჯარობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს იხილავს ღია სამსჯავრო სხდომაზე, სასამართლოს დარბაზში ყველა მსურველი მოქალაქის თავისუფალი დასწრების პირობებში. კანონის მიხედვით, საქმის ღია სამსჯავრო სხდომაზე განხილვა დაუშვებელია მხოლოდ მაშინ, რაც ეს ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოებების დაცვის ინტერესებს. დახურული სასამართლო განხილვა, გარდა ამისა, დასაშვებია სასამართლოს დასაბუთებული განჩინებით იმ პირობა დანაშაულის საქმეებზე, რომლებსაც თექვსმეტი წლის ასაკამდე არ მიუღწევიათ, სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე და აგრეთვე სხვა საქმეებზე იმ მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცნობათა გახმაურება საქმეში მონაწილე პირობა ინტიმურ მხარეთა შესახებ. სასამართლოს განაჩენი და გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში საჯაროდ ქვეყნდება.

საჯარობის პრინციპის განხორციელება წარმოადგენს სასამართლოს აღმზრდელობითი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის აუცილებელ პირობას. საქმის განხილვა ღია სამსჯავრო სხდომაზე განამტკიცებს სასამართლოს კავშირს მოსახლეობასთან, პროფილაქტიკურ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების ცალკეულ, მერყევ ელემენტებზე, ხელს უწყობს დანაშაულობათა თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას, ქმნის სამართალდარღვევათა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ატმოსფეროს. პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ სასამართლო განხილვის საჯარობის დაცვასა და გაფართოებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 მარტის დადგენილებაში „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ“, აღნიშნულია, რომ პროცესების აღმზრდელობითი მნიშვნელობის გაძლიერების მიზნით აუცილებელია სასამართლოები ხშირად იხილავდნენ საქმეებს უშუალოდ

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 204.

² იხ. В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 44, стр. 354.

საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, უზრუნველყოფდნენ ასეთი პროცესების სათანადო ორგანიზაციისა და ფართოდ გაშუქებას პრესაში, რადიოში და საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვა საშუალებებით¹.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ რა სრულყოფილი და დემოკრატიულიც არ უნდა იყოს მართლმსაჯულების განხორციელების ფორმები, რა იდეალურადაც არ უნდა იყოს მოწყობილი სამსჯავრო პროცესები, სასამართლოები ვერ შეძლებენ მათზე დაკისრებული ამოცანების გადაწყვეტას მხოლოდ თავიანთი ძალებით. ამიტომ მართლმსაჯულების ამოცანების განხორციელების აუცილებელ პირობად ვ. ი. ლენინი თვლიდა სასამართლოს საქმიანობაში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობას. „მოქალაქეებმა ყველამ უკლებლივ უნდა მიიღონ მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის სასამართლოსა და მართვა-გამგეობაში. და ჩვენთვის მნიშვნელოვანია უკლებლივ ყველა მშრომელის ჩაბმა სახელმწიფოს მართვაში“².

საბჭოთა სასამართლო თავისი საქმიანობით მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებასთან, მშრომელთა ფართო მასებთან. სასამართლო წარმოებაში საზოგადოების მონაწილეობის მრავალი ფორმა არსებობს. ასე, შავალითად, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობა და ანგარიშგება, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვა-გადაწყვეტისას სახალხო მსაჯულთა სავალდებულო მონაწილეობა, საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და დამცველების მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმის სამსჯავრო განხილვაში, დანაშაულის ჩამდენი პირის საზოგადოების თავდებობის ქვეშ გადაცემა ხელახლა აღზრდისა და გამოსწორებისათვის და სხვა. საჭიროა ამ ფორმების ფართოდ და სრულად გამოყენება, დანაშაულობასთან ბრძოლაში საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და სახელმწიფოებრივი იძულების მეთოდების ვინიერული შეხამება.

მართლმსაჯულების ორგანოები მხოლოდ საზოგადოებასთან მჭიდრო, საქმიანი კავშირით, მათი მონაწილეობითა და მხარდაჭერით შეძლებენ იმ დიდი ამოცანების წარმატებით შესრულებას, რომლებიც მათ წინაშეა დასახული.

¹ იხ. ЦП СССР 1959 г. № 4, стр. 25.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 148.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საწყობის შესახებ შესახებ საჭიროების მოღვაწეობაში

შ. პაპიძე

საბჭოები სოციალისტური სახელმწიფოებრივი სისტემის ცენტრალურ რგოლს წარმოადგენენ. ისინი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებია, რომლებიც სახელმწიფოებრივი ხაზით აერთიანებენ მთელ საბჭოთა ხალხს. საბჭოები ცხადად ადასტურებენ, რომ სოციალისტურ სახელმწიფოში შესამებულია წმინდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი საწყობები. საბჭოები სახელმწიფო ორგანოებია და ამასთან ერთად საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც. ისინი სახელმწიფოს და საზოგადოების მართვაში მასების ჩაბმის ყველაზე ეფექტურ ფორმას წარმოადგენენ. საბჭოები ეს ის შესაყარია, სადაც სახელმწიფოებრივი გადადის საზოგადოებრივში და, პირიქით, საზოგადოებრივი გადადის სახელმწიფოებრივში. ამ ორი საწყობის შეერთებაშია საბჭოთა წარმომადგენლობითი სისტემის არსი.

საბჭოები პირველად წარმოიშვეს 1905 წლის რევოლუციის პერიოდში პროლეტარიატის რევოლუციური შემოქმედების შედეგად, როგორც შეიარაღებული აჯანყების, რევოლუციური ხელისუფლებისა და მუშათა საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები. „ამ ორგანოებს, — წერდა ვ. ი. ლენინი 1906 წლის მარტში ბროშურაში „კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები“, — ქმნიდნენ მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის რევოლუციური ფენები, ისინი იქმნებოდნენ ყოველგვარი კანონებისა და ნორმების გარეშე სავსებით რევოლუციური გზით, როგორც ხალხის თვითმყოფი შემოქმედების ნაყოფი, როგორც ხალხის თვითმოქმედების გამოხატულება, იმ ხალხისა, რომელიც ძველი პოლიტიკური ხუნდებისაგან განთავისუფლდა ან თავისუფლდებოდა“.¹

იმ დროს საბჭოები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იყვნენ ჩანასახოვანი, სტიქიური და ჩამოუყალიბებელი, მოქმედებდნენ როგორც ხელისუფლების ორგანოები². გამოდიოდნენ რა როგორც სახალხო ხელისუფლების ნამდვილი ორგანოები, ისინი აწესებდნენ პოლიტიკურ თავისუფლებებს, რეასაათიან სამუშაო დღეს, აპატიმრებდნენ მეფის მოხელეებს, აუქმებდნენ მეფის მთავრობის დადგენილებებს, ახდენდნენ ხაზინის ფულის კონფისკაციას რევოლუციის საჭიროებისათვის, იკავებდნენ სტამბებს.

საბჭოებს, როგორც ხალხის მასების პირმშოს, არასოდეს არ დაუკარგიათ და არც შეეძლოთ დაეკარგათ თავისი მთავარი შინაარსი, მთავარი არსი, რაც მდგომარეობს მასებთან მუდმივ და ყველაზე მჭიდრო კავშირში. საბჭოები ყველაზე რევოლუციური და ორგანიზებული კლასის—პროლეტარიატის წიაღში წარმოიშვნენ. თავის საქმიანობაში ისინი ეყრდნობოდნენ ფართო მასებს, იზიდავდნენ მათ ხელისუფლების ორგანოებში. ამ გზით საბჭოები გადაიქცნენ

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 284—285.

² იქვე.

მთელი მშრომელი ხალხის ორგანიზაციად, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ფორმად.

ანალიზს უკეთებდა რა 1905 წლის საბჭოების მოღვაწეობის პირველ გამოცდილებას, ვ. ი. ლენინი წერდა: „ახალ ხელისუფლებას, როგორც უდიდესი უმრავლესობის დიქტატურას, შეეძლო არსებობა და კიდევაც არსებობდა მხოლოდ და მხოლოდ უდიდესი მასის ნდობის მეოხებით, მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ უაღრესად თავისუფლად, უაღრესად ფართოდ და უაღრესად ძლიერად იზიდავდა მთელ მასას ხელისუფლებაში მონაწილეობისაკენ... ეს არის ყველასათვის აშკარა ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს მასის თვალწინ აკეთებს, მასისათვის მისაწვდომია, უშუალოდ მასიდან არის გამოსული, ხალხის მასისა და მისი ნების პირდაპირი და უშუალო ორგანოა“¹.

პარიზის კომუნისა და რუსეთის 1905 და 1917 წლების რევოლუციების გამოცდილებას რომ სწავლობდა და ანზოგადობდა, ვ. ი. ლენინმა აღმოაჩინა საბჭოები, როგორც ახალი, საუკეთესო და ჩვენი ქვეყნის პირობებში პროლეტარიატის დიქტატურის ყველაზე მიზანშეწონილი სახელმწიფოებრივი ფორმა. 1917 წლის აპრილში ვ. ი. ლენინი წერდა: „პარლამენტური რესპუბლიკა კი არა, — მუშათა დეპუტატების საბჭოების შემდეგ ამ რესპუბლიკისაკენ დაბრუნება ნაბიჯის უკან გადადგმა იქნებოდა, — არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა მთელ ჩვენს ქვეყანაში, თავიდან ბოლომდე“².

პარლამენტურ რესპუბლიკასთან შედარებით საბჭოები, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, წარმოადგენენ „უმაღლესი ტიპის დემოკრატიულ სახელმწიფოს“, ისინი გვაძლევენ საშუალებას „პარლამენტარიზმის სარგებლიანობა შევავართოთ უშუალო და პირდაპირი დემოკრატიის სარგებლიანობასთან, ე. ი. ხალხის არჩეული წარმომადგენლების სახით შევავართოთ როგორც საკანონმდებლო ფუნქცია, ისე კანონთა შესრულება. ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმთან შედარებით ეს ისეთი წინადადგმული ნაბიჯია დემოკრატიის განვითარებაში, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს“³.

ვ. ი. ლენინის მსოფლიო-ისტორიული დამსახურება ის არის, რომ განაგრძობს რა მარქსისა და ენგელსის შემდეგ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის საკითხის დამუშავება, მან საბჭოებში გენიალურად დაინახა პროლეტარული რევოლუციის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლი ორგანოები, მშრომელი მასების დიქტატურის ორგანოები, ნამდვილი სახალხო ხელისუფლების ორგანოები. ვ. ი. ლენინმა აღმოაჩინა საბჭოების რესპუბლიკა, სადაც ერთ საერთო სახელმწიფოებრივ და ამავე დროს საზოგადოებრივ ორგანიზაციადაა გაერთიანებული ყველა საბჭო თავიდან ბოლომდე. ეს იყო მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარება რუსეთის კონკრეტულ-ისტორიულ პირობებთან შეფარდებით. ამ აღმოჩენას მარქსისტულ თეორიაში ჰქონდა და ახლაც აქვს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის, არამედ აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ,

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 287.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 6.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 106.

რომელიც განხორციელდა ლოზუნგით „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ და რომლის შედეგად ძალაუფლება პროლეტარიატმა დაიპყრო, საბჭოები, რომლებიც მანამდე უმთავრესად შეიარაღებული აჯანყების ორგანოები იყვნენ, გადაიქცნენ პროლეტარიატის დიქტატურის სრულუფლებიან ორგანოებად, მის სახელმწიფოებრივ ფორმად. ამ პერიოდიდან საბჭოები უკვე წარმოგვიდგებიან ახალი თვისებით, მათში კონცენტრირებულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ხელისუფლება, საბჭოები სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანოების ერთიანობას განასახიერებენ.

ოქტომბრის შემდეგ საბჭოები იქცნენ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად, ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძვლად, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის ცენტრად, სახალხო ხელისუფლების ორგანოებად. „...საბჭოთა ხელისუფლება, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — სხვა არა არის რა, თუ არა ორგანიზაციული ფორმა პროლეტარიატის დიქტატურისა, იმ მოწინავე კლასის დიქტატურისა, რომელსაც ახალ დემოკრატიზმამდე, სახელმწიფოს მართვაში დამოუკიდებელ მონაწილეობამდე აჰყავს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ათეული და ათეული მილიონები...“¹

მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები საბჭოების მეშვეობით თანდათანობით ემეზობოდნენ სახელმწიფოებრივ მუშაობაში, ეუფლებოდნენ სახელმწიფოს და საზოგადოების საქმეთა მართვის ხელოვნებას და მოკლე ვადაში საქმით დამტკიცეს სრული უაზრობა ველური ცრურწმენისა, თითქოს მშრომელებს არ შესწევთ უნარი მართონ სახელმწიფო საქმეები, რომ თითქოს სახელმწიფოს მართვა შეუძლიათ მხოლოდ „რჩეულ“, „მაღალი წოდების“ კლასებს.

რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე მონარქისტული გაზეთი „ნოვოე ვრე-მია“, რომელიც პეტროგრადში გამოდიოდა, წერდა: „დავუშვათ ერთი წუთით, რომ ბოლშევიკები გაიმარჯვებენ. ვინ გაუძღვება მაშინ საქმეს? იქნებ მზარეულები, რომლებიც კატლეტებისა და ბიფშტექსების ოსტატები არიან? ან იქნებ მესხანძრეები, მეჯინბეები, ცეცხლფარეშები? ან იქნებ ძიძები, რომლებიც ბავშვის ჩვრების რეცხვისაგან თავისუფალ დროს გაიქცევიან სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე? მაშ ვინ? ვინ არიან ის სახელმწიფო მოღვაწენი? იქნებ ზეინკლები იზრუნებენ თეატრებზე, წყალსადენის ოსტატები დიპლომატიკაზე, ღურგლები ფოსტასა და ტელეგრაფზე? მოხდება თუ არა ეს? არა! შესაძლებელია თუ არა ეს? ასეთ გადარეულ კითხვაზე მკაცრად უპასუხებს ბოლშევიკებს ისტორია“².

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს, ხოლო შემდეგ მსოფლიო სოციალისტური სისტემის გამოცდილებით ისტორიამ ნამდვილად უპასუხა ამ კითხვას. „ჩვენ უტოპისტები როდი ვართ“, — წერდა ვ. ი. ლენინი. — ჩვენ ვიცით, რომ ყოველ შავ მუშასა და ყოველ მზარეულ ქალს არ შეუძლია ახლავე შეუდგეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობას... ჩვენ მოვითხოვთ, რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის **სწავლებას** ეწეოდნენ შეგნებული მუშები და ჯარისკაცები და რომ იგი დაუყოვნებლივ დაიწყოს, ე. ი. ამის შესწავლაში დაუყოვნებლივ ჩააბან ყველა მშრომელი, მთელი ღარიბობა“³.

სოციალისტურმა რევოლუციამ პიროვნებას ფართო გზა გაუხსნა ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის, მისი სახელმწიფო და საზოგა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 313.

² იხ. „პრავდა“, 1964 წ. 3/XI.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 118—119.

დო მოღვაწედ აღზრდისათვის. მილიონობით ადამიანთა აქტიური მონაწილეობა ახალი საზოგადოების მშენებლობაში, ამ საზოგადოების საქმეთა მართვაში გახდა მისი განვითარების კანონი.

სოციალისტურმა სახელმწიფოებრივმა და საზოგადოებრივმა წყობილებამ ამოქმედდა ხალხის მასების უშრეტეი ძალები, მილიონობით ადამიანი ჩააბა სახელმწიფოს და საზოგადოების უშუალო მართვაში საბჭოების მეშვეობით. მშრომელები სრულიად ახლებურად გამოვიდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე არა მარტო როგორც ყველა მატერიალური დოვლათის მწარმოებლები, არამედ აგრეთვე როგორც სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები. დადასტურდა ვ. ი. ლენინის დებულება, რომელიც მან ჯერ კიდევ 1918 წლის მარტში რკპ (ბ) VII ყრილობაზე გამოთქვა, რომ სოციალიზმის „...შემოღება უეჭოდ ათეულ მილიონებს, როცა ისინი ისწავლიან თვითონ აკეთონ ეს საქმე“¹.

ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ „საბჭოებისა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციის განვითარებისათვის უეჭუსტებელი მუშაობა გვიხდება“², კომუნისტური პარტია მუდამ და თანმიმდევრულად, სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე ყურადღებას ამახვილებდა საბჭოების საქმიანობაზე. რევოლუციის პირველივე დღეებიდან „ჩვენმა პარტიამ სული და გული გადააგო საბჭოებს, საბჭოების მეშვეობით და საბჭოებში ეწეოდა იგი თავის მთავარ მუშაობას“³.

თავისი განვითარების პროცესში საბჭოები განიცდიდნენ გარკვეულ ცვლილებებს — იცვლებოდა მათი ამოცანები, ორგანიზაციის ზოგიერთი პრინციპი, სტრუქტურა, მუშაობის ფორმები და მეთოდები, მაგრამ ისინი არ კარგავდნენ თავის არსს, რაც გულისხმობს საბჭოების საქმიანობაში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საწყისების ერთიანობას. საბჭოები, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის ყველა ეტაპზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენდნენ, ამასთან ერთად იყვნენ მშრომელი მასების ყველაზე დემოკრატიული თვითმომქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საზოგადოებრიობის ყველაზე ფართო წარმომადგენლობის დაწესებულებები.

საბჭოების ეს შინაარსი გამომდინარეობს იქიდან, რომ ნამდვილად დემოკრატიული ხასიათი აქვს ჩვენს სახელმწიფოს, რომ ნამდვილად დემოკრატიულია ბუნება საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელიც როგორც ვ. ი. ლენინი წერდა: „... მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა“⁴, საბჭოების ეს ბუნება ასახავს სოციალისტური სახელმწიფოს და საზოგადოების ერთიანობას, სადაც დემოკრატია წარმოადგენს საზოგადოების პროგრესისა და პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების პირობას, სადაც დემოკრატია არის არა ძალაუნებური დათმობა, რომელიც სახელმწიფოს გამოგლიჯეს, არამედ წყობილების არსის გამოვლინება⁵.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 148.

² იქვე, გვ. 323.

³ Я. М. Свердлов. Избранные статьи и речи, 1917—1919. Госполитиздат, 191 стр. 48.

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 299.

⁵ იხ. Ф. М. Бурлацкий, „Государство и коммунизм“, М., Соцэкгиз, 1963 г., стр. 126

თანამედროვე ვითარებაში საბჭოები, რომლებიც მანამდე მუშათა კლასის კლასობრივი ბატონობის ორგანოები იყვნენ, გადაიქცნენ მთელი ხალხის ყველაზე მასობრივ ორგანიზაციად, საყოველთაო-სახალხო ხელისუფლების ორგანოებად. შეიძლება თამამად ითქვას, სახალხო დემუტატების საბჭოებად.

საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ახლანდელ ეტაპზე სულ უფრო მკვეთრად ვლინდება საბჭოების როგორც მთელი საბჭოთა ხალხის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორერთიანი არსი, ორერთიანი ბუნება. პარტიის პროგრამაში ნათლადაა ჩამოყალიბებული დებულება საბჭოებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საწყისების შესამების შესახებ, მათს საქმიანობაში საზოგადოებრივი საწყისების შემდგომი ყოველმხრივი განვითარების კურსის შესახებ. „საბჭოები.—ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — რომლებშიც ერთმანეთთან შესამებულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნიშნები, სულ უფრო მეტად გამოდიან როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაშიც ფართოდ და უშუალოდ მონაწილეობენ მასები“¹.

საბჭოებს როგორც სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

ჯერ ერთი, საბჭოები, რომლებიც გამოდიან როგორც საერთო-სახალხო სახელმწიფოს ფორმა, წარმოადგენენ ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს. სწორედ საბჭოები ქმნიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, ანიჭებენ მათ ფართო უფლებებს, ანხორციელებენ ხელმძღვანელობას და წარმართავენ ამ ორგანოების მუშაობას, ამასთან უკანასკნელნი თავიანთ საქმიანობაში სავსებით ანგარიშვალდებულნი არიან შესაბამისი საბჭოების წინაშე;

მეორე, საბჭოები, არიან რა სახელმწიფო ხელისუფლების სრულუფლებიანი ორგანოები, ანხორციელებენ პოლიტიკურ ხელისუფლებას, განაგებენ საბჭოთა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს, გადამწყვეტ ფუნქციებს;

მესამე, ასრულებენ რა სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციებს, საბჭოები იღებენ კანონებს (უმალღესი საბჭოები) და გადაწყვეტილებებს (ადგილობრივი საბჭოები), რომელთა შესრულება სავალდებულოა ყველა ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის;

მეოთხე, თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას საბჭოები იყენებენ არა მარტო დარწმუნების ზომებს, არამედ აგრეთვე საჭირო შემთხვევებში სახელმწიფოებრივი იძულების ზომებს. ცხადია, რომ ამ ზომებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში გამოწვეულია ობიექტური პირობებით, არა აქვთ ამჟამად კლასობრივი ხასიათი და მიმართული არიან ცალკეული ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ, ვინაიდან მეტწილ შემთხვევებში მოქალაქენი ნებაყოფლობით ასრულებენ ხალხის ნების გამომხატველი საბჭოების გადაწყვეტილებებს;

მეხუთე, საბჭოები თავიანთ საქმიანობაში ემყარებიან „ადამიანთა განსაკუთრებულ ფენას“ (ენგლესი), რომლებიც განთავისუფლებული არიან წარმო-

¹ სკკპ XXII ყრილობის მასალები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1962, გვ. 491.

ებაში შრომისაგან, დასაქმებული არიან მხოლოდ მართვით და შეადგენენ პროფესიულ სახელმწიფო მოსამსახურეთა მუდმივ ფასიან აპარატს.

როგორია ახლა საბჭოების როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნიშნები?

უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივი ხასიათი საბჭოებისა, რომლებიც, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, შეიქმნა „...არა ვისიმე პირადი წამოწყებით, არამედ ძირიდან, ხალხის მასების ნებით“¹, გამოიხატება უკვე იმით, რომ მათს შექმნაში მონაწილეობს მთელი ხალხი, რომ მათ ირჩევს ჩვენი ქვეყნის მთელი მოზრდილი მოსახლეობა.


არჩევნები არის უშუალო დემოკრატიის წამყვანი ფორმა, ხალხის პოლიტიკური თვითმმართველობის ფორმა. მაგრამ ეს ერთი მხარეა. ამასთან ერთად არჩევნები სახელმწიფოებრივი ინსტიტუტია: არჩევნების მეშვეობით იქმნება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები. აქ ჩვენ ვხედავთ, როგორ ხორციელდება პრაქტიკულად ცნობილი ლენინური დებულება საბჭოებში პარლამენტარიზმის სარგებლიანობისა და უშუალო დემოკრატიის სარგებლიანობის შეხამების შესახებ, საბჭოების ორგანიზაციაში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საწყისების შეხამების შესახებ.

სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უკლებლივ ყველა ორგანოს არჩევნები ხორციელდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელთაც 18 წელი შეუსრულდათ, განურჩევლად მათი რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლებისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, გარდა იმ პირებისა, რომლებიც კანონით დადგენილი წესის მიხედვით ცნობილი არიან შეშლილებად, უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში².

საბჭოების არჩევნები ერთიან სოციალისტურ კოლექტივად შეკავშირებული მთელი საბჭოთა ხალხის საქმეა. არჩევნები რომ ნამდვილად საყოველთაოა. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ საბჭოთა საარჩევნო უფლება არ ითვალისწინებს არავითარ სხვა ცენზს, გარდა ასაკობრივი ცენზისა, რომ ამჟამად

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 417.

² საბჭოთა საყოველთაო საარჩევნო სისტემას არასოდეს არ დაუწყებია სხვა რომელიმე შეზღუდვა გარდა იმისა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველ ეტაპზე საარჩევნო უფლება წართმეული ჰქონდათ დამხობილი ექსპლოატატორული კლასების ნაშთებს, რაც გამოწვეული იყო თვით ამ კლასების პოზიციით, მათი გაფთრებული გამოსვლით მშრომელთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს შეზღუდვა გააუქმა სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციამ. რომელმაც განამტკიცა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის ფაქტი. მაშინვე საბოლოოდ გამოცხადდა, რომ არამთლიანად თანასწორი არჩევნები შეცვლილია თანასწორით, მრავალსაფეხურიანი — პირდაპირით, ღია არჩევნები — ფარულით. ხოლო სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული საარჩევნო უფლების წართმევა სასამართლოს დადგენილებით, როგორც სისხლის სამართლის სასჯელის ზომა, გააუქმა სსრ კავშირის მე-5 მოწვევის უმაღლესმა საბჭომ, რომელმაც თავის მეორე სესიონზე 1958 წლის 25 დეკემბერს არ ცნო მიზანშეწონილად სისხლის სამართლის სასჯელის ზომად საარჩევნო უფლების წართმევის დატოვება. ამასთან დაკავშირებით სესიამ მიიღო კანონი „სასამართლოს დადგენილებით საარჩევნო უფლების წართმევის გაუქმების შესახებ“ და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა სსრ კავშირის კონსტიტუციის 135 მუხლში. (იხ. „ივესტიცია“ 1958 წ. 26/XII).



10.126

მად საბჭოების არჩევნებში პრაქტიკულად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის მთელი მოზრდილი მოსახლეობა, რომელსაც აქვს სრული, შეუზღუდავი შესაძლებლობა თავისუფლად გამოხატოს თავისი ნება.

საბჭოთა ხალხი ქვეყნის მართვას, თავის ნებას ანხორციელებს თავისი წარმომადგენლების—დეპუტატების მეშვეობით, რომლებსაც არჩევნების დროს გადასცემს თავის რწმუნებებს. ამომრჩეველთა კრებები, რომლებიც საარჩევნო ოლქებსა და უბნებში იმართება, აძლევენ დეპუტატებს განაწესებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა. დეპუტატები ვალდებული არიან პერიოდულად ჩააბარონ ამომრჩეველებს ანგარიში თავიანთი მოვალეობის შესრულების შესახებ. დეპუტატების მუშაობას მუდამ უწევს კონტროლს საზოგადოებრიობა. გადასცემენ რა დეპუტატს თავის უფლებებს. ამომრჩეველებს შეუძლიათ ყოველთვის გაიწვიონ დეპუტატი, თუ იგი არ ასრულებს ამომრჩეველთა განაწესს. დაკარგა მათი ნდობა და თავისი საქმიანი და პოლიტიკური თვისებებით ღირსი არ არის ატაროს ხალხის რჩეულის მაღალი წოდება. ამ შემთხვევაში ამომრჩეველები მის ნაცვლად აირჩევენ ახალ დეპუტატს. დეპუტატის გაწვევის უფლება ვ. ი. ლენინს მიაჩნდა ნამდვილი დემოკრატიზმის ძირითად პრინციპულ დებულებად¹. მას აქვს არა ფორმალური, არამედ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. დეპუტატის გაწვევის საკითხი, ისევე როგორც არჩევის საკითხი, წყდება ამომრჩეველთა ნების გამოხატვის გზით, რაც აგრეთვე განპირობებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მასების გადამწყვეტი მონაწილეობის პრინციპით, რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოთა დემოკრატიას. სწორედ ამიტომ გამოდიან საბჭოები როგორც საერთო-სახალხო წარმომადგენლობის ორგანოები, როგორც ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც მოსახლეობის ყველა ფენას მოიცავენ. სწორედ ხალხის მასების ნებაა საბჭოების შექმნისა და მოღვაწეობის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს მათს უშუალო კავშირს მშრომელებთან.

ჩვენი ქვეყნის მთელი მოზრდილი მოსახლეობის თითქმის ასპროცენტიანი მონაწილეობა სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში ადასტურებს იმას, რომ ამ ორგანოებს ნამდვილად ქმნის მთელი ხალხი და ამიტომაც არიან ისინი ხალხის წარმომადგენლობითი დაწესებულებანი, ხალხის საზოგადოების ნების გამომხატველნი.

ამომრჩეველთა პოლიტიკური აქტიურობა წლითი წლობით იზრდება. მაგალითად, თუ 1926 წელს სასოფლო და საქალაქო საბჭოების არჩევნებში ამომრჩეველთა 50,8 პროცენტი მონაწილეობდა, 1929 წელს ამ რიცხვმა შეადგინა 63,5 პროცენტი, 1931 წელს — 72,1, 1934 წელს—85 პროცენტი. ხოლო დაწყებული 1939 წლიდან საბჭოების ყველა არჩევნებში მონაწილეობს უკვე ამომრჩეველთა 99 პროცენტზე მეტი².

სსრ კავშირის მე-6 მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს 1962 წლის მარტში ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 140.022.359 ამომრჩეველი, რომელთაგან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 139.957.809 ამომრჩეველი.

¹ იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 393.

² იხ. Социализм и народовластие. Справочник. Издательство политической литературы. М., 1965 г., стр. 40.

მა ანუ 99,95 პროცენტმა¹. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სსრ კავშირის მთელი მოსახლეობა იმ დროს შეადგენდა 219,7 მილიონ კაცს², ცხადი გახდება, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — სსრ კავშირის უკანასკნელი მოწვევის უმაღლესი საბჭო გამოხატავს მთელი ხალხის, ჩვენი ქვეყნის მთელი მოზრდილი მოსახლეობის ნებას.

სახელმწიფო და საზოგადო საქმეების მართვაში მასების გადამწყვეტი მონაწილეობის პრინციპი აშკარად ვლინდება საბჭოების არჩევნების თვით ორგანიზაციასა და ჩატარებაში. საარჩევნო კამპანიის ყველა სტადია: არჩევნების მომზადება, ამომრჩეველთა სიების შედგენა, დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება და აგიტაცია მათი არჩევის სასარგებლოდ, არჩევნების ჩატარება და არჩევნების მთელი მიმდინარეობის კონტროლი, კენჭისყრის შედეგების გარკვევა — ყველაფერი ეს მშრომელების, მათი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშია. საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში მშრომელთა კოლექტივები ირჩევენ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, კოოპერაციული, შემოქმედებითი, სამეცნიერო, სპორტული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საუკეთესო წარმომადგენლებს. სახელმწიფოს მიერ დანიშნული თანამდებობის პირები ამ კომისიებში არ არიან.

საბჭოებს რომ ნამდვილად ხალხი ქმნის და მათი მოღვაწეობის საზოგადოებრივი მხარე რომ დაფუძნებულია საზოგადოებრივ საწყისებზე, ამის დამადასტურებელია საარჩევნო კამპანიების ჩატარებაში მშრომელთა მონაწილეობის მასშტაბები. საკმარისია ითქვას, რომ 1963 წლის მარტში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროს მუშაობდა 2.169.346 საარჩევნო კომისია, რომელთა შემადგენლობაში იყო 8.588.150 კაცი³. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საარჩევნო კამპანიებში მონაწილეობენ მილიონობით ნდობით აღჭურვილი პირები, აგიტატორები, საზოგადოებრივი, თვითმოქმედი ორგანიზაციების წარმომადგენლები და აქტივისტები, აქაც უცილობლად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენს ქვეყანაში თვით მშრომელები უზრუნველყოფენ საარჩევნო კამპანიების წარმატებას, როგორც თავისივე დასახელებული კანდიდატების სასარგებლოდ ხმის მიცემით, ისე არჩევნების ორგანიზაციასა და ჩატარებაში პირდაპირი მონაწილეობით.

საბჭოების საზოგადოებრივი ხასიათი ვლინდება აგრეთვე მათი მასობრიობით, იმით, რომ საბჭოები ხალხის წარმომადგენელთა ყველაზე ფართო, ყოვლისმომცველი ორგანიზაციებია, რომლებიც ხალხის ერთიანობას განასახიერებენ.

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში მოქალაქენი არ განიცდიან „...არავითარ ძალაუფლებას, გარდა თავიანთი საკუთარი გაერთიანების... ძალაუფლებისა“⁴. სწორედ ხალხის საკუთარ გაერთიანებას განასახიერებენ საბჭოები, რომელთა შემადგენლობაში არიან საზოგადოების ყველა

¹ იხ. „პრავდა“ 1962 წ. 21 მარტი.

² იხ. Социализм и народовластие. Справочник. Издательство политической литературы. М., 1965 г., стр. 39.

³ იხ. „Итоги выборов и состав депутатов Верховных Советов союзных, автономных республик и местных советов депутатов трудящихся 1963 г.“ Статистический сборник. М., 1963 г., стр. 184.

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 493.

კლასისა და ფენის, პროფესიების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები¹. ამ თვალსაზრისითაც საბჭოები უზრუნველყოფენ **საზოგადოების ყველა საქმის მართვაში მთელი მოსახლეობის უშუალო და გადამწყვეტ მონაწილეობას.**

ჯერ კიდევ 1918 წლის მარტში ვ. ი. ლენინი, ლაპარაკობდა რა „საბჭოთა სახელმწიფოს საშუალებით სახელმწიფოს თანდათანობით მოსპობაზე“ მიუხედავად, რომ ეს მოხდება „მოქალაქეთა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობის, ხოლო შემდეგ უკლებლივ ყველა მოქალაქის სისტემატურად ჩაბმით სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში თავის ხვედრ სამუშაოთა უშუალო და ყოველდღიურად შესასრულებლად“. ჩვენს სინამდვილეში თანდათანობით წყდება ვ. ი. ლენინის მიერ დასახული ეს ამოცანა. უკანასკნელ დროს, მშრომელთა ფართო მასებთან საბჭოების კავშირის შემდგომი განმტკიცების მიზნით, პარტიამ განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი საბჭოების შემადგენლობის გასაფართოებლად. დებუტატთა რიცხვი ერთი არჩევნებიდან მეორე არჩევნებამდე მატულობს².

მაგალითად, 1950 წელს ადგილობრივ საბჭოებში, რომლებიც ყველაზე უფრო სრულად ახამებენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნიშნებს, არჩეული იყო 1.490.997 დებუტატი, 1955 წელს — 1.536.310, 1957 წელს — 1.549.777, 1959 წელს — 1.801.763, 1961 წელს — 1.822.049, ხოლო 1963 წელს წარმომადგენლობის ნორმების შეცვლის შემდეგ — უკვე 1.958.565 დებუტატი. ამჟამად საბჭოების შემადგენლობაში მუშაობენ: სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში — 1443 დებუტატი, მოკავშირე რესპუბლიკების

¹ ასე, მაგალითად, 1963 წელს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოების შემადგენლობაში არჩეულ 5761 დებუტატიდან წარმოდგენილი არიან: მუშები — 1368 ანუ 23,7 პროცენტი, კოლმეურნეები — 1461 ანუ 25,4 პროცენტი, საწარმოთა ხელმძღვანელები, ინჟინრები და სხვა სპეციალისტები — 328 ანუ 5,7 პროცენტი, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები — 437 ანუ 7,6 პროცენტი, საბჭოთა ორგანოების მუშაკები — 999 ანუ 17,3 პროცენტი, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკები 945 ანუ 16,4 პროცენტი, სხვა მუშაკები — 223 ანუ 3,9 პროცენტი. სსრ კავშირის მე-6 მოწვევის უმაღლეს საბჭოს კავშირის საბჭოს შემადგენლობის 55,1 პროცენტს შეადგენენ დებუტატები, რომლებიც ამჟამად არიან ან თავიანთი საქმიანობის დასაწყისში იყვნენ მუშები და გლეხები. ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობაში დებუტატთა იგივე კატეგორია 52,9 პროცენტს შეადგენს. ორივე პალატაში დებუტატთა 44-45 პროცენტი არიან წარმოებაში უშუალოდ ჩაბმული მუშები და კოლმეურნეები. ადგილობრივი საბჭოების დებუტატთა 70 პროცენტზე მეტი უშუალოდ მონაწილეობს მატერიალური წარმოების სფეროში. იხ. Социализм и народовластие. Справочник. Издательство политической литературы. М., 1965 г., стр. 43—45.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 171.

³ საბჭოების დებუტატთა რიცხვის გადიდება, როგორც სწორადაა აღნიშნული მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის ავტორთა კოლექტივის მიერ ვ. ი. ლენინის რედაქციით მომზადებულ წიგნში „Становление коммунистического самоуправления“ უნდა გავიგოთ არა როგორც უბრალო ციფრობრივი, რაოდენობრივი ზრდა, არამედ როგორც იმის მნიშვნელოვანი საშუალება, რომ ასეთლათაობით და მილიონობით ახალი საბჭოთა მოქალაქენი შეისწავლიან სახელმწიფოს მართვას. იხ. Становление коммунистического самоуправления. Издательство МГУ, 1965 г., стр. 65.

კლასისა და ფენის, პროფესიების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები¹. ამ თვალსაზრისითაც საბჭოები უზრუნველყოფენ საზოგადოების ყველა საქმის მართვაში მთელი მოსახლეობის უშუალო და გადამწყვეტ მონაწილეობას.

ჯერ კიდევ 1918 წლის მარტში ვ. ი. ლენინი, ლაპარაკობდა რა „საბჭოთა სახელმწიფოს საშუალებით სახელმწიფოს თანდათანობით მოსპობაზე“ მიუკითხებდა, რომ ეს მოხდება „მოქალაქეთა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობის, ხოლო შემდეგ უკლებლივ ყველა მოქალაქის სისტემატურად ჩაბმით სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში თავის ხვედრ სამუშაოთა უშუალო და ყოველდღიურად შესასრულებლად². ჩვენს სინამდვილეში თანდათანობით წყდება ვ. ი. ლენინის მიერ დასახული ეს ამოცანა. უკანასკნელ დროს, მშრომელთა ფართო მასებთან საბჭოების კავშირის შემდგომი განმტკიცების მიზნით, პარტიამ განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი საბჭოების შემადგენლობის გასაფართოებლად. დეპუტატთა რიცხვი ერთი არჩევნიდან მეორე არჩევნივამდე მატულობს³.

მაგალითად, 1950 წელს ადგილობრივ საბჭოებში, რომლებიც ყველაზე უფრო სრულად ახამებენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნიშნებს, არჩეული იყო 1.490.997 დეპუტატი, 1955 წელს — 1.536.310, 1957 წელს — 1.549.777, 1959 წელს — 1.801.763, 1961 წელს — 1.822.049, ხოლო 1963 წელს წარმომადგენლობის ნორმების შეცვლის შემდეგ — უკვე 1.958.565 დეპუტატი. ამჟამად საბჭოების შემადგენლობაში მუშაობენ: სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში — 1443 დეპუტატი, მოკავშირე რესპუბლიკების

¹ ასე, მაგალითად, 1963 წელს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების შემადგენლობაში არჩეულ 5761 დეპუტატიდან წარმოდგენილი არიან: მუშები — 1368 ანუ 23,7 პროცენტი, კოლმეურნეები — 1461 ანუ 25,4 პროცენტი, საწარმოთა ხელმძღვანელები, ინჟინრები და სხვა სპეციალისტები — 328 ანუ 5,7 პროცენტი, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები — 437 ანუ 7,6 პროცენტი, საბჭოთა ორგანოების მუშაკები — 999 ანუ 17,3 პროცენტი, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკები 945 ანუ 16,4 პროცენტი, სხვა მუშაკები — 223 ანუ 3,9 პროცენტი. სსრ კავშირის მე-6 მოწვევის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს შემადგენლობის 55,1 პროცენტს შეადგენენ დეპუტატები, რომლებიც ამჟამად არიან ან თავიანთი საქმიანობის დასაწყისში იყვნენ მუშები და გლეხები. ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობაში დეპუტატთა იგივე კატეგორია 52,9 პროცენტს შეადგენს. ორივე პალატაში დეპუტატთა 44-45 პროცენტი არიან წარმოებაში უშუალოდ ჩაბმული მუშები და კოლმეურნეები. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა 70 პროცენტზე მეტი უშუალოდ მონაწილეობს მატერიალური წარმოების სფეროში. იხ. Социализм и народовластие. Справочник. Издательство политической литературы. М., 1965 г., стр. 43—45.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 171.

³ საბჭოების დეპუტატთა რიცხვის გადიდება, როგორც სწორადაა აღნიშნული მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის ავტორთა კოლექტივის მიერ ვ. ი. რანინის რედაქციით მომზადებულ წიგნში „Становление коммунистического самоуправления“ უნდა გავიგოთ არა როგორც უბრალო ციფრობრივი, რაოდენობრივი ზრდა, არამედ როგორც იმის მნიშვნელოვანი საშუალება, რომ ასეულ ათასობით და მილიონობით ახალი საბჭოთა მოქალაქენი შეისწავლიან სახელმწიფოს მართვას. იხ. Становление коммунистического самоуправления. Издательство МГУ, 1965 г., стр. 65.

უმადლეს საბჭოებში — 5761, ავტონომიური რესპუბლიკების უმადლეს საბჭოებში — 2.842, ადგილობრივ საბჭოებში — 2 მილიონზე მეტი დეპუტატი.¹

უკვე თვით რიცხვი დეპუტატებისა, რომელთა მოღვაწეობას აქვს საზოგადოებრივი და მასთან ერთად სახელმწიფოებრივი ხასიათი მოწმობს იმას, რომ საბჭოები არიან ყველაზე მასობრივი ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობით მშრომელები მონაწილეობენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის საქმეში, ეუფლებიან მართვის ხელოვნებას.

საბჭოების მასობრიობა თავის განსახიერებას პოულობს აგრეთვე საბჭოთა მშენებლობის ერთ-ერთ გადაწყვეტ პრინციპში — საბჭოების დეპუტატთა შემადგენლობის სისტემატური განახლების პრინციპში.

დეპუტატთა შემადგენლობის სისტემატურ განახლებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი ხელს უწყობს მშრომელთა ახალი მასების ჩამოსახლების საბჭოების საქმიანობაში, სახელმწიფოს მართვის შესწავლაში. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ „ეს მმართველობა იყოს გადასვლა იქითკენ, რათა ყველა მშრომელმა უკლებლივ ისწავლოს სახელმწიფოს მართვის ხელოვნება, ისწავლოს არა წიგნებისა და გაზეთების საშუალებით, არა სიტყვებისა და ბროშურების გზით, არამედ ისწავლოს პრაქტიკულად, რათა ყველას შეეძლოს სცადოს თავისი უნარი ამ საქმის გასაკეთებლად“².

სკკპ პროგრამა, რომელშიც ამ ლენინურმა მითითებებმა კპოვეს გამოხატულება, მიზანშეწონილად ცნობს, რათა ყოველი არჩევნების დროს განახლდეს საბჭოების დეპუტატების შემადგენლობის სულ ცოტა ერთი შესამედიოთ³.

ეს დებულება უკვე ხორციელდება პრაქტიკულად. ჩვენი წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატთა შემადგენლობის მნიშვნელოვანი განახლება ჩანს უკვე შემდეგი მონაცემებიდან: 1959 წელს ადილობრივი საბჭოების შემადგენლობაში პირველად იყო არჩეული დეპუტატთა 52,2 პროცენტი, 1961 წელს — 49 პროცენტი, 1963 წელს — 58,1 პროცენტი. უფრო მნიშვნელოვანია სსრ კავშირის უმადლესი საბჭოს დეპუტატთა განახლება. მაგალითად, სსრ კავშირის მე-5 მოწვევის უმადლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობა წინა მოწვევასთან შედარებით განახლდა 62,3 პროცენტით, ხოლო სსრ კავშირის მე-6 მოწვევის უმადლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში 1443 დეპუტატიდან პირველად იყო არჩეული 1.007 დეპუტატი, ე. ი. 69,8 პროცენტი⁴.

¹ იხ. „Итоги выборов и состав депутатов Верховного Советов союзных и автономных республик и местных Советов депутатов трудящихся 1963 г.“ Статистический сборник. М., 1963 г., стр. 5; КПСС и массовые организации трудящихся в период развернутого строительства коммунизма, Издательство ВПШ и АОН при ЦК КПСС. М., 1963 г., стр. 95; Л. А. Григорян, Советы—„органы власти и народного самоуправления“, издательство „Юридическая литература“, М., 1965 г., стр. 51; Становление коммунистического самоуправления, Издательство МГУ, 1965 г., стр. 65; Местные советы на современном этапе, Издательство „Наука“. М., 1965 г., стр. 11. Социализм и народовластие. Справочник. Издательство политической литературы. М., 1965 г., стр. 50 и 53; „Правда“, 5 декабря 1965 г.

² ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 28, გვ. 492.

³ იხ. სკკპ XXII ყრილობის მასალები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1962, გვ. 492.

⁴ იხ. Социализм и народовластие. Справочник. Издательство политической литературы. М., 1965 г., стр. 48 и 50.

საბჭოების, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამახასიათებელი აგრეთვე **საბჭოებში დეპუტატების მუშაობის საზოგადოებრივი საწყისები, მათ მიერ სადეპუტატო მოვალეობის უფასოდ შესრულება.**

დეპუტატობა არ არის პროფესია, საბჭოთა დეპუტატები არ არიან საპარლამენტო ტიპის პროფესიული მოღვაწენი, თავიანთი სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულებას ისინი ახამებენ ძირითად პროფესიულ საქმიანობასთან, მატერიალური და სულიერი წარმოების სფეროში შრომასთან¹. დეპუტატთა მოღვაწეობაში დიალექტიკურად შეხამებულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საწყისები, გამოხატულია საბჭოების ორერთიანი არსი.

ყველა რგოლის საბჭოების მოღვაწეობის ძირითად ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს სესია, ე. ი. დეპუტატების საერთო კრება — სახალხო წარმომადგენელთა და არა პროფესიულ სახელმწიფო მოსამსახურეთა საზოგადოებრივი ფორუმი. სწორედ სესიებზე, ე. ი. **საზოგადოებრივი წესით, წყვეტენ დეპუტატები სახელმწიფოს მართვის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, იღებენ კანონებს და სახელმწიფოებრივი ხასიათის სხვა აქტებს.** აქედან საბჭოები სწორედ ამ თავისი თვისებით, ე. ი. დეპუტატთა მოღვაწეობის სასესიო ფორმით, ყველაზე მკაფიოდ გვიჩვენებენ თავიანთ სრულუფლებიანობას და დამოუკიდებლობას, ყველაზე მკაფიოდ წარმოგვიდგებიან როგორც სახელმწიფო ორგანოები და ამავე დროს როგორც მშრომელთა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

დეპუტატი არის ცენტრალური ფიგურა ჩვენს წარმომადგენლობით ორგანოებში, საბჭოებისა და ამომრჩევლების დამაკავშირებელი რგოლი. ლაპარაკობდა რა მოთხოვნებზე, რომლებსაც პროლეტარულ სახელმწიფოში უნდა უყენებდნენ დეპუტატებს, ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ მათ „თვითონ უნდა იმუშაონ, თვითონ უნდა შეასრულონ თავიანთი კანონები, თვითონ უნდა შეამოწმონ ის, თუ რა გამოდის ნამდვილად, თვითონ უშუალოდ უნდა აგონ პასუხი თავიანთ ამომრჩეველთა წინაშე“².

საბჭოების განვითარების ახლანდელ ეტაპზე ვ. ი. ლენინის ამ მითითებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დეპუტატების წინაშე დასახული ამოცანები უფრო პასუხსაგები ხდება, იზრდება მათი უფლებამოსილება, კომპეტენცია და როლი სახელმწიფოს და საზოგადოების მართვის საკითხების გადაჭრაში. საბჭოების კრებებში მონაწილეობასთან ერთად დეპუტატები მუდმივ მუშაობას ეწევიან სახელმწიფოს მართვის ხაზით³, მონაწილეობენ მასებთან

¹ სადეპუტატო მოღვაწეობის ამ ნიშანში თანდათანობით ხორცს ისხამს კომუნისტური საზოგადოებრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი პრინციპი, რომლის არსი გულისხმობს საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფუნქციების შესრულების შეხამებას მწარმოებლურ შრომასთან.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 523.

³ იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 169.

კონკრეტულ, ყოველდღიურ მუშაობაში¹, აწყობენ საბჭოების, მათი აღმასრულებელი აპარატის და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებას და შესრულების კონტროლს, აქტიურად მონაწილეობენ მუდმივი კომისიების მუშაობაში, მშრომელთა ფართო მასებს აბამენ სახელმწიფო და საზოგადო საქმეების მართვაში.

საბჭოების როგორც საზოგადოებრივი დაწესებულებების დამახასიათებელი შემდგომი მნიშვნელოვანი ნიშანია ის, რომ საბჭოები წარმოადგენენ საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მასების ჩაბმის მთავარ ორგანიზაციულ ფორმას, რომ საბჭოები და მათი აღმასრულებელი ორგანოები თავის ყოველდღიურ მუშაობაში იზიდავენ მილიონობით აქტივისტებს, მოქმედებენ მათთან მჭიდრო კონტაქტით².

საბჭოების ხაზით შექმნილი და მათი ხელმძღვანელობით მომუშავე მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვადასხვა ფორმების ძირეული თავისებურება ის არის, რომ მშრომელები, რომლებიც არ არიან არც დეპუტატები, არც სახელმწიფო აპარატის პროფესიული მუშაკები, კისრულობენ იმ ამოცანების განხორციელებას, რაც საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციას შეადგენს. ამასთან აქ გამოიყენება მუშაობის წმინდა ნებაყოფლობითი, საზოგადოებრივი და არა სახელმწიფოებრივი, ადმინისტრაციული ფორმები³.

ამყამად დეპუტატების ვარდა სახელმწიფოს მართვის სკოლას საბჭოებში გადის 23 მლიონზე მეტი აქტივისტი, რომლებიც ჩაბმული არიან საბჭოების მუდმივი კომისიებისა და აღმასრულებელი ორგანოების მუშაობაში⁴. მათ ახასიათებთ საზოგადოებრივი მოვალეობის უანგაროდ შესრულების ჭეშმარიტად კომუნისტური ნიშნები. ისინი თვითონ სწავლობენ და ასწავლიან სხვებს ფუნქციონერთა, სახელმწიფო აპარატის მრჩეველთა მოვალეობის შესრულებას. საზოგადოებრივი დავალებების წესით, ისე, რომ სრულიად არ აკავშირებენ ამ საქმეს მატერიალურ ანაზღაურებასთან, ისინი კიდევ უფრო აახლოებენ

¹ მშრომელთა შორის მასობრივ, ორგანიზატორულ მუშაობას, რაც საბჭოების საქმიანობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, დეპუტატი, როგორც წესი, ასრულებს იმ საარჩევნო ოლქში, რომელმაც იგი შესაბამის საბჭოში აირჩია, და აგრეთვე სამუშაო ადგილის მიხედვით—წარმოებაში, სადაც დეპუტატი, რომელიც არის ყოველივე მოწინავესა და პროგრესულის წამომწყები, გამოდის როგორც სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. ფორმები დეპუტატების მოღვაწეობისა საარჩევნო ოლქებში და საწარმოებში სხვადასხვააირია. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. Вопросы политической организации советского общества в период развернутого строительства коммунизма. Издательство ВПШ и АОН при ЦК КПСС. М. 1962 г., стр. 208—235; Л. М. Карапетян и В. И. Разин. Советы общенародного государства. Издательство политической литературы. М., 1964 г., стр. 66—78; Л. А. Григорян. Советы—органы власти и народного самоуправления. Издательство „Юридическая литература“. М., 1965 г., стр. 177—194; Местные Советы на современном этапе. Издательство „Наука“, М. 1965 г., стр. 281—305.

² ვრცლად ამის შესახებ იხ. Л. М. Карапетян и В. И. Разин. Советы общенародного государства. Издательство политической литературы. М. 1965 г., стр. 123—140; Сочетание государственных начал в управлении обществом. Издательство „Мысль“, М. 1965 г., стр. 32—93; Становление коммунистического самоуправления. Издательство МГУ. М., 1965 г., стр. 109—123.

³ См. Советы депутатов трудящихся в период развернутого строительства коммунизма. Издательство ВПШ и АОН при ЦК КПСС. М. 1961 г., стр. 63.

⁴ იხ. „პრაგდა“ 1965 წ. 5/XII.

სახელმწიფო აპარატს ხალხის მასებთან, მის საჭიროებებთან და მოთხოვნილებებთან, მუდამ ხორცს ასხამენ სახელმწიფოებრივი მოვალეობის უფასოდ შესრულების ლენინურ იდეას¹.

ამგვარად საბჭოებში ჰარმონიულად შეხამებულია პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა და ამავე დროს მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნიშნები. საბჭოებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციის შეხამების საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ამ საკითხის სწორი გაგება საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ საბჭოების ბუნება და განვსაზღვროთ მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საწყისების შეხამება საბჭოების ორგანიზაციასა და მოღვაწეობაში არ წარმოადგენს რაიმე გაყინულსა და უძრავს, არამედ დამოკიდებულია კონკრეტულ ისტორიულ პირობებზე. სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების მთელი ისტორია არის საბჭოების ამ ორი მხარის განვითარების ისტორია. ამასთან საბჭოების ევოლუციაში მთავარი და განმსაზღვრელია ჩვენი წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის სწორედ საზოგადოებრივი, არასახელმწიფოებრივი ფორმებისა და მეთოდების თანდათანობით ზრდის ტენდენცია.

„სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების პროცესში, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — მოხდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების თანდათანობითი გადაქცევა საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებად“². ამგვარად პროგრამა ითვალისწინებს იმას, რომ სწორედ გარდაქმნილი საბჭოები და არა რომელიმე სხვა ორგანოები შექმნიან მომავალში კომუნისტური საზოგადოების ორგანიზაციული სისტემის საფუძველს. საბჭოების განვითარების ასეთი ევოლუცია კანონზომიერია. საბჭოები იყვნენ მეფის, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ორგანოები. რევოლუციის შემდეგ საბჭოები გადაიქცნენ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო ფორმად, ხოლო ამჟამად საერთო-სახალხო ხელისუფლების ფორმად. უკვე ახლა საბჭოები სახელმწიფოს მართვის ყოვლისმომცველ სკოლას წარმოადგენენ. საქმარისა შევისწავლოთ მათი ჩამოყალიბების წესი და საქმიანობა, რომ დავრწმუნდეთ ამაში. და თუ ასეა, მომავალი საბჭოებს ეკუთვნის.

საბჭოებს შეუძლიათ გახდნენ და გახდებიან კომუნისტური საზოგადოებრივი თვითმმართველობის საფუძველი. ეს შესაძლებლობა გამოსჭვივის თვით საბჭოების ხასიათიდან, ვინაიდან საბჭოები მუდამ არიან არა მარტო ხელისუფლების მატარებელნი, არამედ აგრეთვე მშრომელთა საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები. კომუნისმის მშენებლობის პერიოდში საბჭოების საზოგადოებრივი ხასიათი შეუჩერებლივ განვითარდება და გაძლიერდება, ხოლო თვით საბჭოები სულ უფრო და უფრო გარდაიქმნებიან საზოგადოებრივ კომუნისტური თვითმმართველობის ორგანოებად.

¹ იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 324.

² სკკპ XII ყრილობის მასალები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1962, გვ. 491.

შინაღი თეოკია ბუჩუაზიულ სისხლის სამართალში და მისი პიიიკა

პროფ. თ. შარეთელი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბუჩუაზიულ სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონდა ეგრეთ წოდებული „ფინალური მოძღვრება მოქმედების შესახებ“, რომელიც უკანასკნელ წლებში დასავლეთ გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაშიც დაინერგა. ამ „მოძღვრების“ ავტორები ამტკიცებენ, რომ მათ გადატრიალება შეიტანეს სისხლის სამართლის ძირითად ცნებათა განსაზღვრაში და რომ ისინი სრულიად ახალ საფუძველზე აგებენ დანაშაულის სისტემას. მათი მტკიცების სისწორის შესამოწმებლად და იმის გასარკვევად, არის თუ არა ამ მოძღვრებაში რაიმე პროგრესული. ბუჩუაზიულ სისხლის სამართალში ამ მოძღვრებამდე გაბატონებულ ტრადიციულ შეხედულებასთან შედარებით, საჭიროა მოკლედ მიმოვიხილოთ ბუჩუაზიული თეორიები მოქმედების შესახებ ფინალური მოძღვრების წარმოშობამდე.

მოძღვრებამ მოქმედების შესახებ ბუჩუაზიულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში განვითარების გრძელი გზა განვლო. XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს ბუჩუაზიულ იურისპრუდენციაში გაბატონებული იყო ე. წ. „ბუნებრივი“ ანუ „კანონური“ სწავლება მოქმედებაზე, რომელიც ცივილისტმა ე. ციტელმანმა დაასაბუთა, ხოლო სისხლის სამართალში განსაკუთრებით ფ. ლისტმა და ე. ბელინგმა განავითარეს.

ციტელმანს ქმედობა ესმოდა როგორც სხეულებრივი მოძრაობა, რომლის მიზეზი ნებისყოფის გამოვლინებაა, ხოლო ნება — როგორც ისეთი ფენომენი, რომლის თაობაზე არაფერი არ არის ცნობილი, გარდა იმისა, რომ თვით იგი სხეულებრივი სამყაროს მოვლენას არ წარმოადგენს, მაგრამ სხეულებრივ მოძრაობას იწვევს. ამასთან ციტელმანი განიხილავდა ნებისყოფას და სხეულის მოძრაობას არა როგორც მთლიანობას, არამედ როგორც პროცესებს, რომლებიც მიზეზისა და შედეგის ცალმხრივ მიმართებაში იმყოფებიან. ციტელმანის აზრით, ნებისყოფის აქტი ფსიქიკური პროცესია, რომელიც გარედან წარმართავს ადამიანის საქმიანობას მოტორული ნერვების აღძვრის მეშვეობით. რაც შეეხება სხეულებრივ მოძრაობას, ეს უკანასკნელი, წარმოიშვება რა როგორც ნებისყოფის შედეგი, თავის მხრივ ხდება მიზეზი ცვლილებისა გარეშე სამყაროში.¹ სწორედ ამგვარადვე ლისტისათვის „ნებისყოფა, რომელიც მისი განხორციელების დროს გამოჟღავნდება, მდგომარეობს... მხოლოდ და მხოლოდ ნებისყოფის იმპულსში. უკანასკნელი ფიზიოლოგიურად შეიძლება განისაზღვროს როგორც ინერვაცია, ხოლო ფსიქოლოგიურად — როგორც ის ფსიქიკური პროცესი, რომლის მეშვეობით მიზეზს ვადგენთ“.²

როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, „ბუნებრივი“ მოძღვრება მოქმედების შესახებ განმარტავს ნებისყოფის აქტს როგორც პროცესს, რომელიც მთლიან-

¹ об. E. Zittelman, Irrtum und Rechtsgeschäft, Leipzig, 1879, S. 29 ff.

² Ф. Лист, Учебник уголовного права. Общая часть, М., 1903 г., стр. 126.

ნად გარეგანი, მექანიკური მიზეზობრიობის კანონს ემორჩილება. შინაგანი, ფსიქოლოგიური პროცესები სავსებით გაქვევებულია მოქმედების ცნებიდან. რომელიც წარმოავლინებს როგორც წმინდა ფიზიკური მოვლენა, როგორც ლიტონი მიზეზობრივი საწყისი.


ნებისყოფის აქტის ასეთი გაგება ცალმხრივია და მის ნამდვილ არსს არ გამოხატავს. თუ ნებისყოფა განმარტებული იქნება როგორც მხოლოდ სხეულებრივი მოძრაობის მიზეზი, მაშინ აქედან გამომტანილი უნდა იქნეს დასკვნა, თითქოს ნებისყოფის საგანი შეიძლება იყოს მარტოდენ სინამდვილეში განხორციელებული სხეულებრივი მოძრაობა, ვინაიდან მიზეზი მხოლოდ იმდენადაა მიზეზი, რამდენადაც მან შედეგი წარმოშვა. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ისეთი შინაგანი ნებელობითი პროცესების არსებობის ფაქტი, რომელნიც სხეულებრივ მოძრაობაში არ გამოვლინებულან, ეს მაშინ ხდება, როდესაც დასახული მიზნის განხორციელების საშუალება სხეულებრივ მოძრაობაში კი არ მდგომარეობს, არამედ წმინდა შინაგან პროცესში, რომლის დროსაც მოტორული ნერვების აღგზნებას ადგილი არა აქვს. ასეთ შემთხვევებს, როდესაც ნებისყოფის პროცესი გარეგნულად არ გამოვლინდება, ეწოდება „შინაგანი“ მოქმედება. შინაგანი ნებელობითი აქტის მაგალითს წარმოადგენს ნებისმიერი მოგონება რაიმე ამბისა. „რამდენადაც ადამიანის შინაგანი ფსიქიკური პროცესები იმავე სტრუქტურას ამჟღავნებენ, რასაც გარეგანი მოქმედება, სრული საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ არა მარტო გარეგან, არამედ აგრეთვე შინაგან მოქმედებაზეც“.¹

მოქმედების ციტელმანისებური გაგების მეორე თანმიმდევარ დასკვნას წარმოადგენს ნებელობითი ქცევის უარყოფა მოქმედებისაგან თავის შეკავების დროს, ვინაიდან ამ შემთხვევაში სხეულებრივ მოძრაობას ადგილი არა აქვს. მართლაც, ამ შეხედულების მიმდევრები უარყოფენ უმოქმედობის დროს როგორც ნებელობითი აქტის არსებობას, ისე მის მიზეზობრივ ხასიათს შემდგომი გარეშე მოვლენის განხორციელების მიმართ.

ეს შეხედულება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. სინამდვილეში განსაზღვრული მოქმედებისაგან თავის შეკავება, მოძრაობის სტიმულის ჩანშობა ისევე შეიძლება იყოს ნებელობითი იმპულსის გამოვლინება, როგორც დადებითი მოქმედება. ხშირად რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება ნებელობითი ენერჯის გაცილებით უფრო დიდ დაძაბვას მოითხოვს, ვიდრე დადებითი ქმედობის ჩადენა.

როდესაც სისხლის სამართალში უმოქმედობაზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ არა სუბიექტის აბსოლუტური პასივობა, არამედ თავის შეკავება განსაზღვრული მოქმედებისაგან, რომელსაც ამ სუბიექტისაგან მოელოდნენ. ასეთ უმოქმედობაში არა მარტო შეიძლება გამოვლინდეს ადამიანის ნებელობითი გადაწყვეტილება, არამედ განსაზღვრულ პირობებში იგი შეიძლება წარმოადგენდეს ისეთსავე ზემოქმედებას ობიექტურ გარეშე სამყაროზე, ისეთსავე პირობების შექმნას განსაზღვრული შედეგის განხორციელებისათვის. როგორც ადამიანის დადებითი მოქმედება. უმოქმედობის დროსაც ადამიანმა შეიძლება გამოავლინოს განსაზღვრული დამოკიდებულება გარეშე სამყაროსადმი. როგორც სწორად შენიშნავს საბჭოთა ფსიქოლოგი პროფ. ს. ლ. რუბინშტეინი, „ქცევა იმდენად არ შეიძლება დავიყვანოთ გარეშე მოძრაობისადმი.

¹ С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946, гл. 542.



რომ ზოგჯერ თავის შეკავება რაიმე მოქმედებაში მონაწილეობისაგან თვით შეიძლება წარმოადგენდეს მნიშვნელოვანი რეზონანსის მქონე ქცევას, თუ კი მასში გამოვლინდა ადამიანის პოზიცია, მისი დამოკიდებულება გარეშე სამყაროსადმი“.¹

სოციალისტურ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში ტერმინი „მოქმედება“ ხშირად ნახშირია ფართო მნიშვნელობით და მოიცავს არა მარტო დადებით მოქმედებას, არამედ აგრეთვე მოქმედებისაგან თავის შეკავებასაც, ე. ი. უმოქმედობას. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ნებელობითი აქტის ზოგადი ცნების გამოსახატავად ხმა-რობენ ტერმინს „ქმედობა“, რომელიც მოიცავს როგორც დადებით მოქმედებას, ისე მოქმედებისაგან თავის შეკავებას. მაგალითად, სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლში (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი) ნათქვამია: „დანაშაულად ითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა)“...

„კაუზალური“ ანუ „ბუნებრივი“ სწავლება ქმედობის შესახებ შემდგომ გაკრიტიკებული იყო „ნორმატივისტული“ შეხედულების მომხრეთა მიერ, რომლებიც თვლიდნენ, რომ „ბუნებრივი“ სწავლება მოქმედებაზე არ შეესაბამება სისხლის სამართლის სპეციფიკურ მოთხოვნილებებს და ამიტომ სისხლის სამართალში უნდა შეიქმნას სპეციფიკური სწავლება მოქმედების შესახებ.

„ნორმატიული“ თეორიის ფესვები საკმაოდ ღრმად მიდის. ჯერ კიდევ ჰეგელის მიმდევრები სისხლის სამართლის სფეროში — კესტლინი, ბერნერი და სხვ. ამტკიცებდნენ, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებამ უნდა შეიმუშავოს ქმედობის განსაკუთრებული ცნება, რომელიც განსხვავდება ფსიქოლოგიასა და სხვა მეცნიერებებში მიღებული ცნებისაგან. მოქმედების ცნება, ამ კრიმინალისტიკის აზრით, შერაცხვის ცნებას ემთხვევა, მაშასადამე იგი მოიცავს მართლწინააღმდეგობასა და ბრალსაც. აღნიშნული შეხედულების თანახმად, მოქმედებად სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ბრალეული, მართლსაწინააღმდეგო ქმედობა.

მოქმედების ასეთ გაგებას უერთდება შემდგომ კ. ბინდინგი, რომელიც ამტკიცებს, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით მოქმედება „განხორციელებულ იურიდიულად რელევანტურ ნებას წარმოადგენს“². მაშასადამე, მისი აზრით, ნებისყოფის აქტის ცნება იმ მნიშვნელობით, როგორითაც იგი ფსიქოლოგიას ესმის, სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის მნიშვნელობას მოკლებულია.

მოქმედების წმინდა იურიდიული, ნორმატივისტული გაგება დამახასიათებელია განსაკუთრებით იმპერიალისტური პერიოდის სისხლის სამართლისათვის, ნეოკანტიანელი კრიმინალისტიკისათვის, რომლებიც პრინციპულად თითქმის უშავებენ ყოფიერების და ჯერარსის სფეროს და, ამის შესაბამისად, აღწერილობითსა და შეფასებით მეცნიერებათა სფეროებს. ეს კრიმინალისტიკები ამტკიცებენ, რომ სისხლის სამართლის თვალსაზრისით რელევანტური მოქმედების ცნება, ისევე, როგორც სხვა სისხლისსამართლებრივი ცნებანი, წმინდა ნორმატიულ

¹ ს. ლ. რუბინშტეინი, ციტ. ნაშრ., გვ. 537.

² K. Binding, Die Normen und ihre Übertretung, Leipzig, 1916, S. 92.



ხასიათს ატარებს. ასე, ვ. ზაუერის აზრით, „მართლწესრიგის ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს. რომ ახსნას და აღწეროს ადამიანის მოქმედება როგორც ბუნებრივი მოვლენა, არამედ იმაში, რომ შეაფასოს იგი როგორც სოციალური მოვლენა“.¹ ნორმატიული თეორიის მიხედვით მოქმედება სისხლის სამართლის აზრით გაგებულ უნდა იქნეს არა როგორც ობიექტურ სამყაროში მიმდინარე რეალური პროცესი, რომელშიც ადამიანი შეგნებულად და მიზანდასახულად შემოქმედებას ახდენს გარე სამყაროზე, არამედ როგორც შეფასებითი მსჯელობა, რომლისთვისაც ის, რაც ნებისყოფამ გამოიწვია, მნიშვნელოვანია მართლმოდენ როგორც საბაზი სისხლისსამართლებრივი სასჯელის შეფარდებისათვის.

ამრიგად ნებელობითი ქცევის მეცნიერულად დასაბუთებული ცნების მაგივრად ნორმატივისტები გვთავაზობენ ყოველგვარი ობიექტურისგან დაცლილ სუბიექტურ ცნებას, რომლის არსს ყოველ ცალკე შემთხვევაში ბურჟუაზიული მოსამართლის შეფასებითი მსჯელობა ადგენს.

ქმედობის სუბიექტური გაგება თავის კულმინაციურ წერტილს აღწევს ახალ თეორიაში ქმედობის შესახებ, რომელსაც „ფინალური მოძღვრება“ ეწოდება. ეს თეორია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში წარმოიშვა და მეტად გავრცელდა ფედერაციული გერმანიის სისხლის სამართლის თეორიაში. მისი მამამთავარია ჰ. ველცელი, ხოლო ძირითადი წარმომადგენლები — მაურახნი, ნიზე, ვალასი და სხვ.

ფინალურ თეორიას საფუძვლად უდევს ბურჟუაზიული ფილოსოფოსის ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიური მოძღვრება ყოფიერების შესახებ, სახელდობრ, ჰარტმანის თეზისი ადამიანის ქმედობის ფინალური ბუნების შესახებ.

ფინალური თეორია პრეტენზიას აცხადებს მოქმედების ისეთი თეორიის შექმნაზე, რომელიც წინ უსწრებს ამ ცნების სამართლებრივ გაგებას და საერთოა დანაშაულის გამოვლინების ყველა ფორმისათვის, ე. ი. როგორც პოზიტიური. ისე ნეგატიური მოქმედებისათვის, როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი ბრალისათვის. ამ მოთხოვნას, ფინალური თეორიის აზრით, ძველი „კაუზალური თეორია“ ვერ აკმაყოფილებდა.

მოქმედების „კაუზალური თეორიის“ ძირითად ნაკლად „ფინალური მოძღვრების“ წარმომადგენლები იმას თვლიან, რომ მას ქმედობის არსად მიაჩნდა მისი კაუზალური ხასიათი შედეგის მიმართ. ქმედობის „კაუზალური“ თეორიისათვის მოქმედება როგორც ნებისყოფის აქტი იმით ხასიათდება, რომ „სხეულებრივი მოძრაობა გამოწვეული იყო ნებით“, რომ მაშასადამე, რაღაც

იყო ნასურვები, მაგრამ ეს თეორია საჭიროდ არ თვლიდა დაეყენებინა ის საკითხი, თუ რა იყო ნასურვები, რისკენ მისწრაფოდა ნება. ნებისყოფის შინაარსს კაუზალური თეორიის მიხედვით, მნიშვნელობა არა აქვს მოქმედების ცნებისათვის; ნებისყოფის შინაარსი მიეკუთვნება მოძღვრებას ბრალის შესახებ, თანაც ბრალად „კაუზალური“ თეორია განზრახვას და გაუფრთხილებლობას თვლის.

ფინალურ თეორიას ქმედობის ძირითად ელემენტად მიაჩნია არა მისი კაუზალური ხასიათი, არამედ მისი სუბიექტური შინაარსი, მისი მიზანსწრაფულობა. „ადამიანის მოქმედება მიზნობრივი საქმიანობის განხორციელებას წარმოადგენს. ქმედობა ამიტომ „ფინალური“ და არა მხოლოდ კაუზალური მოვლენაა.

¹ W. Sauer, Irundlagen des Strafrechts, Berlin und Leipzig, 1921, S. 35.

ნაა“¹ — აცხადებს ფინალური მოძღვრების მამამთავარი ჰ. ველცელი. მაგრამ რას ნიშნავს ქმედობის „ფინალურობა“? ამ კითხვაზე ფინალური მოძღვრება ქმედობის შესახებ ასე უპასუხებს: „ქმედობის ფინალურობა ანუ მიზანსწრაფულობა იმას ემყარება, რომ ადამიანს თავისი კაუზალური ცოდნის საფუძველზე შეუძლია განსაზღვრული მოცულობით გაითვალისწინოს თავისი საქმიანობის შესაძლებელი შედეგები, დასახოს სხვადასხვა მიზნები და გეგმაზომიერად წარმართოს თავისი საქმიანობა ამ მიზნების მისაღწევად“². ფინალური თეორიის წარმომადგენლები ცდილობენ მკვეთრად გამოჰყოფონ ფინალური მოქმედება კაუზალურისაგან. „ფინალური საქმიანობა — ეს არის მიზნისკენ შეგნებულად მიმართული მოქმედება, მაშინ, როდესაც წმინდა კაუზალური მოვლენა მიზნით წარმართული კი არ არის. არამედ რაიმე მიზეზობრივი კომპონენტების არსებობის შემთხვევითი შედეგია. ამიტომ — სახოვანი გამოთქმა რომ ვინმართ — ფინალურობა თვალსიჩქარით, ხოლო კაუზალობა — ბრმაა“³.

ფინალური მოქმედების ძირითად ელემენტად ამ შეხედულების წარმომადგენლები ნებას თვლიან. იგი ობიექტურად აფორმებს და გარდაქმნის გარეგან კაუზალურ მოვლენას, რომელიც ნებისყოფით წარმართვის გარეშე სწორედ რომ ბრმა პროცესი იქნებოდა.

მოქმედების ფინალური სტრუქტურა ორი ძირითადი საფეხურისაგან შედგება. პირველი საფეხური მთლიანად აზროვნების სფეროში მიმდინარეობს და შემდეგ მომენტებს მოიცავს: ა) მოქმედებისათვის დასახული მიზნის წინასწარ განჭვრეტა (Vorwegnahme); ბ) იმ საშუალების ანუ კაუზალური ფაქტორის შერჩევა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება მიზნის მიღწევა, და გ) იმ თანამდევი შედეგების გათვალისწინება, რომლებიც მიზნის განხორციელებასთან არიან დაკავშირებული. ფინალური მართვის მეორე საფეხური რეალურ სამყაროში მიმდინარეობს და გულისხმობს მოქმედის მიერ წინასწარ დასახული მიზნის, არჩეული საშუალებებისა და თანამდევი შედეგების გათვალისწინების საფუძველზე მიზეზობრივი პროცესის წარმართვას⁴.

ფინალურად განხორციელებული, ამ თეორიის თანახმად, მხოლოდ ის შედეგია, რომელიც წინასწარ გათვალისწინებული იყო სუბიექტის მიერ როგორც მოქმედების მიზანი ან საშუალება ან თანამდევი შედეგი და რომლის განხორციელებაზე მიმართული იყო ფინალური ნებისყოფა.

ის დებულება, რომ ადამიანის მოქმედება მიზანდასახული ქცევაა, რომ ადამიანს უნარი აქვს წინასწარ წარმოიდგინოს თავისი მომავალი მოქმედების შედეგი და თავის თავში აავსოს ის, რაც შემდეგ ობიექტურ სინამდვილეში უნდა განხორციელოს, რომ ადამიანს უნარი აქვს შეარჩიოს სათანადო საშუალება და გამოიყენოს შესაბამისი მექანიკური, ფიზიკური და ფსიქიკური კანონზომიერებანი დასახული მიზნის მისაღწევად — ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სწორია და ამაში არაფერი არ არის ახალი და ორიგინალური. ფინალური თეორიის არსი რომ ამით ამოიწურებოდეს. ჩვენ მის წინააღმდეგ არაფერი გვექნებოდა სათქმელი. მაგრამ ფინალური თეორიის ძირითადი არსი ამ დებულებით არ ამოიწურება. მთავარი ამ თეორიისათვის ის არის, რომ იგი აიგივებს ქმედობის

¹ H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystem, Göttingen, 1957, S. 3.

² R. Maurach, Deutsches Strafrecht. Allgemeiner Teil, Karlsruhe, 1954, S. 130.

³ H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystem, 1957, S. 3.

⁴ H. Welzel, Das neue Bild., 1957, S. 3—4.

ფინალურობას და განზრახულობას და განზრახვა მოქმედების ცნებაში შეაქვს. განზრახვა, ამ თეორიის აზრით, ბრალის ელემენტს კი არ წარმოადგენს, არამედ იგი თვით მოქმედების არსებითი შემადგენელი ნაწილია. წინააღმდეგ მოქმედების „კაუზალური“ თეორიისა, რომელიც მოქმედებას განიხილავდა წმინდა ნატურალისტურად როგორც გარესამყაროს ცვლილებას, რაც შეიძლება გრძნობელობით აღიქვას, „ფინალური მოძღვრება მოქმედებაზე“ განიხილავს მას როგორც არსებითად სუბიექტური შინაარსის მქონე ცნებას. „არაფინალურ მოძღვრებად ქმედობის შესახებ. — წერს რ. მაურახი, — უნდა ჩაითვალოს ყველა შეხედულება, რომელიც განზრახვას ბრალის შემადგენელ ელემენტად თვლის. თანმიმდევარი ფინალისტი მხოლოდ ის არის, ვინც განზრახვას განიხილავს როგორც ბუნებრივ განზრახვას, ე. ი. როგორც ისეთ ფენომენს, რომელიც მხოლოდ ქმედობის შემადგენლობას ეკუთვნის, ხოლო არაფინალისტი იმის, ვისაც განზრახვა ესმის ტრადიციულად როგორც *dolus malus*, შერაცხვის უნარი — როგორც განზრახვის წარმოშობის წინამძღვარი, რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნება — როგორც განზრახვის შემადგენელი ნაწილი“.¹

ამგვარად ფინალისტები ილაშქრებენ სისხლის სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებული დებულების წინააღმდეგ. რომლის მიხედვით განზრახვა — ბრალის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმაა, „ბოროტი“ განზრახვაა და არა სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ინდიფერენტული მოვლენის გათვალისწინება და სურვილი ან დაშვება.

ამევებენ-რა განზრახვას ბრალის სფეროდან და გადააქვთ-რა იგი ფინალური მოქმედების სფეროში, ფინალისტები ამავე დროს განზრახვის შინაარსს მნიშვნელოვნად ცვლიან. ეს უკვე აღარ არის „ბოროტი განზრახვა“ (*dolus malus*), ე. ი. პირის ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედობისადმი, რომელიც შეიძლება შეფასებულ იქნეს როგორც ზნეობრივად გასაკიცხი, არამედ იგი წარმოადგენს ყოველგვარ შეფასებას მოკლებულ ბუნებრივ ფსიქიკურ პროცესს, რომელიც არსებითად ნიშნავს პირის ნებისყოფას იმოქმედოს განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად. ცხადია, ასეთი განზრახვის აუცილებელ წინამძღვარს არ შეიძლება წარმოადგენდეს შერაცხვაუნარიანობა. მაშინ როდესაც გაბატონებული შეხედულების თანახმად, განზრახი მოქმედება შეიძლება მხოლოდ შერაცხადმა პირმა ჩაიდინოს. ფინალური მოძღვრება მოქმედების შესახებ თვლის, რომ განზრახი მოქმედების უნარი შეურაცხ პირებსაც აქვთ?.

ვინაიდან განზრახვა ფინალურ თეორიას მოქმედების ცნებაში შეაქვს, ამიტომ იგი როგორც „უმართლობის“ სუბიექტური ელემენტი მართლწინააღმდეგობის აუცილებელ საფუძვლად იქცევა. მართლაც, ფინალური თეორიის წარმომადგენლები ილაშქრებენ მართლწინააღმდეგობის ცნების ობიექტური გაგების წინააღმდეგ და განიხილავენ მას როგორც სუბიექტურ ცნებას. როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. მ. დ. შარგოროდსკი, განზრახვის შეტანით მოქმედების ცნებაში არსებითად „უარყოფილია მართლწინააღმდეგობის ობიექტური განსაზღვრების შესაძლებლობა და მას უპირისპირდება მართლწინააღმდეგობის“.

¹ R. Maurach, Deutsches Strafrecht. Allgemeiner Teil, Karlsruhe, 1954, S. 131.

² რ. მაურახი, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

გობის წმინდა სუბიექტური ელემენტები, რომლებიც სხვადასხვაგვარია განზრახვისა და გაუფრთხილებლობისათვის“.¹

მეორე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც ფინალური თეორიიდან გამომდინარეობს, ბრალის ცნებას შეეხება. თუ ბრალის ცნებიდან განზრახვა და გაუფრთხილებლობა გავაძევებთ, მაშინ რაღაა ბრალი? ამ კითხვაზე ფინალური თეორიის წარმომადგენლები ასე გვიპასუხებენ: ბრალი არ შედის დანაშაულის შემადგენლობაში. იგი შემადგენლობის გარეშეა. ბრალი არის მსჯელობა ნებისყოფის წარმოშობის დასაგმობი ხასიათის შესახებ. პერსონალური ვაკაცხვა-მიმართული პიროვნების წინააღმდეგ. რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირი არასწორად მოქმედებდა, თუმცა მას შეეძლო ჰქონოდა ნორმის შესაბამისად მოქმედების ნებისყოფა. „ბრალის კონსტიტუციური ელემენტს... — წერს ჰ. ველცელი, — მხოლოდ გასაკიცხობა (Vorwerfbarkeit) წარმოადგენს. იგი გადამწყვეტი ახალი მომენტი, რომელიც მოქმედებას ემატება და მას ბრალეულობის თვისებას ანიჭებს. მხოლოდ გასაკიცხობაზეა ლაპარაკი მოძღვრებაში ბრალის შესახებ, მაშინ როდესაც საგანი, რომელიც ფასდება როგორც ბრალეული — მოქმედება და მოქმედების ჩადენის ნებისყოფა — განიხილება უკვე მოძღვრებაში მოქმედებისა და უმართლობის შესახებ“.²

ფინალურმა თეორიამ განავითარა და თავის ლოგიკურ დაბოლოებაამდე მიიყვანა ის დებულებანი ბრალის შესახებ. რომელნიც თავდაპირველად ბრალის ნორმატიულმა თეორიებმა წამოაყენეს. უკვე ნორმატიული თეორიის წარმომადგენლები (ფრანკი, მ. ე. მაიერი, პ. მერკელი, თ. ბერგი და სხვ.) განიხილავდნენ ბრალს როგორც შეფასებით კატეგორიას, როგორც მსჯელობას გასაკიცხობის შესახებ, თანაც თუმცა განზრახვას და გაუფრთხილებლობას ისინი ბრალის ფორმებად არ თვლიდნენ, მაგრამ სულ კი არ აძევებდნენ ამ ცნებებს ბრალის სფეროდან, არამედ განიხილავდნენ როგორც მის აუცილებელ პირობებს ან ელემენტებს.³

შემდგომი ნაბიჯი იმ მიმართულებით, რომ გაეთავისუფლებინა ბრალის ცნება ფსიქიკური დამოკიდებულებისაგან შედეგისადმი, ე. ი. განზრახვისა და გაუფრთხილებლობისაგან ა. დონამ გადადგა. დონა უპირისპირებს ერთმანეთს დანაშაულის შეფასებითსა და ფაქტიურ მხარეს. მართლწინააღმდეგობა და ბრალი დონას სისტემაში მკვეთრად უპირისპირდება დანაშაულის შემადგენლობას. რომელიც განიხილება როგორც ლიტონი ფაქტიურობა. დონას აზრით, „ბრალზე მსჯელობის დროს. ისევე, როგორც მართლწინააღმდეგობის დადგენისას, საქმე გვაქვს შეფასების შედეგთან, თანაც მართლწინააღმდეგობის დადგენის დროს ვაფასებთ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს, ხოლო ბრალის დადგენის დროს — მის სუბიექტურ მხარეს“.⁴ ამავე დროს ა. დონა არ მიუთითებდა, რა ადგილი უნდა დაეჭირა დანაშაულის შემადგენლობაში პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედობისადმი, რომელიც მოწყვეტილია

¹ М. Д. Шаргородский, Современное буржуазное уголовное законодательство и право М., 1961 г., стр. 43.

² H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystem, 1957, S. 39—40.

³ ასე, მაგალითად, თ. ბერგი მიუთითებდა: „ის, რომ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებანი გავებულ უნდა იქნენ არა როგორც ბრალის სახეები, არამედ მხოლოდ როგორც ბრალზე მსჯელობის წინამდებარები, ახლა უკვე დადგენილია“ (იხ. O. Berg, Der gegenwärtige Stand der Schuldlehre im Strafrecht, Breslau, 1927, S. 72).

⁴ A. Dohna, Der Aufbau der Verbrechenlehre, Bonn, 1936, S. 31.

ბრალს. მოქმედების ფინალური თეორიის წარმომადგენლები თავიანთ დიდ და-
 მსახურებად თვლიან, რომ მათ განზრახვის ცნებას დანაშაულის შემადგენლო-
 ბის ცნებაში სათანადო ადგილი მიუჩინეს. „დონას ინიციატივა, — წერს ჰ. ველ-
 ცელი, — განავითარა შემდგომ ფინალურმა მოძღვრებამ მოქმედების შესახებ,
 რომელმაც უთავშესაფროდ დარჩენილ განზრახვას დანაშაულის შემადგენლო-
 ბის შესაბამის მოქმედებაში ჯეროვანი ადგილი მიუჩინა“.¹

ასეთია ფინალური თეორიის არსი და ის ძირითადი დასკვნები, რომლებიც
 ამ თეორიიდან გამომდინარეობენ.

როგორც ფინალური თეორიის გადმოცემიდან ჩანს, ფინალისტები მიზნად
 ისახავენ შექმნან მოქმედების ისეთი ცნება, რომელსაც მნიშვნელობა ექნება
 მთელი მოძღვრებისათვის დანაშაულის შესახებ, გვარობითი ცნება (*genus*
proximus), რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მისგან დედუქტიურად დანა-
 შაულებრივი ქმედობის ყველა სახეობა (*differentia specifica*) გამოვიყვა-
 ნოთ. მაშასადამე ფინალური თეორია პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ მის
 მიერ შექმნილი ფინალური მოქმედების ცნება უმაღლეს ცნებას წარმოადგენს
 როგორც განზრახვი, ისე გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის. სინამდვილეში,
 როგორც ამას თვით ბურჟუაზიული კრიმინალისტებიც მიუთითებენ, „ფინა-
 ლური მოძღვრება მოქმედების შესახებ“ ვერ ასაბუთებს გაუფრთხილებელი
 ქმედობის ფინალურ ხასიათს“.² თვით ფინალისტების მტკიცებით, „მხოლოდ
 ის შედეგია ფინალურად გამოწვეული. რომლის განხორციელებაზე მიზნის, სა-
 შუალების ან თანამდევნი შედეგის სახით ფინალურად არის წარმართული ად-
 მიანის ნება. ყველა დანარჩენი (თანამდევნი) შედეგი, რომელიც ნების ფინალუ-
 რი განხორციელებით მოცული არ არის, წმინდა კაუზალურ შედეგად უნდა
 ჩაითვალოს“.³

იბადება კითხვა: მაშ რაში მდგომარეობს გაუფრთხილებელი დანაშაულებ-
 რივი ქმედობის ფინალურობა? გაუფრთხილებლობის არსი ხომ სწორედ იმაში
 მდგომარეობს, რომ სუბიექტს შეგნებული არა აქვს თავისი მოქმედების საზო-
 გადობრივად საშიში შედეგი და მაშასადამე, შეგნებული არა აქვს მთელი
 მიზეზობრივი პროცესი, ე. ი. არ იცის, რომ ის ძალები, რომელთაც იგი მიმარ-
 თავს, ასეთ შედეგს გამოიწვევენ. მაშასადამე მიზეზობრივ მოვლენათა შეგნებუ-
 ლი დეტერმინირება აქ გამორიცხულია.

ცდილობენ-რა გაუფრთხილებელი დანაშაულებრივი ქმედობაც როგორმე
 ფინალური მოქმედების პროკრუსტეს სარეცელში მოათავსონ, ფინალისტები
 გაუფრთხილებელი ქმედობის ფინალური ბუნების დასაბუთების რამდენსამე
 ცდას იძლევიან.

თავდაპირველად ველცელი მიუთითებდა, რომ განზრახვი დანაშაულისაგან
 განსხვავებით, რომელიც აქტუალურ ფინალურობას წარმოადგენს, გაუფრთხი-
 ლებელ დანაშაულს პოტენციალური ფინალურობა ახასიათებს. გაუფრთხი-
 ლებლობა, მისი აზრით, პოტენციალურად ასაცდენი ქმედობაა. „... ფინალური
 მოქმედება სამართალში ორი ასპექტით გამოდის: როგორც მოქმედება გასა-
 კიცხი ფინალობით — განზრახვი ქმედობა, და როგორც მოქმედება სოციალუ-

¹ H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystem, 1957, S. 40.

² იხ. მაგალითად. Th. Rittler, Lehrbuch des österreichischen Strafrechts, Allge-
 meiner Teil, Wien, 1954, S. 61.

³ H. Welzel, Das neue Bild., 1957, S. 4—5.

რად ინდიფერენტული ფინალობით. მაგრამ სოციალურად არასასურველი, არა-ფინალური შედეგებით, რომლებიც არ განხორციელდებოდნენ, სწორი ფინალური მიმართულება რომ ყოფილიყო არჩეული — გაუფრთხილებელი ქმედობა“.¹

ეს დასაბუთება მიზანს ვერ აღწევდა. იმის მაგივრად, რომ დაესაბუთებინათ გაუფრთხილებლობის ფინალური ხასიათი, ფინალისტები სწორედ მის არა-ფინალურობაზე მიუთითებდნენ და ასაბუთებდნენ არაფინალური მოქმედების გასაკიცხ ხასიათს, სახელდობრ იმას, რომ სუბიექტს ნების სოციალური თვალსაზრისით სწორად წარმართვის შემთხვევაში შეეძლო აეცდინა საზოგადოებისათვის არასასურველი შედეგი. მაგრამ ის გარემოება, შეეძლო თუ არა მოქმედს სწორად ემოქმედნა, ე. ი. თავისი მოქმედების საზოგადოებრივად არასასურველი შედეგები წინასწარ გაეთვალისწინებინა და აეცდინა, შედის არა მოძღვრებაში მოქმედების შესახებ. არამედ მოძღვრებაში ბრალის შესახებ და უნდა გადაწყდეს მას შემდეგ, რაც მოქმედებისა და მიზეზობრივი კავშირის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ცხადია, ბრალის საკითხზე მსჯელობის დროს სულ სხვა მომენტები უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, ვიდრე ზიანის გამოწვევი მოქმედების არსებობის თუ არარსებობის დადგენის დროს.

უკანასკნელ ხანს ფინალური თეორიის წარმომადგენლები სხვა ხერხს მიმართავენ იმისათვის, რომ დაასაბუთონ გაუფრთხილებელი ქმედობის ფინალური ხასიათი. ისინი ამტკიცებენ, რომ თუმცა „განზრახ ქმედობებში ფინალურობა უფრო მკვეთრად ჩანს: აქ მოქმედების ნებელობა და განზრახვა ერთმანეთს ემთხვევა“; მაგრამ გაუფრთხილებელი ქმედობანიც არ არიან მოკლებული ფინალურობას². ფინალურობა შეიძლება ვრცელდებოდეს მხოლოდ ზოგიერთ შედეგზე და არ ვრცელდებოდეს სხვა შედეგებზე, რომელნიც თუმცა კაუზალურად დაკავშირებული არიან მოქმედებასთან, მაგრამ არც შეგნებით და არც ნებით მოცული არ არიან. ამიტომ არ არსებობს „თავისდა თავად“ და „აბსოლუტურად“ ფინალური მოქმედება, არამედ მოქმედება ფინალურია ნების განხორციელებით გამოწვეული წინასწარ გათვალისწინებული შედეგის მიმართ. ექთანი, რომელმაც ავადმყოფს შეცდომით მორფიუმის სასიკვდილო დოზა შეუშხაპუნა, მოქმედებს ფინალურად ინექციის (შეშხაპუნების) მიმართ, მაგრამ იგი არ იდენს ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობის ფინალურ მოქმედებას³. განსხვავება განზრახ და გაუფრთხილებელ მოქმედებას შორის, ფინალისტების აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ „თუ განზრახი ქმედობის დროს ფინალურობა მიმართულია შემადგენლობის შესაბამის შედეგზე, განუზრახველ დელიქტებს სწორედ ის ახასიათებს, რომ აქ ფინალურობა მიმართულია არა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის. არამედ, როგორც საერთო წესი, სამართლებრივი თვალსაზრისით ინდიფერენტულ შედეგზე“⁴.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, მოქმედების „კაუზალური“ თეორიის ძირითად ნაკლად ფინალისტები იმას თვლიან, რომ ეს თეორია მნიშვნელობას არ ანიჭებს ნებისყოფის შინაარსს და მოქმედების არსებობისათვის საკმარისად

¹ H. Welzel, Aktuelle Strafrechtsprobleme im Rahmen der finalen Handlungslehre, Karlsruhe, 1953, S. 6.

² რ. მათრახი, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

³ H. Welzel, Das neue Bild., 1957, S. 5.

⁴ რ. მათრახი, დასახ. ნაშრ., გვ. 140.



თვლის იმ ფაქტს, რომ პიროვნებამ ჩაიდინა ნებელობითი მოქმედება, რომელიც შედეგის მიმართ კაუზალური იყო. ველცელის მაგალითი რომ ავიღოთ, ექთანი, რომელმაც ავადმყოფს შეცდომით მორფიუმის სასიკვდილო დოზა შეუსწავა. გაბატონებული შეხედულების თანახმად, მკვლევლობის მოქმედებას იღენს. მართალია, მისი მიზანი ავადმყოფის მკურნალობა იყო. მაგრამ. თუ მის მოქმედებას კაუზალური თვალსაზრისით განვიხილავთ, ე. ი. იმ თვალსაზრისით, რომ შედეგი ობიექტურად მის ავტორს დაუეკავშიროთ, მაშინ ეს მოქმედება ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობის ანუ მკვლევლობის მოქმედებად უნდა ჩაითვალოს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედობას ეწოდება გაუფრთხილებლობითი მკვლევობა. მიუხედავად იმისა, რომ შედეგი სუბიექტის მოქმედების მიზანს არ წარმოადგენს, ე. ი. ფინალური არ არის. ფინალური თეორიის მიხედვით კი ამ შემთხვევაში მკვლევლობის მოქმედებას ადგილი არა აქვს, ვინაიდან ფინალურობა მხოლოდ ინექციის გაკეთებას შეეხება, ამიტომ, ამ თეორიის მიხედვით მოქმედებად საკუთრივი მნიშვნელობით, ე. ი. მოქმედებად, რომელშიც ნების შინაარსი მის განხორციელებას ემთხვევა. მხოლოდ ინექცია უნდა ჩაითვალოს. ფინალურია მარტოოდენ ინექცია, ხოლო პაციენტის სიკვდილი კაუზალურად არის მიყენებული. და თუ ფინალური თეორია მაინც ცდილობს გაუფრთხილებელი ქმედობის ფინალურობა დაასაბუთოს, ამას იგი მხოლოდ იმით აღწევს. რომ თავის ძირითად პრინციპზე ხელს იღებს, ვინაიდან გაუფრთხილებელი მოქმედება სწორედ იმით ხასიათდება. რომ ნებისყოფის შინაარსი და ფაქტიური კაუზალური პროცესი ერთმანეთს არ ემთხვევა. გაუფრთხილებელი დელიქტების დროს ფინალური თეორია მოქმედების ცნებას ისევე ახასიათებს, როგორც ტრადიციული მოძღვრება ბრალის შესახებ. სახელდობრ, გაუფრთხილებელი დელიქტებისათვის იგი მოითხოვს, რომ თავისთავად მოქმედება იყოს ნებელობითი და რომ ეს ნებელობითი მოქმედება კაუზალურ დამოკიდებულებაში იყოს საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან. მაშასადამე, აქ იგი ნებელობითი მოქმედებინ მხოლოდ კაუზალობას სჯერდება. ამიტომ სწორად უნდა ჩაითვალოს ბურჟუაზიული კრიმინალისტიკის ი. ბაუმანის მითითება, რომ „ფინალური მოძღვრება ბრალის შესახებ მხოლოდ განზრახვი დელიქტების დროს მოითხოვს მოქმედებისათვის, რომ ნება ფინალურად წარმართებოდეს საბოლოო შედეგისაკენ, ხოლო გაუფრთხილებელი ქმედობების დროს იგი უფრო ნაკლებით კმაყოფილება“.¹ მაგრამ ფინალური თეორიის გადახვევა თავისი ძირითადი დებულებიდან და გაუფრთხილებელი ქმედობის ახსნისას ტრადიციულ მოძღვრებაზე გადასვლა ისეთ ბუნდოვან ფორმაში ხდება, რომ მკითხველისათვის ამის ნათლად გაგება ზოგჯერ მეტად ძნელია.²

ფინალური თეორიის მეორე არსებითი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედების ცნებაში განზრახვის შეტანით. ხოლო მართლწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობის საფუძვლად მოქმედების სუბიექტური შინაარსის, ე. ი. განზრახვის აღიარებით მან მართლწინააღმდეგობა წმინდა სუბიექტურ ცნებად გა-

¹ I. Baumann, Strafrecht. Allgemeiner Teil, 2. Aufl., Bielfeld, I: 61, S. 158.

² საკვებით მართებულად აღნიშნავს ამიტომ ა. ვეგნერი, რომ ფინალური თეორია მოქმედების შესახებ იურიდიულ კუბიზმს წარმოადგენს და მისი გაგება, მით უმეტეს მისი პრაქტიკული გამოყენება, შეუძლებელია (იხ. A. Wegner, Strafrecht. Allgemeiner Teil, Göttingen, 1951, S. 105).

მოაცხადა, რითაც წაშალა ნათელი და მკვეთრი ზღვარი, რომელიც საკითხის ხანგრძლივი მეცნიერული დამუშავების შედეგად დადებულ იქნა მართლწინა-აღმდეგობის ობიექტური შინაარსის ცნებასა და ბრალის სუბიექტური შინაარსის ცნებას შორის.

სოციალისტურ სამართალში გაბატონებული შეხედულების თანახმად მართლწინააღმდეგობა გულისხმობს ქმედობის ობიექტურ წინააღმდეგობას სამართლებრივი ნორმისადმი. მართლწესრიგი აფასებს მოქმედებას როგორც უარყოფითს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს ან ჰქმნის ასეთი ზიანის მიყენების შესაძლებლობას, ე. ი. მაშინ, როდესაც მოქმედება საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს. ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება მართლწინააღმდეგობის მატერიალურ შინაარსს წარმოადგენს. ქმედობის ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ეს მოთხოვნა მოქალაქის თავისუფლების გარანტიას წარმოადგენს: სოციალისტური სახელმწიფო მხოლოდ მაშინ აძლევს თავის თავს უფლებას დათრგუნოს ქმედობა, როდესაც იგი ნამდვილად ობიექტურად ემუქრება სისხლის სამართლის კანონით დაცულ ინტერესებს.

„ფინალურ მოძღვრებას მოქმედებაზე“ მართლწინააღმდეგობის საკითხის გადაჭრის მთელი სიმძიმე მოქმედების სუბიექტურ მხარეზე გადააქვს. მართლწინააღმდეგობა, ამ თეორიის წარმომადგენელთა აზრით, არის არა შედეგის გასაკიცხობა, არამედ მოქმედების გასაკიცხობა. და რამდენადაც მოქმედების ცნების ცენტრს მისი ფინალურობა წარმოადგენს, ამდენად მართლწინააღმდეგობის ცნების საფუძველსაც მოქმედების სუბიექტური შინაარსი განსაზღვრავს. აქედან დასკვნა: მოქმედება შეიძლება არ შეიცავდეს არავითარ საშიშროებას სამართლით დაცული ინტერესებისათვის, მაგრამ თუ იგი ფინალური თვალსაზრისით გასაკიცხია, მართლსაწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს.

სუბიექტური მომენტის — კერძოდ განზრახვის შეტანას მოქმედებისა და მართლწინააღმდეგობის ცნებებში განსაზღვრული კლასობრივი აზრი აქვს. ბურჟუაზიული მოსამართლე ბუნებრივია გამოიყენებს ფინალური თეორიით შექმნილ შესაძლებლობას და დამნაშავეს დასჯადობისათვის გადამწყვეტ მომენტად ჩათვლის არა იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს პირის ქმედობას ობიექტურ სინამდვილეში და როგორია ამ მოქმედებით შექმნილი საზოგადოებრივი საშიშროება, არამედ იმას. თუ როგორი იყოს სუბიექტის მოქმედების მიზანი, მისი ფინალურობა. როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. ბ. ს. მანკოვსკი, — „ფინალური სისხლის სამართლის თეორიაში კანონით ზუსტად გათვალისწინებული და დასჯადი ქმედობის ადგილს იჭერს პასუხისმგებლობა პირის განწყობისათვის, მისი ისეთი აზრთა წყობისათვის, რაც მიუღებელია გაბატონებული ბურჟუაზიისათვის“.¹ და მართლაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილ კრიმინალისტს ი. ლექშასს თავის ერთ-ერთ შრომაში მოჰყავს დასავლეთ გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკიდან მაგალითები, საიდანაც ჩანს, თუ როგორ იყენებენ „ფინალურ მოძღვრებას მოქმედების შესახებ“, ერთის მხრივ. მშვიდობისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი გერმანელი პატრიოტების დასასჯელად, ხოლო, მეორე მხრივ, მძიმე დანაშაულთა ჩამდენი ფა-

¹ Б. С. Маньковский, Реакционная неокантианская теория финального уголовного права, „Советское государство и право“, 1959 г., № 4, стр. 102.

შისტი დამნაშავეების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გასანთავისუფლებლად“!

ასეთივე ყალბია ფინალური თეორიის მოძღვრება ბრალის შესახებ. როგორც დავინახეთ, ფინალური თეორიისათვის განზრახვა და გაუფრთხილებლობა არათუ ბრალის ფორმებს, არამედ მის აუცილებელ ელემენტებს და პირობებსაც კი აღარ წარმოადგენენ. ამავე დროს განზრახვა და გაუფრთხილებლობა წარმოადგენენ საფუძველს, საგანს მხოლოდ მართლწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობისათვის. ბრალიც, ისევე როგორც მართლწინააღმდეგობა, შეფასებითი მსჯელობაა. მაგრამ ყოველი შეფასებითი მსჯელობა გულისხმობს საგანს, რომლის თაობაზეც იგი გამოითქმება. თუ განზრახვა და გაუფრთხილებლობა მართლწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობის საგანს წარმოადგენენ, რაღაა ბრალის შესახებ მსჯელობის საგანი? ბრალის შესახებ შეფასებითი მსჯელობის საგანს ფინალური თეორიის აზრით. წარმოადგენს სუბიექტის ნების დამოკიდებულება მართლწესრიგისადმი: ნება გასაკიცხია მაშინ, როდესაც იგი არ შეესაბამება ნორმას, თუმცა იგი უნდა ყოფილიყო და შეიძლებოდა ყოფილიყო ნორმის შესაბამისი. სხვანაირად რომ ვთქვათ. ბრალის შესახებ მსჯელობის საგანს, ფინალური თეორიის აზრით, წარმოადგენს სუბიექტის ნების დამოკიდებულება მართლწესრიგისადმი: ნება გასაკიცხია მაშინ. როდესაც იგი არ შეესაბამება ნორმას, თუმცა იგი უნდა ყოფილიყო და შეიძლებოდა ყოფილიყო ნორმის შესაბამისი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბრალის შესახებ მსჯელობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ის. რომ სუბიექტს შესაძლებლობა ჰქონდა შეეცნო თავისი მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. ამგვარად, მართლწინააღმდეგობის შეგნება ამოღებულია განზრახვის ცნებიდან, რომელიც ყოველგვარ შეფასებით მომენტს მოკლებულია, და გადატანილია ბრალის სფეროში როგორც „გასაკიცხობის“ (Vorwerfbarkeit) ელემენტი.

მანკიერია, უპირველეს ყოვლისა, ფინალისტების მტკიცება, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა გადატანილ უნდა იქნენ მოქმედების სფეროში და გამოძევებული ბრალის სფეროდან. თუ განზრახვაზე კიდევ შეიძლება ითქვას, რომ თავისთავად აღებული, იგი მოკლებულია შეფასების მომენტს და ამიტომ შეიძლება გათანაბრებულ იქნას ფინალურობასთან, ამასვე ვერ ვიტყვით გაუფრთხილებლობაზე იმის გამო, რომ გაუფრთხილებლობის ცნება თავის თავში უკვე შეიცავს შეფასების მომენტს. განზრახ შეიძლება გააკეთო კარგი საქმეც და ცუდი საქმეც. შეიძლება კეთილი განზრახვა და ბოროტი განზრახვაც, მაგრამ არ შეიძლება იყოს კარგი გაუფრთხილებლობა. გაუფრთხილებლობა ყოველთვის გულისხმობს უარყოფით მსჯელობას, გულისხმობს იმას. რომ სუბიექტმა დაარღვია ჯეროვანი, სწორი მოქმედების ნორმა. ამიტომ როგორ შეიძლება ეს ცნება მიეკუთვნოს მოქმედების ცნებას. ე. ი. ისეთ ცნებას, რომელიც თავით ფინალისტების მითითებით, მოკლებულია სამართლებრივი შეფასების ნორმატიულობის მომენტს და წინ უსწრებს სამართლებრივ შეფასებას როგორც ონტოლოგიური ცნება.

შეორეს მხრივ, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით განზრახვაც არ არის ყოველგვარ შეფასებით მომენტს მოკლებული. განზრახვა არის სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში ქმედობისადმი. სწო-

შისტი დამნაშავეების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გასანთავისუფლებლად“!

ასეთივე ყალბია ფინალური თეორიის მოძღვრება ბრალის შესახებ. როგორც დავინახეთ, ფინალური თეორიისათვის განზრახვა და გაუფრთხილებლობა არათუ ბრალის ფორმებს, არამედ მის აუცილებელ ელემენტებს და პირობებსაც კი აღარ წარმოადგენენ. ამავე დროს განზრახვა და გაუფრთხილებლობა წარმოადგენენ საფუძველს, საგანს მხოლოდ მართლწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობისათვის. ბრალიც, ისევე როგორც მართლწინააღმდეგობა, შეფასებითი მსჯელობაა. მაგრამ ყოველი შეფასებითი მსჯელობა გულისხმობს საგანს, რომლის თაობაზეც იგი გამოითქმება. თუ განზრახვა და გაუფრთხილებლობა მართლწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობის საგანს წარმოადგენენ, რაღაა ბრალის შესახებ მსჯელობის საგანი? ბრალის შესახებ შეფასებითი მსჯელობის საგანს ფინალური თეორიის აზრით. წარმოადგენს სუბიექტის ნების დამოკიდებულება მართლწესრიგისადმი: ნება გასაკიცხია მაშინ, როდესაც იგი არ შეესაბამება ნორმას, თუმცა იგი უნდა ყოფილიყო და შეიძლებოდა ყოფილიყო ნორმის შესაბამისი. სხვანაირად რომ ვთქვათ. ბრალის შესახებ მსჯელობის საგანს, ფინალური თეორიის აზრით, წარმოადგენს სუბიექტის ნების დამოკიდებულება მართლწესრიგისადმი: ნება გასაკიცხია მაშინ. როდესაც იგი არ შეესაბამება ნორმას, თუმცა იგი უნდა ყოფილიყო და შეიძლებოდა ყოფილიყო ნორმის შესაბამისი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბრალის შესახებ მსჯელობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ის. რომ სუბიექტს შესაძლებლობა ჰქონდა შეეცნო თავისი მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. ამგვარად, მართლწინააღმდეგობის შეგნება ამოღებულია განზრახვის ცნებიდან, რომელიც ყოველგვარ შეფასებით მომენტს მოკლებულია, და გადატანილია ბრალის სფეროში როგორც „გასაკიცხობის“ (Vorwerfbarkeit) ელემენტი.

მანკიერია, უპირველეს ყოვლისა, ფინალისტების მტკიცება, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა გადატანილ უნდა იქნენ მოქმედების სფეროში და გამოძევებული ბრალის სფეროდან. თუ განზრახვაზე კიდევ შეიძლება ითქვას, რომ თავისთავად აღებული, იგი მოკლებულია შეფასების მომენტს და ამიტომ შეიძლება გათანაბრებულ იქნას ფინალურობასთან, ამასვე ვერ ვიტყვით გაუფრთხილებლობაზე იმის გამო, რომ გაუფრთხილებლობის ცნება თავის თავში უკვე შეიცავს შეფასების მომენტს. განზრახ შეიძლება გააკეთო კარგი საქმეც და ცუდი საქმეც. შეიძლება კეთილი განზრახვა და ბოროტი განზრახვაც, მაგრამ არ შეიძლება იყოს კარგი გაუფრთხილებლობა. გაუფრთხილებლობა ყოველთვის გულისხმობს უარყოფით მსჯელობას, გულისხმობს იმას. რომ სუბიექტმა დაარღვია ჯეროვანი, სწორი მოქმედების ნორმა. ამიტომ როგორ შეიძლება ეს ცნება მიეკუთვნოს მოქმედების ცნებას. ე. ი. ისეთ ცნებას, რომელიც თავით ფინალისტების მითითებით, მოკლებულია სამართლებრივი შეფასების ნორმატიულობის მომენტს და წინ უსწრებს სამართლებრივ შეფასებას როგორც ონტოლოგიური ცნება.

შეორეს მხრივ, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით განზრახვაც არ არის ყოველგვარ შეფასებით მომენტს მოკლებული. განზრახვა არის სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში ქმედობისადმი. სწო-

რედ ამიტომ იგი ყოველთვის ბოროტი განზრახვაა. ჩვენ უარყოფითად ვაფასებთ სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას შედეგთან და ვუწოდებთ მას ბრალეულს იმის გამო, რომ სუბიექტს გათვალისწინებული ჰქონდა და სურდა (ან უშვებდა) ისეთი ქმედობა, რომელიც დანაშაულის შემადგენლობას შეესაბამება. ამავე დროს ის, ვინც ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით იღენს ქმედობას, რომელიც ფაქტიურად დანაშაულის შემადგენლობაში აღწერილ ნიშნებს შეესაბამება, იმავე დროს, როგორც წესი, იმასაც ითვალისწინებს, რომ მისი მოქმედება საზოგადოებრივად საშიშია. გასაგებია ამიტომ, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება შეტანილ უნდა იქნას არა ბრალის ზოგად ცნებაში. არამედ განზრახვის ცნებაში. მაგალითად. საბჭოთა მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის თანახმად (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი), „დანაშაული განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა ეს შედეგები ან შეგნებულად უშვებდა მათ დადგომას“.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს. რომ ფინალურმა თეორიამ სრული არევიდარევა შეიტანა დანაშაულის ცნების სისტემაში. დანაშაულის ცნება. ისე, როგორც იგი თანამედროვე სისხლის სამართალში ჩამოყალიბდა, ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროდუქტია. საყოველთაოდ მიღებული შეხედულების თანახმად, დანაშაული ორი ძირითადი მხარისაგან შედგება: ერთი — ეს არის დანაშაულის ობიექტური მხარე, ე. ი. ადამიანის ქცევა როგორც ადამიანის ნებისყოფის გარეგანი გამოვლინება, ამ ქცევის საზოგადოებრივად საშიშ შედეგი და მიზეზობრივი კავშირი მათ შორის. მეორე — დანაშაულის სუბიექტური მხარე, ბრალი, ე. ი. პიროვნების გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასთან და მის შედეგთან, რაც განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით ვლინდება. დანაშაულებრივი ქმედობის ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთიანობა ხორციელდება არა იზოლირებულად აღებული ქმედობის ცნებაში, რომელიც ფინალისტების აზრით, ონტოლოგიურ ცნებას წარმოადგენს და ყოველგვარ სამართლებრივ მსჯელობას წინ უსწრებს, არამედ დანაშაულის საერთო ცნებაში.

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში მკვიცვლის მოვადრობის შესახებ

ბ. მოსმსინანი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

მტკიცება წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა კანონით რეგლამენტირებულ მოქმედებას. იგი გულისხმობს დამამტკიცებელ წყაროთა შეგროვებას, განმტკიცებას, მათგან საჭირო დამამტკიცებელი საბუთების ამოკრეფას, მთლიანად დამამტკიცებელ წყაროთა, აგრეთვე ყოველი ცალკეული მტკიცებულების შეფასებას, სათანადო დასკვნების გამოტანას საქმის გარემოებათა შესახებ.

მოქმედი კანონით სასამართლო განხილვაში მონაწილე პირებს აქვთ თანაბარი უფლება წარადგინონ დამამტკიცებელი საბუთები, მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში და აღძრან შუამდგომლობანი (საქართველოს სსსკ 247-ე მუხლი). ნაწილი პირებისა აღჭურვილია მტკიცების უფლებით, ხოლო სხვებს დაკისრებული აქვთ მტკიცების მოვალეობა.

ასე მაგალითად, ბრალდებულს (სამართალში მიცემულს) უფლება აქვს მოითხოვოს, გაარკვიოს რაში სდებენ ბრალს და მისცეს ახსნა-განმარტება წაყენებული ბრალდების თაობაზე, აგრეთვე წარადგინოს დამამტკიცებელი საბუთები, აღძრას შუამდგომლობანი და ა. შ. (საქართველოს სსსკ 42 მუხლი), ე. ი. აქვს უფლება, მაგრამ არ არის მოვალე მონაწილეობა მიიღოს მტკიცებაში.

ბრალდებულს შეუძლია უარიც კი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე და არავის არა აქვს უფლება გამოძალოს ჩვენება მუქარისა და სხვა უკანონო დონისძიებათა გამოყენების გზით (საქართველოს სსსკ მე-18 მუხლის III ნაწილი). ბრალდებულის დუმილი, ისევე როგორც ცრუ ჩვენებების მიცემა სრულიადაც არ ლაპარაკობს მისი ბრალეულობის დადგენაზე.¹

ბრალდებული თუ იყენებს თავის უფლებას, მონაწილეობას იღებს მტკიცებაში. ეს ხელს უწყობს საქმის გარემოებათა სწორ და სწრაფ დადგენას, მაგრამ მისი მონაწილეობა არსებითად განსხვავდება სისხლის სამართლის პროცესის იმ სუბიექტთა საქმიანობისაგან, რომელთაც იგივე დაკისრებული აქვთ როგორც მოვალეობა. მოვალეობას უკავშირდება განსაზღვრული პროცესუალური მოქმედება იმისათვის, რომ შეიკრიბოს დამამტკიცებელი საბუთების წყაროები და საქმის ფაქტიური მონაცემები, მიღებულ იქნეს ზომები მათ განსამტკიცებლად, გამოსაკვლევად და შესაფასებლად, ჩამოყალიბდეს დასკვნები საქმის განსაზღვრულ გარემოებათა მიმართ. ეს თავის მხრივ სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის სუბიექტებს უქმნის კონკრეტულ უფლებებსა და მოვალეობებს.

¹ იხ. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო კოლეგიის განჩინებანი 1953 წლის 16 მარტისა და საქმეზე „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1954 г. № 2, стр. 26 და 1963 წლის 16 მაისისა ე. ა. ამირიანის საქმეზე—„Бюллетень Верховного Суда СССР“, 1963 г. № 5, стр. 25).

საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და სასამართლო-საგამომძიებლო პრაქტიკის ინტერესებს ეწინააღმდეგება ა. ი. ვიშინსკის თვალსაზრისის მტკიცების მოვალეობის შესახებ.

ა. ი. ვიშინსკი თავყვანს სცემდა ინგლისურ მტკიცებით სამართალს, რომლის განსაკუთრებით საინტერესო და ძვირფას ნაწილად იგი თვლიდა მოძღვრებას მტკიცების მოვალეობის შესახებ. ვიშინსკი ცდილობდა ამ მოძღვრების ზოგიერთი დებულება გადმოეტანა კიდევ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში. მაგრამ ინგლისური მტკიცებულებითი სამართლის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მასში საკითხი მტკიცების მოვალეობის შესახებ გადაწყვეტილია არა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

ასე, ინგლისურ მტკიცებულებათა სამართალში საერთო წესადაა აღიარებული, რომ „მტკიცების ტვირთი აწევს იმას, ვინც ამტკიცებს და არა მას ვინც უარყოფს“. ამავ დროს ინგლისურ მტკიცებულებათა სამართლით დაშვებულია მტკიცების ვალდებულების ბრალდებულზე გადატანის მთელი რიგი შესაძლებლობანი, რომლებიც თითქმის წესადაა გადაქცეული.¹

ამის მიუხედავად, საკითხის ასე გადაწყვეტა სწორად მიიჩნდა ა. ი. ვიშინსკის. „თუმცა წაყენებული ბრალდების დადასტურებისათვის მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალდებულს, — წერდა იგი, ეს ბრალდებულს და სამართალში მიცემულს არ ათავისუფლებს ანალოგიური მოვალეობისაგან იმ დებულებათა მიმართ, რომელთაც ისინი აყენებენ თავის დასაცავად“.

უდავოა. რომ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში მისი გამოყენება შეუძლებელია, ვინაიდან ბრალდებულის ბრალის დამტკიცება გულისხმობს ბრალდების დასაბუთებას და ბრალდებულის მიერ წამოყენებულ მოსაზრებათა უსაფუძვლობის დადგენას². ამიტომ, დაავალდებულო ბრალდებული უარყოს მის მიმართ წაყენებული ბრალდება. ფაქტიურად ნიშნავს—დააკისრო მათ მტკიცების მოვალეობა, რასაც შეიძლება მოჰყვეს სერიოზული უარყოფითი შედეგი.

რას წარმოადგენს მტკიცების მოვალეობა და სისხლის სამართლის პროცესის რომელ მონაწილეს აქვს დაკისრებულ იგი?

ბოლო დრომდე საკითხი მტკიცების მოვალეობის შესახებ საკანონმდებლო წესით არ იყო გადაწყვეტილი. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული იყო აზრი, რომ „სისხლის სამართლის პროცესში საკითხი მტკიცების ტვირთის შესახებ ასე ისმის: ვის აკისრია მოვალეობა ამტკიცოს ბრალდებულის ბრალეულობა“³.

ამ თვალსაზრისს არ შეიძლება დავეთანხმოთ, ვინაიდან სისხლის სამართ-

¹ კ. კენნი „Основы уголовного права“ უცხოური ლიტერატურის გამომცემლობა. 1949 წ., გვ. 388; ა. მ. ულშირი „Уголовный процесс“ იგივე გამომცემლობა. 1947 წ. გვ. 149—150.

² სხვა თვალსაზრისზე დგას ი. ი. მალხაზოვი, რომელიც თვლის, რომ „არ უნდა ავუროთ ისეთი სხვადასხვა ცნება, როგორცაა უდანაშაულობის მტკიცება და ბრალეულობის არსებულ მტკიცებათა უკუგდება“. იხ. ი. ი. მალხაზოვი „Перемещение обязанности доказывания и советский уголовный процесс“. Ученые записки დონის როსტოვის სახ. უნივერსიტეტი. 1957 წ. გამოშვება 3, გვ. 174.

³ მ. ს. სტროგოვიჩი „Материальная истина и судебные доказательства в советском уголовном процессе“ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომც. 1955 წ., გვ. 217; აგრეთვე იხ. ი. ი. მალხაზოვი. დასახელებული სტატია, გვ. 171; ვ. პ. რეზუხოვი, „Субъекты доказывания в советском уголовном процессе“. Вопросы государства и права. Ленинградის ლენინის ორდენისან ა. ა. ჟდანოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. № 255, 1958 წ., გვ. 112 და სხვა.

I love you

ლის პროცესში დასამტკიცებელია არა მარტო ბრალდებულის ბრალეულობა, არამედ საქმის მთელი რიგი სხვა გარემოებანიც (საქართველოს სსსკ მუხლი 59-ე). საკითხის ასეთი გადაწყვეტა კი არ პასუხობდა ამ მოთხოვნას და არ მიუთითებდა ყველა იმ სუბიექტზე, რომლებიც ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ მტკიცებაში.

უფრო მეტიც. ბრალდებულის ბრალეულობა ან არაბრალეულობა როგორც ყველა სხვა გარემოება, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დამტკიცდეს, ზუსტად შეიძლება დადგენილი იქნას მხოლოდ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი. სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად.

მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კანონმდებლობის მიღების შემდეგაც ზოგიერთი პროცესუალისტი, ჩვენის აზრით, მაინც არასწორად სწყვეტს ამ საკითხს.

ასე მაგალითად, ვ. ი. ვულფი წერს: „მტკიცების მოვალეობა ჩვეულებრივ ესმით როგორც პროცესის მონაწილის მოვალეობა დაამტკიცოს მის მიერ წამოყენებული ესა თუ ის დებულება. სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების მოვალეობა მდგომარეობს იმაში, რომ ბრალმდებელმა უნდა დაამტკიცოს ის ბრალდება, რომელსაც იგი მხარს უჭერს“¹.

მაგრამ, სრულიად სხვაგვარად არის გადაწყვეტილი ეს საკითხი საქართველოს სსსკ მე-18 მუხლში (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსს კოდექსების შესაბამის მუხლებში), რომელიც მტკიცების მოვალეობას აკისრებს სასამართლოს. პროკურორს, გამომძიებელს, პირს, რომელიც მოკვლევას აწარმოებს და მტკიცების მოვალეობაში ესმის მათი მოვალეობა მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის, გამოავლინონ ბრალდებულის. როგორც მამხილებელი ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

ამით კანონმდებელმა კონკრეტულად მიუთითა იმ სუბიექტებზე, რომლებსაც აკისრია მტკიცების მოვალეობა და განსაზღვრა. როგორ, რა გზით უნდა ჩატარდეს მტკიცება, რომ უზრუნველყოფილი იქნას იმ გარემოებების დადგენა, რომლებიც შედიან მტკიცების საგანში ყოველი სისხლის სამართლის საქმეზე.

კანონის თანახმად არავინ არ შეიძლება მიცემული იქნეს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში თუ არა სსსკ დადგენილ საფუძველზე (საქართველოს სსსკ 140 მუხ.).

მამასადამე, ჯერ კიდევ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე უნდა შეიკრიბოს დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც მათი შეფასების შედეგად შეიძლება საკმარისად იქნეს მიჩნეული დანაშაულის ჩადენაში ბრალდების წარდგენისათვის. დამამტკიცებელი საბუთების შეკრება. იმის განსაზღვრა საკმარისია თუ არა ისინი ბრალდების წარდგენისათვის, ისევე როგორც მტკიცების მთელი საგნის დადგენა წინასწარი გამოძიების სტადიაში, წარმოადგენს მომკვლევე პირის, გამომძიებლის და პროკურორის მოვალეობას.

¹ ვ. ი. ვულფი. „Об обязанности доказывания в советском уголовном процессе“. Ученые записки. ВИОН. 1962 წ., გამოშვება 14, ვგ. 215; აგრეთვე იხ. რ. დ. რახუნოვი „Участники уголовно-процессуальной деятельности“, სახელმწიფო იურიდიული გამომცემლობა, 1961 წ., გვ. 61.

ამიტომ მტკიცების მოვალეობის წესის პრაქტიკული გამოყენება ემთხვევა საქმის გამოძიების დაწყებას.¹

წესი მტკიცების მოვალეობის შესახებ გამოიყენება საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ყველა იმ სტადიაში, სადაც ადგილი აქვს მტკიცებას. მაგრამ პროცესის ყოველი ამ სტადიის კონკრეტული ამოცანებისა და პირობების შესაბამისად მტკიცებას ახასიათებს გარკვეული სპეციფიკა.

წინასწარი გამოძიების სტადიის მიმართ ეს სპეციფიკა ვლინდება იმაში, რომ პროცესის ამ სტადიის პირველ ნაწილში მტკიცების საგანი თავის კონკრეტულ ფორმაში ჩვეულებრივ გაურკვეველია, მტკიცება ძირითადად ხორციელდება გამოძიებლის მიერ ერთპიროვნულად, რომლის დასკვნები (გარდა საქმის შეწყვეტის შემთხვევებისა) სავარაუდო ხასიათს ატარებენ.

წინასწარი გამოძიების სტადიაში მტკიცების მოვალეობა ეკისრება პროკურორსაც, ვინაიდან ის მოვალეა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ყველა პირი, რომელთაც ბრალი ედებათ დანაშაულის ჩადენაში, მიიღოს ზომები, რათა არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი და ვერც ერთმა დამნაშავემ ვერ აიცილინოს პასუხისმგებლობა (საქართველოს სსსკ 211-ე მუხლის I პუნქტი).

საბრალდებო დასკვნის დამტკიცებისას, პროკურორს უკვე ჩამოყალიბებული აქვს გარკვეული შინაგანი რწმენა ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ და საქმის სხვა გარემოებაზე. ამიტომ ის კიდევ ხელმძღვანელობს ამ რწმენით სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე, როდესაც გამოთქვამს თავის აზრს პირის სამართალში მიცემის შესახებ.

ესწრება რა სასამართლო პროცესს, პროკურორი სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. ამასთანავე პროკურორის აზრი, როგორც მტკიცებათა შეფასებიდან გამომდინარე, სრულიადაც არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის. უკანასკნელი თავის შინაგან რწმენას ამყარებს იმ მტკიცებებზე, რომლებიც დადგენილი იყო საქმის სასამართლო განხილვის პროცესში, ამიტომ სასამართლო განხილვის სტადიაში პროკურორი მოვალეა მონაწილეობა მიიღოს მტკიცებაში და თავის დასკვნებს საფუძვლად დაუდოს ის დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც დადგენილია სამსჯავრო სხდომის პროცესში. ამაზე ნათლადაა ლაპარაკი საქართველოს სსსკ 248-ე მუხლის მე-4 ნაწილში, რომლის მიხედვითაც, თუ სასამართლო განხილვის შედეგად პროკურორი მივა იმ დასკვნამდე, რომ სამსჯავრო გამოძიების მონაცემები არ ადასტურებენ სამართალში მიცემულის ბრალეულობას, იგი ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე და დაუსაბუთოს სასამართლოს უარის თქმის მოტივები.

მტკიცებაში პროკურორის მიერ თავის მოვალეობის შეუსრულებლობა ანდა არაჯეროვნად შესრულებამ არ უნდა მოახდინოს გავლენა საქმის არსები-

¹ საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა, ჩვენი შეხედულებით, მცდარი თვალსაზრისიც. ასე, ნ. ნ. პოლიანსკი წერდა, რომ „ლაპარაკი მტკიცების ტვირთის შესახებ შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც ნაწილდება მტკიცების, ანდა მოვალეობის ტვირთი ე. ი. იგი არსებითად ზღუდავდა მტკიცების მოვალეობის პროცესის ცალკეულ სტადიებზე, მათ შორის წინასწარი გამოძიების სტადიაშიც, ნ. ნ. პოლიანსკი. Вопросы теории советского уголовного процесса. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა, 1956 წ., გვ. 187. აგრეთვე იხ. ვ. ი. ვულფის დასახელებული სტატია. გვ. 231; ვ. ი. კამინსკაია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა, 1960 წ., გვ. 677. Показания обвиняемого в советском уголовном процессе.

თად გადაწყვეტაზე, ვინაიდან მტკიცების მოვალეობა აკისრია სასამართლოსაც.

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში სასამართლო არ არის შეზღუდული როგორც მისთვის წარმოდგენილი დამამტკიცებელი საბუთებით, ისე იმ შეფასებით, რომელიც მათ პროცესის მონაწილეებმა მისცეს. მათ შორის ბრალდებაზე პროკურორის უარის თქმითაც. სასამართლოს არ შეუძლია საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა, თუ პირადად არ გამოიკვლია და არ შეაფასა სასამართლოს განსახილველად წარმოდგენილი დამამტკიცებელი საბუთები.

კიდევ მეტი, სასამართლო მოვალეა არა მარტო გამოიკვლიოს საქმის გარემოებანი, შეაფასოს მისთვის წარმოდგენილი დამამტკიცებელი საბუთები და გადაწყვიტოს საქმე არსებითად, არამედ, შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა შეაფასოს კიდევ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების არასრული მასალები, როგორც პროცესის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი, ასევე მის მიერ გამოთხოვილი ახალი დამამტკიცებელი საბუთებით.

აქტიურად მონაწილეობს რა მტკიცებაში, სასამართლო ამით არც ბრალს სდებს და არც იცავს სამართალში მიცემულს, არ ასრულებს ორ სხვადასხვა ფუნქციას, არამედ ყოველმხრივ. სრულად და ობიექტურად იკვლევს სისხლის სამართლის საქმეს, ავლენს ბრალდებულის როგორც მამხილებელ, ისე გამამართლებელ, აგრეთვე მისი ბრალის როგორც დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ ობიექტურ გარემოებებს. ამით იგი ქმნის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის საფუძველს. სასამართლოს ამ მოვალეობას ითვალისწინებს საქართველოს სსსკ მე-18 მუხლის I ნაწილი და 242-ე მუხლის მეორე ნაწილი.

იმავე სსსკ მე-3 მუხლი სასამართლოს ავალებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში აღძრას სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში, მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები დანაშაულის ფაქტისა და დამნაშავე პირთა დასადგენად, მათ დასასჯელად. საკითხის მხოლოდ ასეთ გადაწყვეტას შეუძლია უზრუნველყოს საბჭოთა სისხლის სამართლის სამართალწარმოების ამოცანების განხორციელება.¹

მაშასადამე, სასამართლო წარმოადგენს მტკიცების მოვალეობის სუბიექტს. მაგრამ ეს სრულიადაც არ აიგივებს მას მტკიცების მოვალეობის სხვა სუბიექტებთან.

სასამართლოს მიმართ მტკიცებათა სპეციფიკა მდგომარეობს იმაში. რომ გამოიკვლევს რა საქმეს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, მოსამართლენი განაჩენის გამოტანამდე არ გამოთქვამენ თავიანთ აზრს საქმის არსის შესახებ, ასევე ამა თუ იმ დამამტკიცებელი საბუთების წყაროების კეთილხარისხიანობისა და საქმის ფაქტიური მონაცემების უტყუარობაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ სასამართლო აქტიურად გამოიკვლევს საქმის ყველა გარემოებას, მაგრამ პროცესის მიმდინარეობისას არ წყვეტს ამა თუ იმ გარემოების დამტკიცებულობის საკითხს. ეს განასხვავებს სასამართლოს პროკურორისა და დამცველისაგან, რომლებიც საქმის სამსჯავრო განხილვის დროს გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას ფაქტების დამტკიცებულობისა და სამართალში მიცემულის ბრალეულობის შესახებ.

სასამართლოს მტკიცების მოვალეობის არსებითი თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ სასამართლო იკვლევს უკვე გამოძიებულ საქმეს და შეზო-

¹ იხ. მაგ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წ., 24 მარტის დადგენილება, ნ. გ. სტრინევის საქმეზე. „Бюллетень Верховного суда СССР“, 1959 წ., № 5, გვ. 20—21.

ჭილი არ არის სხვა სუბიექტების მიერ მოცემულ ამ დამამტკიცებელი საბუთების შეფასებით, თუმცა ეს შეფასება ეხმარება მას საქმის გარემოების გამოკვლევასა და არსებითად გადაწყვეტაში. სასამართლო განხილვის სხვა მონაწილენი დამამტკიცებელ საბუთთა მიმართ თავიანთ დასკვნებს მოახსენებენ სასამართლოს, ესე იგი ეხმარებიან მას საქმის სწორად გადაწყვეტაში, მაგრამ თვით უშუალოდ არაფერს არ სწყვეტენ.

ეს თვალსაზრისი ზოგჯერ დევას იწვევს.

ასე მაგალითად, ვ. ი. კამინსკაია წერს, რომ „საფუძვლების“ მე-14 მუხლს, რომელშიც ლაპარაკია მტკიცების მოვალეობის შესახებ, სულ სხვა რამ აქვს მხედველობაში. მასში ლაპარაკია, რომ დაუშვებელია ბრალდებულზე იქნეს გადატანილი მისი უდანაშაულობის მტკიცების მოვალეობა. ეს აკრძალვა ეხება მოკვლევის ორგანოებს, გამომძიებელს, პროკურორს და სასამართლოს. მაგრამ არავითარი საფუძველი არ არსებობს ვამტკიცოთ, რომ რადგან კანონი სასამართლოს უკრძალავს თვით ბრალდებულს დააკისროს თავისი უდანაშაულობის მტკიცების მოვალეობა იმას ნიშნავდეს თითქმის ეს მოვალეობა აკისრია თვით სასამართლოს“.¹

„საფუძვლების“ მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის ამგვარი გაგება ჩვენ არასწორად მიგვაჩნია. ამ მუხლში ლაპარაკია არა იმაზე, რომ სასამართლომ არ უნდა დააკისროს ბრალდებულს მტკიცების მოვალეობა, არამედ იმაზე, რომ მან ასეთი მოვალეობა არ უნდა გადაიტანოს ბრალდებულზე. მამასადამე, ასეთი მოვალეობა დაკისრებული აქვს სასამართლოს.

ვ. ი. კამინსკაიას და მის მომხრეთა თვალსაზრისს ლოგიკურად იქამდე მივყევართ, რომ აუცილებელია ვადიაროთ ისიც, რომ მტკიცების მოვალეობა არ აკისრია არც პროკურორს, არც გამომძიებელს და არც მომკვლევ პირს. ვინაიდან მტკიცების ყველა ეს სუბიექტები „საფუძვლების“ მე-14 მუხლში არიან დასახელებული სასამართლოსთან ერთად და მათზე, ისევე როგორც სასამართლოზე, ვრცელდება ბრალდებულზე მტკიცების მოვალეობის გადატანის აკრძალვა.

წესი მტკიცების მოვალეობის შესახებ მოქმედებს განაჩენის გადასინჯვის სტადიაში². საქართველოს სსსკ 337-ე მუხლის მეორე ნაწილით და საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-5 პუნქტით მხოლოდ პროკურორს ევალება საკასაციო წესით გაპროტესტოს ყველა არაკანონიერი და დაუსაბუთებელი განაჩენი, ხოლო საქართველოს სსრ სსსკ 382-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, განჩინება და დადგენილება შეიძლება გაპროტესტდეს სასამართლო ზედამხედველობის წესით სასამართლოს თავმჯდომარისა და მათი მოადგილეების პროტესტით.

ამასთან ერთად, სასამართლო საქართველოს სსსკ 344-ე და 389-ე მუხლებ-

¹ ვ. ი. კამინსკაია. დასახელებული მონოგრაფია. გვ. 145. იხ. ი. ი. მოტოვილოვკერი. „Некоторые вопросы теории советского уголовного процесса в свете нового уголовно-процессуального законодательства“. კენეროვი, 1962 წ., გვ. 151; ვ. ი. ვულფი, დასახელებული სტატია, გვ. 217.

² საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში გამოთქმულია, ჩვენი შეხედულებით, არასწორი აზრი იმის შესახებ, რომ „საჩივარში ანდა პროტესტში მიითვებულ დებულებათა სისწორის და მათი დასაბუთებულობის მტკიცების მოვალეობა ეკისრება საჩივრის ან პროტესტის შემტან მხარეს“. ვ. პ. რეზეზოვი, დასახელებულ სტატია, გვ. 152.

ბის შესაბამისად განიხილავს რა საქმეს საკასაციო ან ზედამხედველობის წესით. არ არის შებოჭილი საკასაციო საჩივრის ან პროტესტის მოსაზრებებით და ამოწმებს საქმეს სრული მოცულობით ყველა მსჯავრდებულის მიმართ. მათ შორის იმათ მიმართაც, რომლებსაც საჩივარი არ შეუტანიათ და რომელთა მიმართ შეტანილი არ არის საკასაციო პროტესტი.

მტკიცების მოვალეობის სუბიექტთა შორის, რომლებიც დასახელებული არიან საქართველოს სსსკ მე-18 მუხლში, მოხსენებული არ არის ბრალდებულის დამცველი. მაშასადამე, მტკიცების მოვალეობის ცნების ზემოთ მოყვანილი განსაზღვრა გამოდგება მხოლოდ სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლისა და მოკვლევის პირის მიმართ. მათგან განსხვავებით დამცველის მოქმედება. რომელსაც კანონით აგრეთვე დავალებული აქვს მტკიცების მოვალეობა მეტად სპეციფიკურია, ვინაიდან საქართველოს სსსკ 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილი დამცველს ავალდებს გამოიყენოს კოდექსში აღნიშნული დაცვის ყველა საშუალება და ხერხი იმ მიზნით, რომ გამოირკვეს გარემოებანი, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ან ამსუბუქებენ პასუხისმგებლობას და გაუწიოს ბრალდებულს სხვა საჭირო იურიდიული დახმარება. ამასთანავე ეს საქმიანობა მიმართულია საბჭოთა სისხლის სამართალწარმოების ამოცანების განსახორციელებლად, ვინაიდან ხელს უწყობს კანონის სწორად გამოყენების უზრუნველყოფას, რათა არც ერთი უდანაშაულო არ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და მსჯავრდებული.

დამცველის მტკიცების მოვალეობის სპეციფიკა ვლინდება იმაშიც, რომ მტკიცების მოვალეობის სხვა სუბიექტებისაგან განსხვავებით, თავის დასკვნებს ის გადმოსცემს შუამდგომლობებში, განცხადებებში და კამათში გამოსვლისას, მაგრამ არა საპროცესო აქტებში. მის მიერ გამოთქმული აზრი არ ბოჭავს პროცესის სხვა მონაწილეებს თავიანთ დასკვნებში.

დასკვნა: მოქმედი კანონმდებლობა აწესებს მტკიცების ერთიან ამოცანას სასამართლოსათვის, პროკურორისათვის, გამომძიებლისათვის, მოკვლევ პირისათვის და დამცველისათვის (თუმცა ის ხორციელდება სხვადასხვა ფორმებში და სხვადასხვაგვარი მეთოდებით), და თითოეულ მათგანს, ავალდებულებს მათი კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის, გამოაკვირონ ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი აგრეთვე მისი ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი და გამოიტანონ საქმეზე შესაბამისი დასკვნები.

მუშაკის სამუშაოდან გადაყენება და დათხოვნა

ა. ნაიძე

შრომით ურთიერთობაში ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებებია მუშაკის თანამდებობიდან გადაყენება და სამუშაოდან დათხოვნა. მათი მოწესრიგება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო, შრომისა და სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობით.

მუშაკის თანამდებობიდან გადაყენების უფლება მინიჭებული აქვთ: ა) საგამომძიებლო ორგანოებს; ბ) საწარმო-დაწესებულებათა ადმინისტრაციას.

სამუშაოდან დათხოვნის (განთავისუფლების) უფლება კი ეკუთვნით: 1. თვით მუშა-მოსამსახურეებს; 2. საწარმო-დაწესებულებათა ადმინისტრაციას; 3. მესამე პირებს (პროფკავშირულ, სასამართლო და სხვ. ორგანოებს). ვარდა ამისა შრომის ხელშეკრულება წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებისა და ხლომილების საფუძველზე.

1.

საწარმო-დაწესებულების ადმინისტრაცია, როგორც წესი, მუშაკს სამუშაოდან (თანამდებობიდან) გადაყენებს სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების მოთხოვნით.

სამუშაოდან გადაყენება გულისხმობს, რომ მუშაკს დროებით ეკრძალება შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება. ამ ხნის განმავლობაში მას უნდა შეუჩიერდეს ხელფასის გაცემაც.

საწარმო-დაწესებულების ადმინისტრაციას თავისი ინიციატივითაც აქვს უფლება სამუშაოდან გადაყენოს მუშაკი თუ მას სამუშაოსთან უშუალოდ დაკავშირებულ დანაშაულზე წაასწრებენ, ან როდესაც მუშაკი თვითონვე გამოტყდება ასეთი დანაშაულის ჩადენაში. თუ მუშაკს ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რაც არაა დაკავშირებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, მისი გადაყენება ადმინისტრაციას არ შეუძლია სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების მოთხოვნის გარეშე.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, როდესაც ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულია თანამდებობის პირი, გამომძიებელი ვალდებულია გადაწყვიტოს საკითხი — საჭიროა თუ არა გამომძიებლის პერიოდში ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება. თუ ბრალდებულის გადაყენება თანამდებობიდან აუცილებელია გამომძიებელი ამის შესახებ გამოიტანს დასაბუთებულ დადგენილებას, რომელსაც ამტკიცებს პროკურორი. დადგენილება შესასრულებლად იგზავნება ბრალდებულის სამუშაო ადგილას¹.

თანამდებობიდან გადაყენებით ბრალდებულს შესაძლებლობა ერთმევა ხელი შეუშალოს გამომძიებლის ნორმალურ მსვლელობას (დოკუმენტების ამოღების, ან მათი შინაარსის შეცვლის მხრივ, ზეგავლენა არ მოახდინოს მოწმეებზე. მის ხელქვეით მყოფ დაზარებულ პირებზე და ა. შ.).

¹ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლი.

სამუშაოდან გადაყენება იწვევს შემდეგ უფლებრივ შედეგებს: ა) თუ მუშაკი თანამდებობიდან გადაყენებულია სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების მოთხოვნით და გადაყენება გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, ადმინისტრაციას შეუძლია მუშაკი დაითხოვოს შრომის კანონთა კოდექსის 47-ე მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით; ბ) თუ მუშაკი გადაყენებულია ადმინისტრაციის ინიციატივით, და მის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი (ან საქმე წარმოებით მოისპო!) ადმინისტრაცია ვალდებულია დაუშვას იგი შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თავის ძირითად მოვალეობათა შესასრულებლად და მისცეს ხელფასი გადაყენების მთელი დროის განმავლობაში, თუნდაც, მუშაკი სამუშაოს დაუბრუნდეს მისი გადაყენებიდან ორი თვის გასვლის შემდეგ; გ) თუ მუშაკი გადაყენებულია სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების დადგენილებით, ხოლო შემდეგში იგი გამართლდა (ან საქმე მოისპო) ადმინისტრაცია ვალდებულია აუნაზღაუროს მას იძულებით განაცდური დროის ხელფასი, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა; დ) თუ მუშაკი, დღიდან მისი თანამდებობიდან გადაყენებისა სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების მოთხოვნით არ იქნა დათხოვილი 2 თვის შემდეგ, ადმინისტრაციამ კვლავ უნდა დააბრუნოს იგი თავის სამუშაოზე სასამართლოს გამამართლებელი განაჩენისა ან საქმის წარმოების მოსპობის დადგენილების საფუძველზე.

2

მუშა-მოსამსახურე სამუშაოდან შეიძლება გათავისუფლდეს საწარმო-დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეთანხმებითაც შრომის კანონთა კოდექსის 44-ე მუხლის ა, „ პუნქტის საფუძველზე. ბუნებრივია, რომ შრომის ინდივიდუალური ხელშეკრულება წყდება მუშის ან მოსამსახურის სიკვდილის ან მძიმე დასახიჩრებისა თუ ხანგრძლივი პროფესიული დაავადების შედეგადაც (ხლომილების გამო).

შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება როგორც მუშა-მოსამსახურის ისე ადმინისტრაციის ინიციატივით კანონმდებლობით განსაზღვრულ და გათვალისწინებულ შემთხვევებში.

1) მუშა-მოსამსახურეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება, მხოლოდ ვალდებული არიან ამის შესახებ ორი კვირით ადრე გააფრთხილონ საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაცია.

მუშაკი უფლებამოსილია მოითხოვოს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა (სამუშაოდან მისი გათავისუფლება), აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ადმინისტრაციამ (დამჭირავებელმა) დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი ვალდებულებანი ან შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და დებულებანი¹.

მუშა-მოსამსახურეებს თავისი ინიციატივით სამუშაოდან განთავისუფლების უფლება მინიჭებული აქვთ განუტრეხლად მათი თანამდებობისა და სამუშაოს ხასიათისა.

თუ მუშაკი განცხადების შეტანიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ არ იქნება დათხოვნილი, ხოლო თვით კი განაგრძობს მუშაობას და დაყინებით არა

¹ იხ. შრომის კანონთა კოდექსის 46-ე და 48-ე მუხლები.

თხოვლობს დათხოვნას, მაშინ მისი განცხადება კარგავს ძალას. ამ შემთხვევაში სამუშაოდან დათხოვნა დაიშვება მხოლოდ იმ პირობით, თუ თვით მუშაკი ამის წინააღმდეგი არ არის¹.

2) საწარმო-დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს მუშა ან მოსამსახურე სამუშაოდან დაითხოვოს: ა) შრომის კანონთა კოდექსის 47-ე მუხლის (ა, ბ, გ, დ, ე, ვ,² ზ, თ — პუნქტების) საფუძველზე; ბ) ამავე კოდექსის 37-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად; გ) სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წლის 6 ნოემბრის დადგენილების მიხედვით.

შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წლის 6 ნოემბრის სპეციალური დადგენილებით დაწესებულა ნდობის დაკარგვის გამო იმ მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნა, რომლებიც თავიანთი მუშაობით დაკავშირებული არიან ფულადს ან სასაქონლო ფასეულობის მომსახურებასთან³.

ამ მოტივით მუშაკის განთავისუფლება თუმცა უახლოვდება განთავისუფლებას შეუფერებლობის გამო, შვებულება მისგან იმით განსხვავდება, რომ მას საყოველთაო ხასიათი არა აქვს და ვრცელდება მხოლოდ მატერიალურად პასუხისმგებელ მუშაკთა კატეგორიაზე, მათ შორის სავაჭრო დარგის მუშაკთა შესაბამის ჯგუფებზეც. გარდა ამისა თუ ნდობის დაკარგვის საფუძველია მუშაკის ბრალი, ასეთს საფუძველი არა აქვს მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლების დროს შეუფერებლობის მოტივით.

სასამართლო პრაქტიკა დაადგინა იმ წესს, რომ სასამართლომ შეამოწმოს ფაქტები, რომელთა მიხედვითაც ადმინისტრაცია ასაბუთებს მატერიალურად პასუხისმგებელი მუშაკის დათხოვნას მისდამი ნდობის დაკარგვის საბაბით.

გამოუსაღებარობის მოტივით ადმინისტრაციას შეუძლია სამუშაოდან განთავისუფლოს მუშაკი იმ შემთხვევაშიც, თუ იგი სისტემატურად არ ასრულებს გამომუშავების ნორმას მუშაობის ნორმალურ პირობებში (შრომის კანონთა კოდექსის 57-ე მუხლის მესამე ნაწილი შენიშვნითურთ).

დებულება პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა შესახებ განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაცია ვალდებულია მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლების ყველა შემთხვევა (როდესაც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა მათივე განკარგულებით ხდება) შეუთანხმოს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს.

საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციის მოთხოვნით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე კანონით აკრძალულია, ისეთი შემთხვევების გარდა, როდესაც შრომითი ხელშეკრულება წყდება იმ მუშაკებთან რომლებსაც უკავიათ განსაკუთრებულ ნუსხაში გათვალისწინებული ესა თუ ის თანამდებობა.

¹ იხ. „Советская юстиция“, 1961, გვ. 16.

² შრომის კანონთა კოდექსის 47-ე მუხლის „ვ“ პუნქტის ახალი რედაქცია გულისხმობს მუშაკის დათხოვნას არასაპატიო მიზეზით სამუშაოს ვაცდენის გამო (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 25 აპრილის ბრძანებულების მე-7-ე მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად). სამუშაოდან ვაცდენად კი ითვლება სამუშაოზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზის უქონლად მთელი სამუშაო დღის განმავლობაში. სამუშაოს გამცდენად ითვლებიან აგრეთვე ის მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც სამუშაოზე ნასვამი გამოცხადდებიან. (იხ. 1957 წ. 12 იანვარს მიღებული ტიპობრივი შრომითი შინაგანაწესის 23-ე მუხლი).

³ იხ. Сборник законодательных актов о труде, М., 1965, გვ. 126.

3

არის შემთხვევები, როდესაც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება მესამე პირთა ინიციატივით. ამ დროს შესაბამისი ორგანოები თუმცა არ არიან მოცემული შრომითი ურთიერთობის მონაწილენი, მაგრამ, აღჭურვილი არიან უფლებით შეუფარდონ მომუშავეებს სხვადასხვა სანქცია, მათ შორის აქვთ უფლება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისაც. ამ გაგებით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დამოკიდებულია: ა) პროფკავშირის მოთხოვნაზე; ბ) სახალხო კონტროლის ორგანოს წინადადებაზე; გ) სასამართლოს განაჩენზე; დ) სამხედრო უწყების შეტყობინებაზე.

1. პროფკავშირის მოთხოვნით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ მითითებულია შრომის კანონთა კოდექსის 49-ე მუხლში. დასაბუთებული მუხლის ძალით „ყოველი შრომის ხელშეკრულების გაუქმება შეიძლება აგრეთვე პროფკავშირის მოთხოვნითაც. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაცია არ ეთანხმება პროფკავშირის მოთხოვნას, ასეთი შეიძლება საკონფლიქტო წესით გასაჩივრდეს“¹.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლება, საჭირო შემთხვევაში, შესაბამისი ორგანიზაციების წინაშე დასვას საკითხი იმ ხელმძღვანელ მუშაკთა შორის ან დასჯის შესახებ, რომლებიც არ ასრულებენ კოლექტიური ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, იჩენენ ბიუროკრატიზმს, ურიგდებიან საქმის გაჭიანურებას, არღვევენ შრომის კანონმდებლობას².

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო კონტროლის კომიტეტსა და შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს 1962 წლის 20 დეკემბრის დებულებით უფლება აქვთ ჩამოაქვეითონ თანამდებობიდან ან გადააყენონ დაკავებული პოსტიდან ის თანამდებობის პირები, რომელთაც ბრალი მიუძღვით სახელმწიფო დისციპლინის დარღვევაში, დაშვებული აქვთ საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი³.

3. სასამართლო ორგანოები უფლებამოსილი არიან მუშაკს სასჯელის ერთ-ერთ ზომად შეუფარდონ სამუშაოდან დათხოვნა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მიხედვით დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სასჯელის ზომად თანამდებობიდან დათხოვნა.

4. გარდა ამისა სამხედრო სამსახურში გაწვევაც ქმნის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს მესამე პირის მოთხოვნით.

სამხედრო ვალდებულების მოსახდელად მომუშავეს ჯარში მობილიზაციის წესით გაწვევა წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძ-

¹ 1929 წლის 13 მაისის თარიღით გამოტანილ იქნა სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატისა და საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს ერთობლივი დადგენილება პროფკავშირის მოთხოვნით მომუშავეთა დათხოვნის შესახებ. აღნიშნული დადგენილებით გარკვეულ იქნა, პროფკავშირის რომელი ორგანო არის უფლებამოსილი მოითხოვოს მომუშავეს დათხოვნა. ასეთად შეიძლება იყოს მხოლოდ არა უდაბლეს რაიონული პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება მოითხოვოს ადმინისტრაციისაგან შეუფერებელი მუშაკის განთავისუფლება.

² იხ. მე-14 მუხლი დებულებისა პროფესიული კავშირის საფაბრიკო საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა შესახებ.

³ იხ. დებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტისა და შესაბამის ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

ველს, რაც არ არის შრომითი ურთიერთობის მონაწილეთა ნებისგან დამოკიდებული.

4

თანამდებობიდან დათხოვნას, რასაც დამნაშავეს სასჯელის სახით უფარდებს სასამართლო, შედეგად მოსდევს ნასამართლობა. ამით განსხვავდება ეს საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მუშაკის თანამდებობიდან დათხოვნისაგან.

სამუშაოდან დათხოვნა მსჯავრდებულს უფლებას არ ართმევს შემდგომში დაიკავოს ისეთივე თანამდებობა, რომლიდანაც დათხოვნილი იქნა იგი.

თანამდებობიდან დათხოვნა შეიძლება გამოყენებული იქნას ჩადენილი დანაშაულის ხასიათისაგან განურჩევლად. ამიტომაც სასამართლოს შეუძლია ბრალეული პირი დაითხოვოს არა მარტო იმ თანამდებობიდან, რომელიც მას დაკავებული ჰქონდა დანაშაულის ჩადენის მომენტში, რაც დაკავშირებული იყო თანამდებობის დაკავების ფაქტთან, არამედ იმ თანამდებობიდანაც, რომელიც ბრალეულ პირს დაკავებული ჰქონდა მსჯავრის დადების მომენტში და რასთანაც მის მიერ ჩადენილ დანაშაულს დამოკიდებულებაც კი არა ჰქონია¹.

თანამდებობიდან დათხოვნას, როგორც სისხლის სამართლის სასჯელის ერთ-ერთ ზომას, რომლის შეფარდებაც შეუძლიათ სასამართლო ორგანოებს განსაზღვრული საქმის სათანადო გარემოებათა შეფასებისა და განსჯის შედეგად, ითვალისწინებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი. თანამდებობიდან დათხოვნა, როგორც სისხლის სამართლებრივი სასჯელის ერთ-ერთი ზომა, რომლის შეფარდებაც სასამართლოს უფლებაჰქონდა წარმოადგენს, მოცემულია ამ კოდექსის როგორც ზოგად ისე განსაკუთრებულ ნაწილში.

ზოგად ნაწილში მითითებულია თუ რა შემთხვევაში უნდა გამოიყენოს სასამართლომ თანამდებობიდან დათხოვნა, როგორც სისხლის სამართლის სასჯელის ზომა, და რითაა გაპირობებული ამავე სახის ნასამართლობის მოხსნა. კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში კი ვხვდებით თანამდებობიდან დათხოვნის გამოყენების შესაძლებლობას სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენის შემთხვევებში².

კანონმდებელი მიუთითებს, რომ სასჯელის ამ ზომის დანიშვნა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს დაკავებულ თანამდებობაზე მსჯავრდებულის დატოვებას. რაც შეეხება იმ პირებს, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ თანამდებობიდან დათხოვნა, ნასამართლობა მოეხსნებათ, თუ ამ სასჯელის მოხდის დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩადენენ ახალ დანაშაულს.

კონკრეტულად კი თანამდებობიდან დათხოვნის (ან სხვა ღონისძიების) შეფარდება სასამართლო ორგანოების მიერ გათვალისწინებულია: 1) საარჩევნო უფლებების განხორციელების ხელის შეშლისათვის; 2) მოქალაქეთა ბინის ხელშეუხებლობის დარღვევისათვის; 3) პროფესიული კავშირების საქმიანობისათვის დაბრკოლების შექმნისათვის; 4) შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის; 5) ორსული ქალის ან ძუძუს მაწოვებელი დედის სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმისათვის ან მისი სამუშაოდან დათხოვნისათვის; 6) შრო-

¹ იხ. Комментарий УК РСФСР, Москва, 1963, გვ. 78—79.

² იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამ. კოდ. 23, 31, 57, 139, 141, 142, 144, 145 და სხვ.

მის დაცვის წესების დარღვევისათვის; 7) ცუდი ხარისხის, არასტანდარტული ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის; 8) ცუდი ხარისხის საქონლის გასაყიდად გამოშვებისათვის; 9) პროდუქციის მიწოდების გეგმებისა და დავალებების სისტემატური შეუსრულებლობისათვის; 10) მცენარეთა დაავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის წესების დარღვევისათვის; 11) ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის; 12) ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის; 13) სამსახურებრივი დაუდევრობისათვის; 14) სამსახურებრივი სიყალბისათვის; 15) უკანონო დაპატიმრებისა ან დაკავებისათვის; 16) აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და სამაქრობში უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის.

* * *

სამუშაოდან დათხოვნის უფლებრივი შედეგები სხვადასხვაგვარია. რიგ შემთხვევებში ეს შედეგები დამოკიდებულია დათხოვნის უდავო ფაქტებზე. და შრომის კანონთა კოდექსის 88-ე და 89-ე მუხლების მიხედვით ადმინისტრაციას აკისრებს მუშაკს სამუშაოდან განათვისუფლებასთან დაკავშირებით მისცეს გასასვლელი დახმარება ორი კვირის ხელფასის ოდენობით, ან ორი კვირით ადრე გააფრთხილოს იგი სამუშაოდან დათხოვნის თაობაზე, ხოლო როდესაც სამუშაოდან დათხოვნას სადავო ხასიათი ეძლევა, შედეგად შეიძლება მოჰყვეს: ა) სამუშაოზე აღდგენა; ბ) იძულებითი განაცდურის ანაზღაურება; გ) სამუშაოდ აღდგენაზე უარის თქმა (სამუშაოდან მართებულად დათხოვნის გამო).

სამუშაოდან გადაყენება კი, როგორც უკვე ითქვა, შეიძლება გადაიზარდოს სამუშაოდან დათხოვნაში, თუ გადაყენება ორ თვეს აღემატება.

სამუშაოდან დათხოვნა, როგორც განსაზღვრული ღონისძიება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს:

1) მხარეთა ორმხრივი ნების გამომხატველ აქტს (შრომის კანონთა კოდექსის 44-ე მუხლ. „ა“ პუნქტის ძალით);

2) მუშაკის ცალმხრივი ნებიდან გამომდინარე აქტს (შრომის კანონთა კოდექსის 46-ე, 48-ე მუხლი);

3) ადმინისტრაციის ინიციატივაზე დამყარებულ აქტს, რომლის საბაზს თვით მუშაკი იძლევა (შრომის კანონთა კოდექსის 47-ე მუხ. „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ პუნქტები), და როდესაც დათხოვნა განპირობებულია სულ სხვა მიზეზებით (ამავე მუხლის „ა“, „ბ“, „თ“ პუნქტები). ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან დათხოვნა წარმოადგენს: ა) დისციპლინური ზემოქმედების ზომასაც შრომის დისციპლინის დარღვევისათვის (შრომის კანონთა კოდექსის 47-ე მუხლის „დ“, „ვ“ პუნქტების მიხედვით და სხვა ნორმატული აქტების შესაბამისად)¹; ბ) შრომის ხელშეკრულების გაუქმებას მოქმედი კანონის დანარჩენ საფუძვლების შესაბამისად (შრომის კანონთა კოდექსის 47-ე მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „ე“, „ზ“, „თ“, პუნქტების მიხედვით). შრომის დისციპლინის ისეთი დარღვევისათვის, როგორსაც წარმოადგენს არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენა, შედეგად თუ მოჰყვა

¹ მაგალითად, დისციპლინური სასჯელის ზომის სახით დათხოვნა ვათვალისწინებულაა წესდებაში რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა დისციპლინის შესახებ (იხ. СП СССР, 1964 წ. № 13, მუხ. 91.

სამუშაოდან დათხოვნა, მაშინ ამგვარ ზომას აუცილებლად მოსდევს მეორე შედეგიც — სამუშაოდან დათხოვნილი კარგავს განუწყვეტელი მუშაობის სტაეს და ღროებითი შრომისუნარობის გამო დახმარებით უზრუნველყოფის უფლებას იღებს ახალ სამუშაო ადგილზე მუშაობის დაწყებიდან არანაკლებ 6 თვის ვასვლისა¹.

4) მესამე პირთა მოთხოვნიდან გამომდინარე აქტს ასახულს: ა) პროფკავშირის არაუდაბლეს რაიონული ორგანოს დადგენილებაში; ბ) შესაბამის საკონტროლო ორგანოს გადაწყვეტილებაში; გ) სასამართლო ორგანოს მიერ გამოტანილ განაჩენში; დ) მობილიზებული სამხედრო ვალდებული მუშაკისათვის სათანადო წერილობით შეტყობინებაში.

5) ამხანაგური სასამართლოების მიერ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — საწარმო-დაწესებულების ადმინისტრაციისათვის რეკომენდებულ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებას².

¹ იხ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 25 აპრილის ბრძანებულების მე-7 მუხლის „გ“ პუნქტი.

² იხ. დებულება, ამხანაგური სასამართლოების შესახებ, თბილისი, 1964, გვ. 13. (საკითხის დასმა იმ პირის დათხოვნის შესახებ, რომელიც ასრულებს არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობის აღზრდასთან დაკავშირებულ სამუშაოს, ან ისეთ სამუშაოს, რომელიც დაკავშირებულია მატერიალური ფასეულობის გამგებლობასა და შენახვასთან, თუ ამხანაგური სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ამ სამუშაოს შემდგომში მისთვის მინდობას).

სანოჯარო მოქმედების ზოგიათი საკითხი

თ. მოღვაძე,

ქ. თბილისის I სანოჯარო კანტორის
უფროსი ნოტარიუსი

სანოჯარო კანტორის მუშაობის ხარისხის განმსაზღვრელია შესრულებულ სანოჯარო მოქმედებათა სისწორე, მისი შესაბამისობა კანონთან.

ამ უდავო და იმავე დროს ზოგადი დებულების დასაზუსტებლად გასარკვევია რომელ სანოჯარო მოქმედებას ეწოდება სწორად შესრულებული და როგორ შეიძლება მისი კანონიერების შემოწმება.

ფორმალური პრეზუმპციის თანახმად ყოველი სანოჯარო მოქმედება კანონიერთად ითვლება მანამდე, სანამ არ დამტკიცდება, რომ იგი კანონს ეწინააღმდეგება; ამის შედეგად წარმოიშობა აუცილებლობა მისი გაუქმებისა.

ამ დებულების ნათელსაყოფად ზედმეტი არ იქნება თუ ორიოდ სიტყვით მივუთითებთ იმ მთავარ და ყოველთვის სავალდებულო საფუძვლებზე, რომლებიც საჭიროა, როგორც სანოჯარო მოქმედების შესასრულებლად, ისე მის გასაუქმებლად.

სანოჯარო მოქმედების შესრულების მთავარი და სავალდებულო საფუძველია უპირველეს ყოვლისა ის, რომ სანოჯარო მოქმედება მთელი თავისი შინაარსით საბოლოოდ უდავო გარემოებად იყოს მიჩნეული.

პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ მისი შესრულების მომენტში სახეზე არსებული დოკუმენტაციით ეს სანოჯარო მოქმედება არც ერთი მხარისათვის არ უნდა ითვლებოდეს სადავოდ.

წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებ-

ბელია სანოჯარო მოქმედების შესრულება, რადგან თუ კი სანოჯარო კანტორის განკარგულებაში არსებული დოკუმენტაციით სანოჯარო მოქმედებას ვინმე ან რაიმე გარემოება სადავოდ ხდის და ეს დავა დამთავრებული არ არის, მაშინ საკითხი უნდა მოგვარდეს არა ნოტარიუსის მეშვეობით, არამედ სასამართლოს წესით.

როდესაც ვლაპარაკობთ უდავო სანოჯარო მოქმედებაზე, იგულისხმება, რომ საქმის ეს მხარე მოითხოვება იმ მომენტისათვის, როდესაც ხდება სანოჯარო მოქმედების შესრულება, სანოჯარო მოქმედების გაფორმება.

ამ გარემოებას ხაზი უნდა გაესვას იმიტომ, რომ შესაძლებელია მის შესრულებამდე სანოჯარო მოქმედების შინაარსი ან მთლიანად მის რომელიმე ნაწილში წინათ ყოფილიყო სადავო, მაგრამ მისი გაფორმების მომენტში ერთდროს სადავო საკითხი უკვე მოწესრიგებულია და სანოჯარო მოქმედების გაფორმებისას იგი არავითარ დავას არ იწვევს.

შესაძლებელია სანოჯარო მოქმედების შესრულების მომენტში სრულიად უდავო საკითხი შემდეგ იქცეს სადავოდ და საკითხის მოსაგვარებლად საჭირო გახდეს სასამართლოს ჩარევა, იმ მატერიალური ჭეშმარიტების დასადგენად, რომელიც შეცვლის ან ვერ შეცვლის სანოჯარო კანტორის განკარგულებაში მყოფ დოკუმენტაციას და ამის შესაბამისად გააუქმებს ან ძალაში დატოვებს სანოჯარო მოქმედებას.

სანოტარო მოქმედების შესრულება არც ერთ ნაწილში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ საკანონმდებლო ნორმებს, რომლებიც ზუსტად და ამოწურავად ითვალისწინებენ ყველა სახის სანოტარო მოქმედებათა შესრულებას.

პრაქტიკულ მუშაობაში არაა გამოირიცხული, აუცილებლად სავალდებულო ფაქტიურ-უფლებრივი საფუძველების ზოგიერთ შემთხვევებში დარღვევა. არ შესრულება და ყოველივე ამის შედეგად სანოტარო მოქმედების გაუქმების საკითხის დაყენება.

აქ შეიძლება საქმე გვქონდეს ორ სულ სხვადასხვა შემთხვევასთან: შესაძლებელია, რომ სანოტარო მოქმედების გაუქმების საფუძველი არსებობდა მისი შესრულების მომენტში ან დადგინდეს, რომ სანოტარო მოქმედების გაუქმების საფუძველი წარმოიშვა მისი შესრულების შემდეგ.

ამით, რასაკვირველია, არსებითად არაფერი იცვლება და ორივე შემთხვევაში დაისმის სანოტარო მოქმედების გაუქმების საკითხი, მაგრამ ორი სხვადასხვა მიზეზი, სანოტარო მოქმედების გაუქმების ეს ორი სულ სხვადასხვა საფუძველი ერთმანეთისაგან უეჭველად უნდა გამიჯნულ იქნეს და დადგინილი თუ რომელ კონკრეტულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია არა მარტო დადგინდეს ვინმეს პერსონალური პასუხისმგებლობა და ამით ნოტარიატის მომავალ მუშაობაში შეტანილ იქნას გარკვეულობა, არამედ შეუძლებელია იმ უფლება-მოვალეობათა სწორად შემოფარგვლა, რომელიც ხსენებული სანოტარო მოქმედების გაუქმების ფაქტიდან გამომდინარეობს.

ცნობილია, რომ სანოტარო მოქმედების გაუქმება შეიძლება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს წესით.

ეს დებულება იმაზე მიუთითებს, რომ სანოტარო მოქმედება, რომელიც კანონით დაწესებული წესის მიხედვით სასამართლომ არ გააუქმა ითვლება კანონიერ სანოტარო მოქმედებად.

სასამართლო ორგანოები ნოტარიატისათვის წარმოადგენენ ინსტანციას, რომლებიც ერთიანი პრაქტიკით და კონკრეტული პრეცედენტებით ამოწმებენ და ადასტურებენ სანოტარო მოქმედებათა სისწორესა და კანონიერებას.

სანოტარო მოქმედების უკანონობა დადასტურებას უნდა პოულობდეს სასამართლოს დადგენილებაში. იგი გაუქმდება მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ნოტარიუსის შემმოწმებელ პირებს საკანონმდებლო ნორმების მოთხოვნა სხვადასხვაგვარად ესმით. ამის გამო ერთის მითითება ეწინააღმდეგება მეორეს მითითებას, ეს კი წარმოშობს გაუგებრობას, რადგან ძნელია იმის გარკვევა თუ რომელი მათგანია სწორი.

იბადება კითხვა — ასეთ შემთხვევაში უნდა დავკმაყოფილდეთ მარტოდენ შემმოწმებლის ერთპიროვნული მითითებით და გავაუქმოთ სანოტარო მოქმედება?

ცხადია არა. კანონის თანახმად სანოტარო მოქმედების გაუქმება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს. სანამ სანოტარო მოქმედება უკანონოდ არ იქნება მიჩნეული სასამართლოს დადგენილებით, მანამდე ამ სანოტარო მოქმედებას თავისი კანონიერი ძალა დაკარგული არა აქვს.

თავის მხრივ სასამართლო ორგანოების მიერ სანოტარო მოქმედების გაუქმება რომ არ ატარებდეს წმინდა ფორმალურ ხასიათს და რომ შინაარსობლივადაც ყოველმხრივ გარკვეული იყოს ამ საკითხის არსებითი მხარე, აუცილებელია სასამართლოს დადგენილებაში მითითებული იქნეს სანოტარო მოქმედების გაუქმების კონკრეტული საფუძველი.

წინააღმდეგ შემთხვევაში სანოტარო

მოქმედების გაუქმება დარჩება ისეთ ფორმალურ აქტად, რომელიც პასუხგაუცემლად დატოვებს მთავარ და ძირითად კითხვას იმის შესახებ, თუ ვისი მიზეზით იქნა გაუქმებული სანოტარო მოქმედება.

სასამართლოს მიერ ამ მთავარი და ძირითადი საკითხის პასუხგაუცემლად დატოვება კი არასწორია, რადგან თუ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია რომ სანოტარო მოქმედება თავიდანვე უკანონოდ იყო გაფორმებული — სხვა შემთხვევებში ასევე შესაძლებელია, რომ არსებული დოკუმენტების მიხედვით სანოტარო მოქმედება მისი შესრულების მომენტში სწორად იყო გაფორმებული, მაგრამ შემდეგ ახალმა გარემოებამ წარმოშვა ამ ერთდროს სწორად გაფორმებული სანოტარო მოქმედების გაუქმების აუცილებლობა.

ცხადია, ასეთ ორ სრულიად სხვადასხვა შემთხვევაში სანოტარო მოქმედების

გაუქმებიდან გამომდინარე შედეგებიც სულ სხვადასხვა იქნება და თითოეული მათგანის შესაბამისად მოხდება არა მარტო შემდგომი მუშაობისათვის სასარგებლო და სახელმძღვანელო პრეცედენტის დადგენა, არამედ ამ შედეგების მიხედვით მოხდება თვით მხარეთა იმ უფლება-მოვალეობების ფარგლების გარკვევაც, რომელთა ზუსტად განსაზღვრის საჭიროება სანოტარო მოქმედების გაუქმების საფუძველზე წამოიჭრება.

სასამართლოს დადგენილებაში აღნიშნული უნდა იქნეს, იყო თუ არა ეს სანოტარო მოქმედება თავის დროზე სწორად შესრულებული და კონკრეტულად ვისი და რა მიზეზით არის წარმოშობილი მისი გაუქმების აუცილებლობა.

ამით არა მარტო გადაწყდება საკითხი სანოტარო მოქმედების გაუქმების ან ძალაში დატოვების შესახებ, არამედ ცხადი გახდება თუ რა არის მისი გამომწვევი მიზეზი და საფუძველი.

კანონის ენის შესახებ¹

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში („საბჭოთა სამართალი“ № 1, 1966) საუბარი გვქონდა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის“ ენაზე და აღვნიშნეთ მისი ზოგიერთი ნაკლი. ახლა შევჩერდებით რესპუბლიკის „სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსზე“. ბევრი ადგილი აქ ენობრივი თვალსაზრისით კარგად, წიგნიერად არის შედგენილი და დამუშავებული, მაგრამ ზოგი რამ ვერ არის სათანადოდ გამართული. ტექსტი გაუმჯობესებას საჭიროებს. ზოგადი მსჯელობა ენის გამო ამ შემთხვევაში ზედმეტად მიგვაჩინია. ამის ნაცვლად ვამჯობინებთ კონკრეტული მაგალითები ავამეტყველოთ.

მუხლი 2. „საბჭოთა სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანაა სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების, მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის, მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომის, საბინაო და სხვა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვის მიზნით სამოქალაქო საქმეების სწორი და სწრაფი განხილვა და გადაწყვეტა“.

ეს ადგილი თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორ არ უნდა ვწეროთ, როგორ არ უნდა ვილაპარაკოთ. ქართულისათვის სრულიად არაბუნებრივი, უცხო ფრაზეოლოგიური კონსტრუქციებია. სიტყვათა დალაგება აზრის მსვლელობას არ მისდევს. სანამ ბოლომდე ჩააღწევდეთ და შინაარსს ჩასწვდებოდეთ, სული ამოგხდებათ. გაუმართლებელია და არ მოგვეწონებათ ტავტოლოგიაც:

კანონით დაცული ინტერესების დაცვა, რასაც სხვაგანაც ვხვდებით (იხ, მაგ., მმ. 4, 221). შრომის ნაცვლად აქ აჯობებდა შრომითი, რამდენადაც სხვა სათანადო სიტყვები ზედსართავის ფორმითაა მოცემული. ჩვენი ვარიანტია:

„საბჭოთა სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანაა სამოქალაქო საქმეების სწორი და სწრაფი (სწორად და სწრაფად) განხილვა და გადაწყვეტა იმ მიზნით, რომ დაიცვას სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება, დაიცვას მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, საბინაო და სხვა პირადი და ქონებრივი უფლებები და კანონით უზრუნველყოფილი (გარანტირებული) ინტერესები, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებები და კანონით უზრუნველყოფილი (გარანტირებული) ინტერესები“.

მუხლი 15. „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლების მე-15 მუხლის შესაბამისად კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება სავალდებულოა...“

რამდენადმე ბუნდოვანია. თუ საკითხს არსებითად არ იცნობთ, ისე ვერ გაიგებთ, თუ რას ენება ეს „საფუძვლების მე-15 მუხლის შესაბამისად“ — „კანონიერ ძალაში შესვლას“ თუ „სავალდებულოა“-ს. უხერხულია აგრეთვე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს... „ვფიქრობთ, ასე აჯობებდა:

„სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება, კანონიერ ძალაში შესული, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარ-

¹ საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის გამოცემის გამო.



მოების საფუძვლების მე-15 მუხლის შესაბამისად სავალდებულოა...“

მუხლი 22. „...მოსამართლეს, რომელიც ზედამხედველობის წესით საქმის განხილვაში მონაწილეობდა, არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს იმავე საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის სასამართლოში და საკასაციო ინსტანციაში“.

აზრი თითქოს ზუსტადაა გადმოცემული. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა აგრეთვე, რომ ფრაზა ლიტერატურულად იყოს გამართული. აქ საქმეს ართულებს, უწინარეს ყოვლისა, ში-თანდებულებიანი სიტყვების სიმრავლე. ამის თავიდან აცილება სასურველია და რამდენადმე შესაძლებელიცაა. ჩვენ ვიტყვით:

„მოსამართლეს, რომელიც სასამართლო ზედამხედველობის წესით განხილავდა საქმეს, არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პირველი ინსტანციის სასამართლოს და საკასაციო ინსტანციის მიერ ამავე საქმის განხილვაში“.

აღნიშნული უხერხულობის თავიდან ასაცილებლად შესასწორებელია ამ მუხლის სხვა აბზაცებიც.

მუხლი 23. „... 1) თუ მას ჰქონდა ან აქვს სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულება მხარეებთან, პროცესის მონაწილე სხვა პირებთან ან მათ წარმომადგენლებთან“.

აქ ერთგვარი უზუსტობაა. მხარეებთან თუ სხვებთან დამოკიდებულება აუცილებლად არ ნიშნავს დაქვემდებარებულ მდგომარეობას, კოდექსი კი სწორედ ასეთ მდგომარეობას გულისხმობს. ამიტომ უნდა:

“...1) თუ იგი არის ან იყო სამსახურებრივ ან სხვაგვარ დამოკიდებულებაში მხარეებისაგან, პროცესის მონაწილე სხვა პირებისა ან მათი წარმომადგენლებისაგან“, ან კიდევ: „თუ იგი სამსახურებრივად ან სხვაგვარად არის ან იყო დამოკიდებული მხარეებზე, პროცესის მონაწილე სხვა პირებზე ან მათ წარმომადგენლებზე“.

მუხლი 28. „...საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში, ავტონომიური რესპუ-

ბლიკების უმაღლეს სასამართლოებში და ავტონომიური ოლქის სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლოს წევრის ან სასამართლოს მთელი შემადგენლობის აცილების შემთხვევაში საქმეს განხილავს იგივე სასამართლო, ოღონდ მოსამართლეთა სხვა შემადგენლობით“.

რამდენადმე მძიმე წინადადებაა. ცოტათი უფრო მარტივად ასე შეიძლება:

„... იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოში საქმის განხილვისას აცილებული იქნება...“

სასურველია ასევე შეიცვალოს ამ მუხლის ზოგიერთი სხვა ადგილიც.

მუხლი 36. „სასამართლოს, რომელიც საქმის გარჩევის დროს დაადგენს, რომ სარჩელი წარდგენილია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, ან არა იმ პირისადმი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, შეუძლია მოსარჩელის თანახმად, საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე ან მოპასუხე სათანადო მოსარჩელით ან მოპასუხით“.

სიტყვა „რომელიც“ რამდენიმეჯერ მეორდება, რაც მოსაწონი არ არის. შეიძლება ამგვარად:

„სასამართლოს, თუ იგი საქმის გარჩევის დროს დაადგენს, რომ სარჩელი წარდგენილია არა იმ პირის მიერ, ვისაც მოთხოვნის უფლება აქვს, ან არა იმ პირისადმი, ვინც სარჩელის გამო პასუხი უნდა აგოს, შეუძლია მოსარჩელის თანხმობით, საქმის შეუწყვეტლად, შეცვალოს...“

მუხლი 40. „სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივ (ი) ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის მოსპობა, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით“.

აქ სადავოდ მიგვაჩნია ტერმინები: გას-

ვლა, მოსპობა, გადაცემა. გასვლის ნაცვლად, ვფიქრობთ, გამოდგება ამორიცხვა. გამოვარდნა. სიტყვა მოსპობა ერთგვარი იძულების მომენტს შეიცავს და იურიდიული პირის მიმართ შეიძლება ყოველთვის არ იყოს სწორი. მართებულად მიგვაჩნია: არსებობის შეწყვეტა, ლიკვიდაცია (ლიკვიდირება). ვალის გადაცემის მაგივრად „იურიდიული ტერმინოლოგია“ გვთავაზობს ვალის გადატანას. მთელი ფრაზაც არ არის საესეებით დამაკმაყოფილებელი. ვიდრე ვიჩვენებ ვარიანტს:

„იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ამოირიცხება (გამოვარდება) ერთ-ერთი მხარე (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტა, ვალის გადატანა), სასამართლო დაუშვებს ამ მხარის მისი უფლებამოსილებით შეცვლას“.

მუხლი 48. „უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს შეასრულოს მარწმუნებლის სახელით ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა საქმის ამხანაგური ან სამედიატორო სასამართლოსათვის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად, ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, უფლებამოსილების სხვა პირზე გადაცემისა (გადანდობა), სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თვითიური მოქმედების შესრულებისათვის უნდა სპეციალურად იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში“.

აზრობრივად ყველაფერი სწორია, მაგრამ მძიმე, ძნელად მოსაწვლელი ფრაზაა. გარდა — თანდებული, როგორც ვიცით, ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს. რამდენიმე ნათესაობითი ბუნებრივია და მისა-

ღები, მაგრამ ამდენის ერთად თავმოყრა (თუ არ ვცდებით, გამოვიდა ცხრამეტი ნათესაობითი!) თითქმის აუტანელი ხდება. ფრაზის გამარტივებისათვის საჭიროა, რომ ნათესაობითი სახელობითი დაისვას. კარგი იქნებოდა ზოგიერთი სიტყვის გადანაცვლება. ფრაზის დაწყობა შეიძლებოდა შემდეგნაირად (ერთ-ერთი ვარიანტი):

„სასამართლოში საქმის წარმოების უფლებამოსილება წარმომადგენელს უფლებას აძლევს მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა ისეთი აქტებისა (დონისციებისა), როგორცაა: საქმის ამხანაგურ ან სამედიატორო სასამართლოსათვის გადაცემა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმა, სარჩელის ცნობა, სარჩელის საგნის შეცვლა, მორიგება, უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა (გადანდობა), სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღება. წარმომადგენლის უფლებამოსილება, რომ შეასრულოს ამ მუხლში აღნიშნული თვითიური მოქმედება, სპეციალურად უნდა იყოს დათქმული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში“.

მუხლი 53. „სასამართლო (,) ხელმძღვანელობს რა სოციალისტური მართლშეგნებით (,) აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც ემყარება სასამართლო სხდომაზე საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას მათ ერთობლიობაში“.

უნდა უკუვაგდოთ ამ შემთხვევაში გრამატიკული აბსოლუტივი და ზოგიერთი სხვა საჭირო ცვლილებაც შევიტანოთ ფრაზის დალაგებაში. გამოგვივა:

„სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც ემყარება სასამართლო სხდომაზე საქმის ყველა, ერთობლივად აღებული გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას“.



ამასთან ხელმძღვანელობს კანონითა და სოციალისტური მართლშეგნებით“.

მუხლი 55. „... სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი სავალდებულოა სასამართლოსათვის, რომელიც განიხილავს საქმეს იმ პირის მოქმედების სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი, მხოლოდ იმ საკითხებზე, ჰქონდა თუ არა ადგილი ამ მოქმედებას და ჩაიდინა თუ არა იგი ამ პირმა“.

ამ არეულ-დარეული ფრაზის რივიანად გამართვა ძნელი საქმეა და ამას ჩვენ არც ვკისრულობთ. იქნებ ცოტათი უკეთესი გამოდგეს ასეთი ვარიანტი:

„... მოსამართლისათვის, რომელიც განიხილავს საქმეს, თუ რა სამოქალაქო-უფლებრივი შედეგები მოსდევს პირის მოქმედებას, ვის მიმართაც სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილია და კანონიერ ძალაშია შესული სასამართლოს განაჩენი, ეს უკანასკნელი სავალდებულოა მხოლოდ იმ საკითხებზე, ჩადენილია თუ არა აღნიშნული მოქმედება და ჩაიდინა თუ არა იგი უწყებულმა პირმა“.

მუხლი 56. „საქმის განმხილველი სასამართლო (,) სხვა ქალაქში ან რაიონში მტკიცებულებათა შეგროვების საჭიროების შემთხვევაში (,) ავალებს შესაბამის სასამართლოს გარკვეული საპროცესო მოქმედების შესრულებას“.

უფრო მარტივად და ბუნებრივი მეტყველების შესაბამისად:

„თუ (როცა) საჭიროა მტკიცებულებათა შეგროვება სხვა ქალაქში ან რაიონში, საქმის განმხილველი სასამართლო ავალებს სათანადო სასამართლოს შეასრულოს გარკვეული საპროცესო მოქმედება“.

იქვე: „განჩინებაში სასამართლო დავალების შესახებ მოკლედ უნდა ჩამოყალიბდეს განსახილველი საქმის შინაარსი, უნდა მიუთითონ გამოსარკვევ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც უნდა შე-

აგროვოს დავალების შემსრულებელმა სასამართლომ...“

რამდენადმე აჯობებდა:

„განჩინებაში სასამართლო დავალების შესახებ მოკლედ გადმოიცემა განსახილველი საქმის არსი, აღინიშნება გამოსარკვევი გარემოებანი და მტკიცებულებანი, რომლებიც უნდა შეაგროვოს დავალების შემსრულებელმა სასამართლომ...“

მუხლი 69. „შეუტყობინებლობის, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა...“

უკეთესი იქნებოდა:

„შეუტყობინებლობის შემთხვევაში, აგრეთვე მაშინ, როცა...“ (იხ. აგრეთვე მუხლი 75).

მუხლი 71. „სასამართლოში საბუთების წარდგენის სიძნელისას სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს სათანადო წესით შემოწმებული ამონაწერების წარდგენა ან მოახდინოს წერილობითი მტკიცებულებების დათვალიერება და გამორკვევა მათი შენახვის ადგილზე“.

მიძიმედ არის ნათქვამი. უბრალოდ ასე შეიძლებოდა:

„თუ ძნელია (გაძნელებულია) საბუთების სასამართლოში წარდგენა, სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს, წარმოადგინონ სათანადოდ შემოწმებული ამონაწერები, ანდა დაათვალიეროს და გამოიკვლიოს წერილობითი მტკიცებულებანი მათი შენახვის ადგილზე“.

მუხლი 99. „ქონების ყადაღის მოხსნის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში...“

ხელოვნური წინადადებაა. უფრო ბუნებრივი იქნებოდა:

„იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილება სარჩელი ქონებიდან ყადაღის მოხსნის შესახებ...“

მუხლი 106. „საქმეები აღიმენტების გადახდევინების შესახებ, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული შინის ანაზღაურება (თუ ანაზღაურების?) და შრომითი სამართლებრივი ურთიერთ-

ბიდან გამომდინარე მოთხოვნების შესახებ...“

ფიქრობთ, ასე აჯობებდა:

„საქმეები, რომლებიც ეხება ალიმენტების გადახდევინებას, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენლის სიკვდილით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას და შრომითი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებს...“

მუხლი 125. „სარჩელი ნაგებობაზე უფლების ცნობის, ყადაღისაგან ქონების განთავისუფლებისა და მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესის შესახებ ექვემდებარება სასამართლოს ქონების ან მიწის ნაკვეთის სამყოფელი ადგილის მიხედვით“.

რას ნიშნავს: სარჩელი ექვემდებარება? მუხლში ლაპარაკია განსაკუთრებულ განსაჯადობაზე, და ეს მომენტი უნდა იყოს აღნიშნული. ყადაღის მიმართ, ნაცვლად განთავისუფლებისა, ვამჯობინებდით მოხსნას. გარდა ამისა, უხერხულად მიგვარჩია ქონების თუ მიწის სამყოფელი ადგილი. სამყოფელი უფრო სულიერ საგანზე ითქმის. ჩვენი წინადადება იქნებოდა:

„სარჩელები, რომლებიც ეხება ნაგებობაზე უფლების ცნობას, ქონებიდან ყადაღის მოხსნას, მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესის დადგენას, ექვემდებარება სასამართლოს განსაჯადობას (განსჯადია სასამართლოს მიერ, სასამართლოში) ქონების თუ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის მიხედვით“.

მუხლი 138. „მოპასუხეს უფლება აქვს გადაწყვეტილების გამოსატანად სათათბირო ოთახში სასამართლოს გასვლამდე მოსარჩლის მიმართ წარადგინოს შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად“.

მძიმე წინადადებაა. დაყოფა ფრაზას გამარტივებდა და უფრო ნათელს გახდიდა:

„მოპასუხეს, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილების გამოსატანად სათათბირო ოთახში გავიდოდეს, უფლება აქვს წარადგინოს მოსარჩლის მიმართ შეგებებული

სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად“.

მუხლი 142. „11) გადაუდებელ შემთხვევებში საქმეში მონაწილე პირების შეტყობინებით მოახდენს ადგილზე დათვალიერებას“.

აქ ორი ში — თანდებული ერთმანეთს დაემთხვა, რაც მაინცდამაინც არ არის კარგი. მაგრამ ამას კიდევ მოვევლება. ჩვენ სხვა გარემოებას ვაქცევთ ყურადღებას: ყველგან, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, წერია: საქმეში მონაწილე. ასეთი გამოთქმა თავისთავადაც უმართებულოა და ფრაზაშიც უხერხულობას იწვევს. აჯობებდა — საქმის მონაწილე, ისევე როგორც პროცესის, კრების, დემონსტრაციის, შეჯიბრების მონაწილე. „შეტყობინებით“ კანცელარიულ იერს ატარებს და არ ივარგებს, თუმცა ამ გამოთქმას ტექსტში ხშირად ვხვდებით. წინადადება ასე გაიმართებოდა:

„გადაუდებელ შემთხვევაში მოახდენს დათვალიერებას ადგილზე და ამას შეტყობინებს (აცნობებს, აუწყებს) საქმის მონაწილე პირებს“.

დაახლოებით ამგვარივე ფრაზა მეორდება 151-ე მუხლში: „სამოქალაქო საქმის გარჩევა წარმოებს სასამართლო სხდომაზე საქმეში მონაწილე პირთა აუცილებელი შეტყობინებით“.

ამის ნაცვლად უკეთესია: „სამოქალაქო საქმის გარჩევა წარმოებს სასამართლო სხდომაზე, რასაც აუცილებლად აუწყებენ საქმის მონაწილე პირებს“... აქ არას ვამბობთ იმაზე, საქმის გარჩევა წარმოებს სჯობია თუ საქმე გაირჩევა და სხვ.

მუხლი 156. „თუ სასამართლო სხდომაზე წესრიგი დაარღვია მხარემ ან მესამე პირმა, სასამართლო გადადებს საქმის მოსმენას ან დამრღვევს გააძევებს სხდომის დარბაზიდან სასამართლო გარჩევის მთელი დროით ან მისი ნაწილით“.

როგორ მოგწონთ ეს დროის ნაწილით გააძევებს! ასეთი რამ ჯერ კაცს არ უთქვამს. ჩვეულებრივი იქნებოდა: „მთელი

დროით ან უფრო მოკლე (უფრო მცირე) ხნით“.

მუხლი 256. „... სასამართლო განიხილავს საქმეებს:) პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ; 2) პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ; 3) დაბადების, შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ; 4) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფაქტიური საქორწინო ურთიერთობის ცნობის შესახებ...; 5) უფლების დამდგენი საბუთების იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ...; 6) შენობაზე საკუთრების უფლების ფაქტის დადგენის შესახებ; 7) უბედური შემთხვევის ფაქტის დადგენის შესახებ; 8) პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ; 9) მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ; 10) იურიდიული მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების დადგენის შესახებ...“

როგორც ვხედავთ, მუხლში ძალიან ხშირად მეორდება სიტყვები: ფაქტი, დადგენის შესახებ, შესახებ, რაც სტილის ღირსებად ვერ ჩაითვლება. გარდა ამისა, წინადადებათა ამგვარი წყობა ზოგიერთ სხვა უხერხულობასაც ქმნის და მეტყველებას ამძიმებს. შეიძლება ეს თავიდან ავიცილოთ და ფრაზა გავამარტივოთ:

„...სასამართლო განიხილავს საქმეებს, რომლებითაც დადგინდება:

1) პირთა ნათესაური კავშირი; 2) პირის კმაყოფაზე ყოფნა; 3) დაბადების, შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალების რეგისტრაცია; 4) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა...; 5) ფაქტი, რომ უფლების დამდგენი საბუთები... ეკუთვნის პირს...; 6) საკუთრების უფლებით შენობის ფლობა; 7) უბედური შემთხვევის ფაქტი; 8) პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალება...; 9)

სამკვიდროს მიღება და სამკვიდროს გახსნის ადგილი; 10) იურიდიული მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტები...“

მუხლი 270. „... მოქალაქე, რომელიც აღიარებულ უნდა იქნეს არა ქმედითუნარიან პირად, გამოიწვევა სასამართლო სხდომაზე...“

არ არის ზუსტი. მუხლში ლაპარაკია მოქალაქეზე, რომლის არაქმედუნარიანად ცნობის საკითხი განიხილება. ხომ შეიძლება ეს მოქალაქე ქმედითუნარიან პირად მიიჩნიონ! მაშასადამე:

„მოქალაქე, რომლის არაქმედითუნარიან პირად აღიარების საქმე განიხილება, გამოიწვევა სასამართლო სხდომაზე...“

მუხლი 276. „მოსამართლე განცხადების მიღების შემდეგ გამოიტანს განჩინებას საბუთის გამცემი დაწესებულებისათვის ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის წარმოების აკრძალვის შესახებ, აგრეთვე განმცხადებლის ხარჯზე ადგილობრივ გაზეთში პუბლიკაციის შესახებ“.

საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი ტერმინის დაზუსტება და წინადადების აგებულების შეცვლა:

„მოსამართლე განცხადების მიღების შემდეგ გამოიტანს განჩინებას, რომ საბუთის გამცემ დაწესებულებას ეკრძალება ამ საბუთით გაიღოს რაიმე გადასახდელი და გასაცემი, აგრეთვე რომ განმცხადებლის ხარჯზე მოთავსდეს პუბლიკაცია ადგილობრივ გაზეთში“.

მუხლი 299. „საკასაციო საჩივრის შემტან პირს უფლება აქვს უარი თქვას მასზე, მაგრამ სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს ამ კოდექსის 34-ე მუხლში გათვალისწინებული მოტივები (?) და განიხილოს საქმე საკასაციო წესით“.

აქ აზრი დამახინჯებულია, ალბათ, კორექტურული შეცდომის გამო. უნდა იყოს:

„საკასაციო საჩივრის შემტან პირს შეუძლია უარი თქვას ამ საჩივარზე, მაგრამ სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს ეს უარი კოდექსის 34-ე მუხლში გათვალისწინებული მოტივებით და განიხილოს საქმე საკასაციო წესით“.

მუხლი 322. „საკასაციო ინსტანცია, გამომარკვევს რა, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დარღვეულია სამართლის ნორმები, რომლებიც არ წარმოადგენენ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს, დარღვევის გამოსწორების მიზნით უნდა აღინიშნოს (?) ამის შესახებ საკასაციო განჩინებაში ან სპეციალურად გამოტანილ კერძო განჩინებაში“.

„საფუძვლებს“ მხოლოდობითში უნდა იყოს დასმული („საფუძველს“); არა „აღინიშნოს“, არამედ „აღინიშნავს“. მთელი ფრაზაც გასამართავია. ერთ-ერთი ვარიანტი:

„საკასაციო ინსტანციამ, როცა იგი დაადგენს, რომ სამართლის ნორმების დარღვევა, საქმის განხილველი სასამართლოს მიერ დაშვებული, არ წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს, საკასაციო განჩინებაში ან სპეციალურად გამოტანილ კერძო განჩინებაში უნდა მიუთითოს ამ დარღვევაზე მისი გამოსწორების მიზნით“.

მუხლი 346. 3) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი დადგენილ მხარეთა, საქმეში მონაწილე პირთა ან მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი მოქმედება ან მოსამართლეთა დანაშაულებრივი ქმედობა, რომელიც ჩადენილი იყო ამ საქმის განხილვის დროს“.

უფრო გასაგებად და მარტივად:

„მხარეთა, საქმის მონაწილე სხვა პირთა ან მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი მოქმედება, დადგენილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, ან მოსამართლეთა დანაშაულებრივი ქმედობა, ჩადენილი ამ საქმის განხილვის დროს“.

იგივე მუხლი. “4) სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების ან სხვა ორგანოს დადგენილების გაუქმება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილების, განაჩენის ან დადგენილების გამოტანას“.

მუხლში ლაპარაკია იმაზე, თუ რა საფუძვლით შეიძლება გადაისინჯოს კანონიერ

ნიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და ა. შ. ზემოთხსენილი ტექსტის მიხედვით გამოდის, რომ გადაწყვეტილების გადასინჯვას საუფძვლად მისი გაუქმება დაედო. ნამდვილად კი საქმე სხვანაირადაა. ტექსტი ასე უნდა იკითხებოდეს.

„4) გაუქმება სასამართლოს გადაწყვეტილებისა, განაჩენისა, განჩინებისა, დადგენილებისა ან სხვა ორგანოს დადგენილებისა, რომელიც საფუძვლად დაედო... „ან კიდევ: „იმ... დადგენილების გაუქმება, რომელიც“, და სხვ.

მოსამართლე, ადვოკატი, საქმეში ჩახედული კაცი ალბათ მიხვდება, თუ რაშია საქმე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. წინადადება ისე ზუსტად და ნათლად უნდა იყოს შედგენილი, რომ იგი არავითარ ორაზროვნებას და გაუგებრობას არ იწვევდეს.

მუხლი 353. „სააღსრულებო საბუთები:

1) სააღსრულებლო ფურცლები, რომლებიც გაცემულია სასამართლოს გადაწყვეტილებათა, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების, სასამართლოების მიერ დამტკიცებული მორიგეების, ამხანაგური სასამართლოების გადაწყვეტილებების, მოქალაქეთა შორის დავის გამო სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებების, საზოგადოებრივი განაჩენების, საგარეო ვაჭრობის საარბიტრაჟო კომისიისა და ცალკე საქმეების განსახილველად სპეციალურად შექმნილი არბიტრაჟების გადაწყვეტილებების, უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე“.

ამ წინადადების ბოლომდე წამკითხველს, უეჭველია, სიმწრის ოფლი დაესხმის და ვალერიანის წვეთები დასჭირდება სულის მოსათქმელად. სხვა ვარიანტებს რომ თავი დავანებოთ, მეორე მრავლობითის ხმარება აქ მისწრაფება იქმებოდა:

„სააღსრულებლო საბუთები:

1) სააღსრულებლო ფურცლები, რომლებიც გაცემულია სასამართლოების გადაწყვეტილებათა, განაჩენთა, განჩინებათა და



დადგენილებათა, სასამართლოების მიერ დამტკიცებულ მორიგებათა, ამხანაგური სასამართლოების გადაწყვეტილებათა, მოქალაქეთა შორის დავის გამო სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებათა, საზოგადოებრივ განაჩენთა, საგარეო ვაჭრობის საარბიტრაჟო კომისიისა და ცალკეულ საქმეთა განსახილველად სპეციალურად შექმნილი არბიტრაჟების გადაწყვეტილებათა, უცხოური სასამართლოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე“.

ფრაზა თითქოს უფრო ასატანი გახდა, მაგრამ სირთულე მიანიც არ არის მთლად დაძლეული, საჭირო სიმარტივე არ არის მიღწეული. იქნებ უკეთესი იყოს ასეთი გამოსავალი:

„სააღსრულებო საბუთები“:

„1) სააღსრულებო ფურცლები, რომელთა გაცემის საფუძველია: სასამართლოთა გადაწყვეტილებანი, განაჩენები, განჩინებანი და დადგენილებანი, სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგებანი, ამხანაგურ სასამართლოთა გადაწყვეტილებანი, მოქალაქეთა შორის დავის გამო სამედიატორო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი, საზოგადოებრივი განაჩენები, საგარეო ვაჭრობის საარბიტრაჟო კომისიისა და ცალკეულ საქმეთა განსახილველად სპეციალურად შექმნილი არბიტრაჟების გადაწყვეტილებანი, უცხოურ სასამართლოთა გადაწყვეტილებანი“.

მუხლი 354. „ქონების კონფისკაციის, სახელმწიფო შემოსავალში ფულადი თანხების გადახდევინების, სახელმწიფო ან საზოგადო ქონებისათვის დანაშაულით მიყენებული ზიანის გადახდევინების, ალიმენტების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით და აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის გადახდევინების, მუშაკის არასწორად დათხოვნის ან გადაყვანის ანდა სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში დანაშაულთა თანამდებობის პირებისაგან ფულადი თანხების გადახდევინების შემთხვევაში,

სასამართლო თავისი ინიციატივით გაგზავნის სააღსრულებო ფურცელს აღსასრულებლად, რის შესახებაც აცნობებს შესაბამისად საფინანსო ორგანოს ან გადაამხდევინებელს“.

დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაა, როგორც გვაქვს შემომოყვანილ მუხლში, და, შეიძლება, უარესიც. საქმეს რამენაირად უნდა ეშველოს. ჩვენი ვარიანტი იქნება:

„ისეთ შემთხვევებში, როგორცაა ქონების კონფისკაცია, სახელმწიფო შემოსავლის სასარგებლოდ ფულადი სახსრების გადახდევინება, სახელმწიფო, კოოპერაციული (ეს სიტყვა ტექსტში გამოტოვებულია) ან საზოგადოებრივი ქონებისათვის დანაშაულით მიყენებული ზარალის გადახდევინება, ალიმენტების გადახდევინება, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენლის სიკვდილით გამოწვეული ზარალის გადახდევინება, ფულადი სახსრების გადახდევინება თანამდებობის პირებისათვის, რომლებსაც ბრალი მიუძღვით მუშაკის არასწორად დათხოვნას ან გადაყვანაში (ტექსტში აზრობრივი შეცდომაა: სასამართლოს გადაწყვეტილება ამას არ ესება), ანდა სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში, — სასამართლო თავისი ინიციატივით გაგზავნის სააღსრულებლო ფურცელს შესასრულებლად. რასაც აუწყებს შესაბამისად საფინანსო ორგანოს ან გადაამხდევინებელს“.

მუხლი 384. „მოქალაქეთა მიმართ გადაწყვეტილების აღსრულებისას გადახდევინება არ შეიძლება მოვალისა და მის კმაყოფაზე მყოფ პირთათვის საჭირო კვების პროდუქტებიდან, ტანსაცმლის, საოჯახო მოწყობილობისა და მოხმარების საგნებიდან, საჭირო რაოდენობის პირუტყვიდან ან ფრინველიდან, აგრეთვე სხვა ქონებიდან...“

არა გვგონია მართებული და მისაღები იყოს გამოთქმა: გადახდევინება ტანსაცმლიდან, ფრინველიდან და ა. შ. ჩვენ გთავაზობთ:

„მოქალაქეთა მიმართ გადაწყვეტილებების აღსრულებისას გადახდევინების წყარო არ შეიძლება იყოს მოვალისა და მის კმაყოფაზე მყოფ პირთათვის საჭირო კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, საოჯახო მოწყობილობა და მოხმარების საგნები, საჭირო რაოდენობის პირუტყვი და ფრინველი, აგრეთვე სხვა ქონება...“

მუხლი 401. „სოციალური დაზღვევის წესით დროებითი შრომისუუნარიანობისას გაცემული დახმარებებიდან და კოლმეურნეობათა ურთიერთდამხმარე სალაროების მიერ გაცემული დახმარებებიდან გადახდევინება შეიძლება ალიმენტების გადახდევინებისას, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით და აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებისას მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით“.

დახმარება მრავლობითში არ ითქმის და არც არის საჭირო ითქვას. შემდეგ, თუ დახმარება უკვე გაცემულია, საეჭვოა, იგი რაიმე ფულადი ზღვევინების წყარო გახდეს. შეიძლება გამოდგეს: გასაცემი, კუთვნილი დახმარება. ან კიდევ: დახმარება, რაც გაიცემა, რასაც იძლევიან და სხვ. ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი:

„სოციალური დაზღვევის წესით დროებითი შრომისუუნარიანობისას კუთვნილი დახმარებიდან და კოლმეურნეობათა ურთიერთდამხმარე სალაროების მიერ გასაცემი დახმარებიდან გადახდევინება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც ეხება ალიმენტების გადახდევინებას, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას“.

მუხლი 420. „ვაჭრობის ბათილად ცნობა.

ვაჭრობა შეიძლება სასამართლოს მიერ ბათილად იქნეს ცნობილი ვაჭრობის დღიდან სამი წლის განმავლობაში, თუ იგი ჩატარებულია დადგენილი წესების დარღვევით, თუ ნაგებობა მიეყიდა იმ პირს, რომელსაც ვაჭრობაში მონაწილეობის უფ-

ლება არ ჰქონდა, და აგრეთვე სასამართლო აღმასრულებელის, გამამხდევინებლის ან მსყიდველის მიერ ვაჭრობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, თუ მსყიდველმა ბოროტად გამოიყენა საჯარო ვაჭრობა და ეს ბოროტად გამოიყენება დანაშაულებრივია. ვაჭრობა შეიძლება სასამართლოს მიერ ბათილად იქნეს ცნობილი გამამტყუნებელი განაჩენის სისრულეში მოყვანისათვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადების განმავლობაში“.

მთელ მუხლში ლაპარაკია არა ჩვეულებრივ ვაჭრობაზე, არამედ საჯარო ვაჭრობაზე, აუქციონზე. მართალია, ტექსტში ერთხელ, ისიც შუა ადგილას, ნახმარია „საჯარო ვაჭრობა“, მაგრამ ეს არ კმარა და უფრო კორექტურულ შეცდომად მოგეჩვენებათ. საჭირო იყო, მუხლის სათაურში მაინც, აგრეთვე ტექსტის დასაწყისში მოეცათ სწორი ტერმინი. ცხადია, ერთგვარი უხერხულობა იქმნება ორი სიტყვის ხშირი ხმარებით. მაგრამ ამას ასე თუ ისე მოეგვებოდა. მუხლის ტექსტი დაახლოებით ასეთი იქნება:

„მუხლი 420. საჯარო ვაჭრობის ბათილად ცნობა.

საჯარო ვაჭრობა შეიძლება სასამართლომ ბათილად ცნოს მისი ჩატარების დღიდან სამი წლის განმავლობაში, თუ ამ ვაჭრობის დროს დარღვეული იყო დადგენილი წესები, თუ ნაგებობა მიეყიდა პირს, რომელსაც ვაჭრობაში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო აღმასრულებელმა, გადახდევინებელმა ამ მსყიდველმა ბოროტად გამოიყენეს მდგომარეობა. თუ მოქმედება მსყიდველისა, რომელმაც მდგომარეობა ბოროტად გამოიყენა, დანაშაულებრივია, სასამართლოს შეუძლია ბათილად ცნოს საჯარო ვაჭრობა გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულებისათვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადების განმავლობაში“.

მუხლი 421. „... თუ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია გადაწყვეტილების შესრულების ამ კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგები,

შედგენილ აქტს სასამართლო აღმასრულებელი გაუგზავნის აღსრულების ადგილის მიხედვით სახალხო მოსამართლეს, რომელსაც გამოაქვს განჩინება გადაწყვეტილებაში მითითებული შედეგების გამოყენების შესახებ მოვალის მიერ გარკვეული მოქმედებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით“.

როგორც მკითხველი შეამჩნევს, ფრაზა ბუნებრივად ვერ არის დალაგებული, საკმაოდ მძიმეა წარმოსათქმელადაც და გასაგებადაც. ვფიქრობთ, ასე აჯობებდა:

„თუ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია მისი შეუსრულებლობის შედეგები, გათვალისწინებული ამ კოდექსის 207-ე მუხლით, შედგენილ აქტს სასამართლო გაუგზავნის აღსრულების ადგილის სახალხო მოსამართლეს, რომელსაც გამოაქვს განჩინება, რომ გამოყენებულ იქნეს მოვალის მიერ გარკვეული მოქმედების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული შედეგები“.

მუხლი 422. „მუშაკისათვის სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო ფულადი თანხების გადახდით მიყენებული ზარალი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სარჩელით, ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება მის სასარგებლოდ გადახდეს სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში დამნაშავე თანამდებობის პირს“.

დაკვირვებული მკითხველი, ალბათ, იკითხვს აქ გამოთქმულ აზრს, ისე კი ფრაზა საკმაოდ ბუნდოვანია. მაგალითად, ვის მიაყენეს ზარალი ან ვის გადაუხადეს ფული? ვინ იგულისხმება „მის“ ნაცვალსახელში? „გადახდეს“ ამ შემთხვევაში მართებულად არ მიგვაჩნია. წინადადების დაწყობაც არ არის მთლად უნაკლო. ჩვენ დაახლოებით ასე ვიტყოდით:

„ზარალი, რაც გამოწვეულია სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო მუშაკისათვის ფულადი სახსრების გადახდით, საწარმოს, დაწესებულე-

ბის, ორგანიზაციის სარჩელით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება გადახდებოდეს თანამდებობის პირს, რომელსაც ბრალი მიუძღვის (რომელიც დამნაშავეა) სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში“.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია სხვა ვარიანტიც.

მუხლი 427. „თუ კოლმეურნეობებს, სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებს და მათ გაერთიანებებს არა აქვთ დავალიანების დაფარვისათვის საკმარისი ფულადი სახსრები, გადახდევინება შეიძლება მოხდეს მათი კუთვნილი ქონებიდან (, გარდა საწარმოებისა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებისა (თუ დაწესებულებებისა?), შენობებისა, ნაგებობებისა, ტრაქტორებისა, კომბაინებისა და სხვა მანქანებისა, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ქონებისა, რომელიც მიეკუთვნება ძირითად საშუალებებს, სათესლე და საფურაჟე ფონდებს (თუ ფონდებისა?), აგრეთვე საწვავისა, სასუქებისა და სხვა საბრუნავი ფონდებისა, რომლებიც საჭიროა კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციებისა და მათ გაერთიანებათა ნორმალური საქმიანობისათვის“.

მრავალი ნათესაობითის თავიდან ასაცილებლად, მეტი სიზუსტისა და სიმარტივის მისაღწევად აჯობებდა:

„თუ კოლმეურნეობებს, სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებს და მათ გაერთიანებებს არა აქვთ დავალიანების დასაფარავად საკმარისი ფულადი სახსრები, გადახდევინების წყარო შეიძლება იყოს მათი კუთვნილი ქონება, ოღონდ არა საწარმოები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი, შენობები, ნაგებობანი, ტრაქტორები, კომბაინები და სხვა მანქანები, სატრანსპორტო საშუალებანი და ძირითად საშუალებებს მიეკუთვნებული სხვა ქონება, სათესლე და საფურაჟე ფონდები, აგრეთვე საწვავი და სხვა საბრუნავი ფონდები, რაც საჭიროა კოლმეურნეობათა, სხვა კოოპერაციულ ორ-

განიზაციათა და მათ გავრთიანებათა ნორ-
მალური საქმიანობისათვის“.

ჩვენი აზრით, შესასწორებელია ამის
მსგავსი ზოგიერთი სხვა მუხლიც (მაგ.,
426, 428).

მუხლი 445. „სისრულეში მოყვანილი გა-
დაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელ-
ახალი განხილვის შემდეგ სარჩელზე მთლი-
ანად ან ნაწილობრივ უარისთქმის შემთხვე-
ვაში, ან საქმის წარმოების შეწყვეტის შე-
სახებ განჩინების გამოტანის ანდა სარჩე-
ლის განუხილველად დატოვების შემთხვე-
ვაში მოპასუხეს უნდა დაუბრუნდეს ყოვე-
ლივე ის, რაც მას მოსარჩელის სასარგებ-
ლოდ გადახდა გაუქმებული გადაწყვეტი-
ლებით (გადაწყვეტილების აღსრულების
შებრუნება).“

„სისრულეში მოყვანის“ ნაცვლად ამ ბო-
ლო დროს უფრო მეტად „აღსრულება“
იხმარება. „გადახდა“-ს მაგივრად აჯობებს
„გადახდევინეს“. არის მცირეოდენი
უზუსტობაც. ერთ ადგილას გამოტოვებულია
სიტყვა „გადაწყვეტილება“. მთელი ფრა-
ზაც საკმაოდ მძიმედ გამოიყურება. ჩვენი
აზრით, გამოდგებოდა ასეთი ვარიანტი:

„იმ შემთხვევაში, როცა აღსრულებული
გადაწყვეტილება გაუქმებულია და საქმის
ხელახლა განხილვის შემდეგ გამოტანილია
გადაწყვეტილება სარჩელზე მთლიანად ან
ნაწილობრივ უარისთქმის თაობაზე ან გან-
ჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის ანდა
სარჩელის განუხილველად დატოვების შე-
სახებ, — მოპასუხეს უნდა დაუბრუნდეს ყო-
ველივე ის, რაც მას გაუქმებული გადაწყვე-
ტილებით გადახდევინეს (გადაწყვეტილე-
ბის აღსრულების შებრუნება)“.

მუხლი 447. „... თუ ზედამხედველობის
წესით გაუქმებულია გადაწყვეტილება საქ-
მეზე შრომის ურთიერთობიდან გამომდინ-
არე მოთხოვნის გამო ფულადი თანხის

გადახდევინების შესახებ, საავტორო გასამ-
რჯელოს გადახდევინების შესახებ, საავტო-
რო უფლების, აღმოჩენის უფლების, საავ-
ტორო მოწმობით დადასტურებული გამოგონ-
ების უფლების და რაციონალიზატორული
წინადადების გამოყენებისათვის; ალიმენტე-
ბის გადახდევინების შესახებ; დასახიჩრებით
ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით და
აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვე-
ული ზარალის ანაზღაურების გადახდევი-
ნების შესახებ...“

აქ ზოგი რამ ბუნდოვანია და მთლად
ზუსტი ვერ არის: ა) არა შრომის ურთი-
ერთობა, არამედ შრომითი სამართლებლივი
ურთიერთობა; ბ) გამოტოვებულია მთელი
ფრაზა: კოლმეურნეობაში გაწეული შრომის
შემოსავლის გადახდევინება (რუსულ გამო-
ცემაში ეს წინადადება მოიპოვება; იქნებ
შეცდომითაა მოთავსებული); გ) სიტყვე-
ბი — საავტორო მოწმობით დადასტურებუ-
ლი მიკუთვნება აღმოჩენის უფლებასაც და
გამოგონების უფლებასაც; დ) ზარალის
ანაზღაურების გადახდევინება უხერხული
გამოთქმავა, ანაზღაურება და გადახდევინება
არსებითად ერთი და იგივეა; უნდა იყოს:
ზარალის, საზღაურის გადახდევინება. სა-
ბოლოოდ ტექსტი ჩვენი რედაქციით ასეთ
სახეს იღებს:

„თუ ზედამხედველობის წესით გაუქმე-
ბულია გადაწყვეტილება საქმეებზე, რომ-
ლებიც ეხება: შრომითი სამართლებრივი
ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნე-
ბის გამო ფულადი სახსრების გადახდევი-
ნებას, კოლმეურნეობაში გაწეული შრომის
შემოსავლის გადახდევინებას, საავტორო
მოწმობით დადასტურებული აღმოჩენის,
გამოგონების უფლების, რაციონალიზატო-
რული წინადადების გამოყენებისათვის გა-
სამრჯელოს გადახდევინებას, ალიმენტების
გადახდევინებას, დასახიჩრებით ან ჯანმრ-

თელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზარალის გადახდევინებას...“

კოდექსის ტექსტში კიდევ ცოტა როდია უხეირო გამოთქმა, სტილისტური, ტერმინოლოგიური, ორთოგრაფიული და კორექტურული შეცოდება. მაგალითების მოყვანას ჩვენ არ განვაგრძობთ. უკვე ნათქვამიც საესებით საკმარისია, რომ ერთი უცილობელი

დასკვნა გამოვიტანოთ: საჭიროა, რათა კოდექსის ტექსტი მისი ახალი გამოცემისათვის ენობრივი მხრივ საფუძვლიანად გადაისინჯოს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კანონმდებლობის ენას დღემდე ნაკლები ყურადღება ექცევა. ასეთ მდგომარეობას გადაჭრი თუნდა მოედოს ბოლო.

გ. კვარაცხელია.



რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის



უზდებრივი თანასწორობის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“

3. აბაშვიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ფეოდალიზმის ეპოქის უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ძეგლია, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ფეოდალურ ხანაში ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების სხვადასხვა მხარეების — ფილოსოფიური, პოლიტიკური, რელიგიური, სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი და სხვა საზოგადოებრივი შესხედულებების განვითარების დონის შესახებ. „ვეფხისტყაოსანი“ პირველყოფილია მხატვრული ნაწარმოებია. იგი არ წარმოადგენს საზოგადოების სულიერი ცხოვრების ზემოაღნიშნული დარგებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ტრაქტატს. მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული საზოგადოებრივ-პოლიტიკური შესხედულებანი ფეოდალიზმის ეპოქის ცნობილი იდეოლოგიის, დიდი სახელმწიფო მოღვაწის, მეფის სასახლის მაღალი თანამდებობრივი პირის — შოთა რუსთაველის მიერ არას გადმოცემული, მაგრამ ამ შესხედულებების შეფასებისას უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ „ვეფხისტყაოსანის“ მიხედვით შოთა რუსთაველი უპირველეს ყოვლისა პოეტიკა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები, შესხედულებანი და ცნებანი მას ესაჭიროება პოემის სიუჟეტურ წინააღმდეგობათა ახსნისა და განვითარებისათვის. ამიტომ არის, რომ პოემაში სწირად ურთულესი ფილოსოფიური და პოლიტიკური დებულებების ჩამოყალიბებისას პოეტი თავს არიდებს ამ დებულებების სპეციალურ განხილვას და მათ გადმოგვცემს მხატვრულ ფორმებში ლაკონურად, აფორიზმების სახით.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო ფეოდალურ საქართველოში, არამედ საერთოდ ფეოდალიზმის ეპოქაში ძნელად მოიძებნება სხვა რომელიმე ისტორიული წყარო, რომელიც მასში დასმულ პრობლემათა მრავალფეროვნებით შეედრებოდეს „ვეფხისტყაოსანს“. თუმცა „ვეფხისტყაოსანი“ მხატვრული ნაწარმოებია, მაგრამ რამდენადაც ყოველ მხატვრულ ნაწარმოებს მეტნაკლებად რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობანი უდევს საფუძვლად და მასში დასმულ პრობლემათა სასიათს განაპირობებს მოცემული საზოგადოების ევონომიური წყობილება, ამდენად შოთა რუსთაველის საზოგადოებრივ-

პოლიტიკური იდეები ფეოდალურ საქართველოში გაბატონებულ შესხედულებებად უნდა მივიჩნიოთ და მათი გენეზისი ძირითადად ქართულ სინამდვილეში უნდა ვეძებოთ.

მაგრამ როგორც პროფ. შ. ნუცუბიძემ საესეებით დამაჯერებლად ცხადყო, შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ დაკავშირებულია აღმოსავლეთის რენესანსთან, რომელიც ისტორიულად წინ უსწრებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და მათ შორის იტალიაშიც, აღორძინების ეპოქას. შოთა რუსთაველის აღმოსავლეთის რენესანსის მეთაურად გამოცხადება ამავე დროს მიუთითებს მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შესხედულებების უშუალო კავშირზე ანტიკური პერიოდისა და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურასთან, შოთა რუსთაველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შესხედულებების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ ამ ქვეყნების კულტურის აღიარებას. ასეთი კავშირის დამყარების ცდა და ამ კავშირის არსებობა, არა თუ ამცირებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, არამედ მას მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებად ხდის, რადგანაც დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში რენესანსის მთავარი წყარო ანტიკური კულტურა იყო. აღორძინების ეპოქის იდეური საფუძვლების კვლევას ანტიკურ სამყაროსაკენ მივყვართ. ფ. ენგელსი ამ კავშირის შესახებ მიუთითებდა, რომ „ბიზანტიის დაცემისას გადარჩენილი ხელნაწერებიდან, რომის ნანგრევებიდან ამოთხრილი ანტიკური ქანდაკებებიდან გაკვირვებული დასავლეთის წინაშე წარმოსდგა ახალი ქვეყანა, ბერძნული ანტიკურობა; მისი ნათელი სახეების წინაშე გაჰქრნენ შუა საუკუნეების მოჩვენებანი... ძველი „orbis terrarum“-ის ზღუდეები გაირღვა; მსოფლიოდ ახლა იქნა დღემდე ნამდვილად აღმოჩენილი... ეს იყო უდიდესი პროგრესული გადატრიალება, როგორც კი მანამდე კაცობრიობას განუცდია, ეს იყო დრო, რომელსაც ბუმბერაზები ესაჭიროებოდა და რომელმაც ბუმბერაზები წარმოშვა, ბუმბერაზები აზ-



რის სიძლიერით, მიზნებითა და ხასიათით, მრავალ-მსრივობითა და განსწავლულობით¹.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში აღორძინების ეპოქის ბუმბერაზთა — პეტარკას, ბოკაჩოს, მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩის, ტიცინას, კოპერნიკს და სხვათა შორის, — საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის სიდიადის, ფილოსოფიურ შესხედულებათა სიღრმის, საყოველთაო სიკეთისა და ბედნიერების პრობლემების აქტუალობის, საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვანი საკითხების დაყენებისა და ამ საკითხების ჰუმანიზმის პრინციპებით გადჭრის, სოციალურ მოვლენათა კვლევაში რელიგიური დოგმების უარყოფისა და ამ მოვლენების შესწავლისას მეცნიერული კვლევის მეთოდის გამოყენების მიხედვით, შოთა რუსთაველი თავისი უკვდავი ქმნილებით „ვეფხისტყაოსნით“, რენესანსის ეპოქის უდიდესი წარმომადგენელია.

„ვეფხისტყაოსნიდან“ ცხადი ხდება, რომ მისი ავტორი საფუძვლიანად იცნობს ანტიკური, აგრეთვე ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ იდეოლოგიას. შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ თავისუფლად იყენებს ანტიკური და ძველი აღმოსავლეთის ცნობილი პროგრესული მოაზროვნების მიერ შემუშავებულ ფილოსოფიურ ცნებებსა და კატეგორიებს, პოლიტიკურ დებულებებსა და სამართლებრივ შესხედულებებს. თუმცა შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: შოთა რუსთაველი თავის ნაწარმოებში მოიხსენიებს ანტიკური პერიოდის უდიდეს მოაზროვნეს პლატონს, აგრეთვე დიონისე არეოპაგელსა და ძველი ჩინეთის პოლიტიკურ მოძღვრებებს. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების პროგრესული მოაზროვნების პოლიტიკური შესხედულებების შედარება შოთა რუსთაველის პოლიტიკურ შესხედულებებთან ცხადყოფს, რომ რუსთაველი საკმაოდ საფუძვლიანად იცნობს თავის წინამორბედთა მიერ შემუშავებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ იდეებს და თავისუფლად მსჯელობს მათ შესახებ. „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის დეტალური ანალიზი ადასტურებს, რომ შ. რუსთაველისათვის თუმცა უცნობი არ არის ანტიკური სამყაროს გამოჩენილ მოაზროვნეთა შემოქმედება, მაგრამ როგორც პროფ. შ. ნუცუბიძე აღნიშნავს „В тексте поэмы Руставели в большинстве случаев совершенно не указаны философы, которых поэт имеет в виду, а порой даже цитирует“².

მართლაც, „ვეფხისტყაოსანში“ შოთა რუსთაველის მიერ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური შესხედულებანი ანტიკური და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების მრავალი ცნობილი მოაზროვნის

შემოქმედებას ენათესავება (დემოკრიტი, პლატონი, არისტოტელე, კონ-ფუ ძი, მო-ძი, ლაო-ძი, კაუტი-ლია). ამ მხრივ მეტად საინტერესოა ძველი ინდოეთის პოლიტიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი „არტ-ხაშასტრა“. ამ ნაწარმოებში განსილულია მრავალი სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი პრობლემა, დახასიათებულია იდეალური ხელმწიფე (უსვი, ძლიერი, სამართლიანი და ა. შ.), მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ ძველის მეცხვე თავი, რომელიც სპეციალურად მიძღვნილია იმ ურთიერთობის დახასიათებისადმი, რომელიც უნდა არსებობდეს მეფის ხელისუფლებასა და ვაჭართა კლასს შორის. სამეფო ხელისუფლებასა და ვაჭართა კლასს შორის არსებული ურთიერთობა, კაუტილიას მიერ აღწერილი „არტაშასტრაში“, ყველა თავისი დეტალით მთლიანად მოგვაგონებს გულანშაროს საეკატრო სახელმწიფოში მეფე მელიქ-სურხავსა და ვაჭართა გაერთიანების მეთაურს — უსენს შორის არსებულ ურთიერთობას, რომელსაც დაწერილებით გადმოგვცემს შ. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ დასმული მრავალი სოციალური პრობლემა არა მარტო საზოგადოების განვითარების რომელიმე განსაზღვრული ეპოქის საჭირობოტო საკითხია, არამედ პოემაში დასმულ პრობლემათა სიღრმე და აქტუალობა მათ ზოგად საკაცობრიო ხასიათს აძლევს და ამდენად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს. შოთა რუსთაველის შემოქმედების ამ მხარეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ასახსნელად თუ რატომ სჭირდება გენიალური მოაზროვნის თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოაზრებების დასახლებუბლად თეორიული ხასიათის შორეულ ექსკურსებს მიმართოს ანტიკურ სამყაროში.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ დაყენებულ პრობლემათა შორის ერთ-ერთ მთავარსა და შეიძლება ითქვას შუა საუკუნეებისათვის სრულიად ახალს წარმოადგენს მამაკაცთა და ქალთა უფლებრივი თანასწორობის საკითხი.

საზოგადოების წევრთა უფლებებისა და მოვალეობების საკითხი მამნივე განდა აქტუალური, როდესაც პირველყოფილ-გვაროვნული წყობილების ნგრევის საფუძვლზე გაჩნდა იწყეს კლასებმა, კერძო საკუთრება და სახელმწიფოებრივმა ხელისუფლებამ. პირველყოფილი საზოგადოების წევრთა შეგნებაში უფლებებისა და მოვალეობების ცნებები გამოჩნული არ იყო, ის რაც დღევანდელი გაგებით ინდივიდის უფლებას შეადგენს, პირველყოფილ საზოგადოებაში მოვალეობასაც შეადგენდა და პირიქით. საზოგადოებაში გაბატონებული კლასების გაჩენასთან ერთად სახელმწიფოებრივი ხელისუფლება თავისი წარმოშო-

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1950, გვ. 62.

2 III. И. Нучубидзе, Руставели и восточный Ренессанс, Тбилиси, 1947 г., стр. 238.

ბიდანვე იწყებს საზოგადოების წევრთა უფლებებისა და მოვალეობების დადგენას და ამ გზით ადამიანთა რეალური ურთიერთობების მოწესრიგებას. მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებაში მამაკაცი მთავარი ფიგურაა როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში. მამაკაცი საზოგადოების ძირითადი სამეურნეო უზრუნველყოფელი — ოჯახის მეთაური და სწორედ ამიტომ ქალები უფლებები არიან, განურჩევლად მათი წარმოშობისა. ანტიკური სამყარო, თვით ათენის სახელმწიფოც კი, რომელიც დემოკრატიის კერას წარმოადგენდა, არ იცნობს მამაკაცთა და ქალთა პოლიტიკურ თანასწორობას. რაც შეეხება ფეოდალიზმის ეპოქას, და განსაკუთრებით შუა საუკუნეებს, ამ პერიოდის პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია არ იცნობს სოციალური და პოლიტიკური თანასწორობის პრინციპს არა მარტო ქალთა და მამაკაცთა შორის, არამედ საერთოდ საზოგადოების წევრებს შორის.

მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოების ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ამ ეპოქის სამართლებრივი ნორმები არ აღიარებენ ქალებს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებად.

ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქის იდეოლოგიებისაგან განსხვავებით შ. რუსთაველის უდიდეს დამახასიათებელს წარმოადგენს საზოგადოებაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხის ჰუმანიზმისათვის დამახასიათებელ ასპექტში განხილვა. შ. რუსთაველის აზრით, ღმერთი პანთეისტური გაგებით არა მარტო ყოველივე არსებულის შემქმნელია, არამედ ღმერთის ნების შესაბამისად ვითარდება საზოგადოებრივი მოვლენები. ამ გაგებით ადამიანები, როგორც საზოგადოების წევრები ღმერთის შექმნილია და მათი ბედი მთლიანად ღმერთის ნებაზეა დამოკიდებული. საზოგადოების წევრთა (როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა) საქმიანობა, ამ საქმიანობის ხასიათი ბუნების მოვლენებთან ურთიერთობაში წინასწარ არის ღმერთის მიერ განპირობებული და ამიტომაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანთა ინიციატივისათვის უმნიშვნელო ადგილი რჩება. სწორედ ამიტომ შ. რუსთაველის აზრით საზოგადოებაში მამაკაცები და ქალები უფლებრივი თვალსაზრისით თანასწორნი უნდა იყვნენ, თუნდაც იმიტომ, რომ ორივე სქესის წარმომადგენლები ღმერთის მიერ არიან შექმნილი და მათს ბედს ღმერთი განაგებს. ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შეზღუდვა ემყარება მცდარ წარმოდგენას ქალის ინტელექტუალური განვითარების დაბალი დონის შესახებ, რის გამოც ისინი არ შეიძლება თანასწორნი იყვნენ უფლებების მხრივ მამაკაცებთან, მაგრამ შ. რუსთაველის აზრით, რამდენადაც საზოგადოებაში ინდივიდის პირად ინიციატივას დიდი მნიშვნელობა არა აქვს მოვლენათა განვითარების საერთო პროცესში, ბუნებასა და საზოგადოებაში ყველაფერი დეტერმინირებულია, ამდენად საზოგადოების არსებობისათვის სრულებით არ

არის საშიში მამაკაცებთან ქალთა უფლებრივი გათანასწოლება. შ. რუსთაველის აზრით, აქ მთავარი ის არის, რომ როგორც მამაკაცი, ისე ქალი ღმერთის მიერ არის შექმნილი და მათი საქმიანობა მთლიანად ღმერთის ნებაზეა დამოკიდებული. მართლაც, ვეზირები, რომლებიც შ. რუსთაველის დამოკიდებულებას გამოხატავენ ამ საკითხისადმი, სასვებით იწონებენ არაბეთის მეფის — როსტევეანის მოსაზრებას სამეფო ტახტზე თავისი ქალიშვილის — თინათინის აყვანის შესახებ.

შ. რუსთაველის აზრით, სამეფო ხელისუფლება ღვთაებრივი წარმოშობისაა, ღმერთი განსაზღვრავს იმას თუ ვინ უნდა იყოს მეფის ტახტზე და ვინ უნდა იყოს ტახტის მემკვიდრე. მეფე როსტევეანთან თათბირის დროს ვეზირები გარკვევით და ნათლად გადმოსცემენ შ. რუსთაველის ამ მოსაზრებას. მათი აზრით ღმერთმა როსტევეანს არ მისცა „სხვა ძე“ (მემკვიდრე), გარდა თინათინისა, მაგრამ ეს სრულებით არ უნდა ამწესებდეს მეფეს, რადგანაც თინათინი „თუცა ქალია“, მაგრამ „ხელ მწიფედ მართლმართისა და ნაბადაია“. ამ მოსაზრების გასაძლიერებლად შ. რუსთაველი აღიარებს მონათმფლობელური და ფეოდალური ეპოქებისათვის მანამდე სრულიად უცნობ, ახალ პროგრესულ პოლიტიკურ დებულებას, რომლის თანახმადაც „ლევკი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

„ვეფხისტყაოსნის“ ამ აფორიზმმა, რომელშიც მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის იდეა კონკრეტულ მაგალითზე მეტად დამაჯერებლად არის გადმოცემული, თავიდანვე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. ავტორთა ერთი ჯგუფის აზრით ამ აფორიზმში შ. რუსთაველმა ფეოდალიზმის ეპოქაში წამოაყენა მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობა საზოგადოების ყველა წევრებს შორის. ზოგიერთი ავტორი კი ფიქრობს, რომ შ. რუსთაველი მოითხოვს მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობას არა საერთოდ, საზოგადოების ყველა წევრს შორის, არამედ შეზღუდულად, ცალკეული კლასებისა და წოდებების ფარგლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ შ. რუსთაველის მიერ წამოყენებული მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის პროგრესული იდეის გაგება შეუძლებელია მის პოლიტიკურ შეხედულებათა საერთო სისტემასთან კავშირის გარეშე.

შ. რუსთაველი ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგია და ვასალ-სენიორალური ურთიერთობა თავისი რთული იერარქიული წყობილებით, საზოგადოების არსებობის აუცილებელ პირობად მიანია. შ. რუსთაველი ოცნებობს ფეოდალურ საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობების აღმოფხვრას ჰუმანიზმისა და კაცობიერების პრინციპებზე აგებულ ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საშუალებით და ფიქრობს, რომ მეფის ძლიერ ცენტრალიზებულ ხელისუფლებას შეუძლია უზრუნველყოს საზოგადოება-



ში კლასობრივი ზავი, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად სამეფო ხელისუფლების მეთაურს, განსაკუთრებული ინტელექტუალური და ზნეობრივი თვისებები უნდა გააჩნდეს, რადგანაც შ. რუსთაველის აზრით სახელმწიფოს მართვა ხელოვნებაა და ამ ხელოვნებას მხოლოდ ბრძენი შეიძლება დაეუფლოს. პლატონის მსგავსად, შ. რუსთაველი მოითხოვს, რომ სამეფო ხელისუფლებას უნდა ახორციელებდნენ ბრძენნი, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში კანონებით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ საკუთარი შეხედულებებით. ცხადია შ. რუსთაველი ცდილობს გამართლოს ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული სამართლებრივი რეჟიმი, რომლის მიხედვითაც მსხვილი ფეოდალები თავიანთ სამფლობელოებში ერთდროულად კანონმდებლებიც და მოსამართლენიც იყვნენ. შ. რუსთაველი ღრმად არის დარწმუნებული რომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სათავეში თუ ბრძენნი იქნებიან, ისინი შესძლებენ მიაღწიონ იმას, რომ „შვიან მათთა საბრძანისთა, თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ (1664).

ამრიგად, შ. რუსთაველი ფეოდალური არისტოკრატის იდეოლოგია და მისი პოლიტიკური შეხედულებანი მიზნად ისახავს უთანასწორობის ნიადაგზე აგებული ფეოდალურ-იერარქიული წყობილების დაცვასა და განმტკიცებას.

შ. რუსთაველის აზრით ფეოდალურ საზოგადოებაში კლასობრივი ზავისა და სოციალური სოლიდარიზმის მოთხოვნათა განხორციელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ საზოგადოების თითოეულ ჯგუფს დაეკისრება გარკვეული საზოგადოებრივი ფუნქცია. პლატონის მიერ „სახელმწიფოში“ ჩამოყალიბებული დებულება იდეალური საზოგადოების თითოეული წოდებისათვის განსაზღვრული სოციალური ფუნქციის დაკისრების შესახებ, შ. რუსთაველმა ფეოდალიზმის ეპოქაში რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვისა და განმტკიცებისათვის გამოიყენა. პლატონის თავის შრომაში „სახელმწიფო“ აღნიშნავს, რომ იდეალური საზოგადოების სამ წოდებას, ფილოსოფოსებს, მეომრებსა და აგრეთვე მიწათმოქმედებსა და ხელოსნებს შორის საზოგადოებრივი ფუნქციები განაწილებული უნდა იქნას შემდეგნაირად: ფილოსოფოსები და მეომრები განაგებენ საქვეყნო საქმეებს, ახორციელებენ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას და იცავენ ქვეყანას მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში; რაც შეეხება მიწათმოქმედებსა და ხელოსნებს, ისინი მთელი საზოგადოებისათვის ქმნიან მატერიალურ ფეოდალს. პლატონი გადაჭრით მოითხოვს, რომ იდეალური საზოგადოების ზემოთაღნიშნული სამი წოდება ზუსტად უნდა ასრულებდეს მასზე დაკისრებულ საზოგადოებრივ ფუნქციებს, რადგან ამ ფუნქციების შეუსრულებლობა იდეალურ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას დაღუპვის საფრთხით ემუქრება.

შ. რუსთაველი, რომელიც მთელს ანტიკურ კულ-

ტურასთან ერთად საფუძვლიანად იცნობს პლატონის ფილოსოფიურ და პოლიტიკურ შეხედულებებს, ფეოდალურ საზოგადოებაში კლასობრივი ზავისა და სოლიდარიზმის დამყარების მიზნით, მთლიანად იზიარებს ანტიკურ სამყაროში შემუშავებულ საზოგადოებრივი სოლიდარიზმის თეორიას და მიუთითებს, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და უზნობდეს“.

მუშა მიწყვი მუშაკობდეს მეომარი გოლოვობდეს“ (11)

ამავე დროს, შ. რუსთაველი მიუთითებს, რომ ფეოდალური საზოგადოების ცალკეულ წოდებებს განსაზღვრული საზოგადოებრივი ფუნქციები დაკისრებულ აქვთ დემერის მიერ და ამიტომ ფეოდალური საზოგადოების არცერთმა წოდებამ თავისი სამართლებრივი მდგომარეობა „არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს“ (11)

შ. რუსთაველს ფეოდალური საზოგადოების იერარქულ წოდებებად დაყოფა და ამ წოდებებისადმი განსაზღვრული საზოგადოებრივი ფუნქციების დაკისრება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ლოგიკურ შედეგად მიაჩნია. მისი აზრით, რადგანაც ყოველი საქვე საზოგადოებაში უკეთესად კეთდება, როდესაც ამ საქმეს სპეციალურად გაპირონებული სოციალური ჯგუფები ასრულებენ, ამდენად მას საზოგადოების არსებობის აუცილებელ პირობად მიაჩნია, რომ ქვეყნის მთელი მატერიალური დოვლათის შემქმნელი „მუშა მიწყვი მუშაკობდეს“, ხოლო „მეომარი გულოვობდეს“. რაც შეეხება საზოგადოების უმაღლეს წოდებას, სამეფო გვარეულობას ანუ ბრძენთ, ისინი უნდა განაგებდნენ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას. ეს უკანასკნელნი ხელმძღვანელობდნენ მთელი საზოგადოების პოლიტიკურ საქმიანობას და ამიტომ მათ ბრძანებას უნდა ექვემდებარებოდნენ ყველა ქვეშევრდომი. სამეფო ხელისუფლების ეს მაღალი უფლებამოსილება იმით არის გაპირობებული, რომ სამეფო გვარეულობა ბრძენთა შთამომავლობაა და მის წევრებს განსაკუთრებული ინტელექტუალური და ზნეობრივი თვისებები გააჩნიათ. სამეფო გვარეულობის წევრები შ. რუსთაველის აზრით საზოგადოების რჩეული ნაწილია. შ. რუსთაველი ეპითეტებს არ იმუშრებს მათ შესამკობად. როსტევანი, ფარსადანი, ტარიელი, ავთანდილი, თინათინი, ნესტანი და სამეფო გვარეულობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად უმსხვილესი რანგის ფეოდალებიც, შ. რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსანში“ დასასიათებელია, როგორც „მზე“, „მთვარე“, „ლომი“ და ა. შ.

„ვეფხისტყაოსანის“ დასაწყისშივე შ. რუსთაველი გვაცნობს ფეოდალური საზოგადოების უმაღლესი წოდების ბრწყინვალე წარმომადგენელს როსტევანს რომელსაც სიბრძნესთან ერთად ცხოვრების უდიდესი გამოცდილება აქვს:

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან
სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი,
ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული,
განგებინანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბნარი
წყლიანი“ (32).

შ. რუსთაველის აზრით სამეფო გვარეულობის წვერებსა და უმსხვილეს ფეოდალებს, რომლებიც ფეოდალური საზოგადოების დანარჩენი მასისაგან განკერძოებულ ზედაფენას შეადგენენ, განსაკუთრებული ინტელექტუალური და ზნეობრივი თვისებები გააჩნიათ. საზოგადოების ამ ღირსეულ ნაწილს ეს კეთილშობილური თვისებები შეძენილი აქვთ როგორც აღზრდის შედეგად, ასევე უხვად აქვთ თანდაყოლილი დაბადებიდანვე. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ მოხუცი მეფის როსტევანის თანაბრად „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ქება-დიდებას არ იმუშრებს შედარებით ახალგაზრდა მეფის — ფარსადანისადმი, რომელიც შ. რუსთაველის აზრით იყო:

„უხვი, მდაბალი, უკადრი, მეფეთა ზედა
მგლობელი,
ტანად ლომი და ჰირად მზე, ომად მძლე,
რაზმთა მწყობელი“ (311)

შ. რუსთაველის აზრით სამეფო გვარეულობის წვერთა და კერძოდ, სახელმწიფოს მეთაურთა ღირსებას არ განსაზღვრავს საზოგადოებაში მათი მდგომარეობა, სახელდობრ ის, რომ შედარებით დიდ სამეფოებს განაგებენ თუ მცირეებს. სამეფოების სიდიდისაგან დამოუკიდებლად, მეფეებს და სამეფო გვარეულობის სხვა წევრებს, ერთნაირი პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს ყველა. ტარიელის მამა სარიდანი ფარსადანთან შედარებით მართალია უფრო მცირე სამეფოს პატრონია, მაგრამ მიუხედავად ამის, როგორც ტარიელი გადმოგვცემს „თვით მეფემან მამა ჩემი დაიჭირა სწორად თავსა“ (317). ფარსადანი ხაზს უსვამს იმას, რომ სარიდანს, რომელმაც ინდოეთის მეშვიდე სამეფო ნებაყოფლობით გააერთიანა მის სამეფოსთან ასევე მაღალი ღირსებები გააჩნია. იგი სარიდანის შესახებ ამბობს, რომ „მას არა ვპაგავ ასრე, ვითა მე სხვა კაცი არა მეგავს“ (317).

ფეოდალური არისტოკრატის იდეოლოგია შ. რუსთაველი აღფრთოვანებულია აგრეთვე სამეფო გვარეულობის შთამომავალთა სხვა წარმომადგენლების — ტარიელის, თინათინის, ნესტანის და სხვათა, — კეთილშობილური ღირსებებით. შოთა რუსთაველი მაღალი პათეტიური ტონით გვესაუბრება ნესტანის განათავისუფლებისა და ტარიელთან მისი შეხვედრის შესახებ:

„ეხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლნი
ღვარნეს,
ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზულ
შეიყარნეს“ (1421).

მაგრამ არა მარტო შ. რუსთაველი, არამედ სამეფო გვარეულობის წევრები და უმსხვილესი რანგის ფეოდალები, რომლებიც დარწმუნებულნი არიან თავიანთ ღირსებებში, ამამაღლებელი ეპითეტების გარეშე ერთმანეთს თითქმის არასოდეს არ მიმართავენ. ნესტანი თავის რჩევა-დარიგებას ტარიელისადმი ფარსადანის მომავალი სასიძოს მოკვლის თაობაზე ასე იწყებს: „ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთა“ 5431); პირველი შესხვედრისთანავე ტარიელი აღფრთოვანებულია ავთანდილით და აღნიშნავს, რომ ავთანდილი არის „ტანად სარო და პირად მზე, მამაცად მსგავსი გმირისა“ (2962). აღსანიშნავია, რომ თავიანთ ამ მაღალ ღირსებას თვით სამეფო გვარეულობის წევრებიც არ მალავენ. ტარიელი უყვება თავისი ჭაბუკობის ამბავს ავთანდილს და ამბობს, რომ „მოვიწიფე, დაეშუშავავე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად“ (3194).

სამეფო გვარეულობისა და უმსხვილესი ფეოდალების, მაღალი არისტოკრატული წრის წარმომადგენელთა ასეთი მოკრძალებული ურთიერთობის პირობებში, ფეოდალური საზოგადოების შედარებით დაბალ წოდებათა წარმომადგენლები, რომლებიც იერარქიულად ექვემდებარებიან სამეფო გვარეულობის წარმომადგენლებსა და უმსხვილეს ფეოდალებს, ყოველთვის პატივისცემით მიმართავენ მათ. ასმათი, რომელიც დაბალი წარმომომბისაა, ბოლომდე ერთგული რჩება ტარიელისა და ნესტანისა და არამარტო იზიარებს მათ გაჭირვებას, არამედ ხშირად ამხნევეს სასოწარკვეთილებამი ჩავარდნილ ტარიელს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცხოვრების ერთნაირ პირობებში იმყოფებიან სამშობლოდან განდევნილი, ასმათი არასდროს არ იფიწყებს ტარიელის სამეფო გვარის შვილობას და ყოველთვის ხაზს უსვამს მის ღირსებებს. შ. რუსთაველი გადმოგვცემს, რომ სასოწარკვეთილებამი ჩავარდნილ ტარიელს „ასმათ უთხრა: „ცრემლით, ლომო, მაგა ცეცხლსა რა ერგების“ (3011).

შ. რუსთაველი ასევე დიდ პატივისცემით მოიხსენიებს მეფის სასახლესთან დაკავშირებულ მაღალი რანგის ფეოდალებს, რომლებიც წარმომომბით სამეფო გვარეულობის შთამომავლობაზე დაბლა დგანან. მართალია ისინი ფეოდალური საზოგადოების დანარჩენი მასის მიმართ ურთიერთობაში ყოველთვის ერთად არიან, მაგრამ უმსხვილესი ფეოდალები მათი შედარებით დაბალი წარმომომბის გამო, პირნათლად და ერთგულად ემსახურებიან სამეფო გვარეულობის წევრებს და პირველ რიგში ფეოდალური იერარქიის სათავეში მყოფ სიუზერენს. შოთა რუსთაველის აზრით ავთანდილი უნდა ემსახუროს თინათინს არამარტო



იმის გამო, რომ იგი მიჯნურია, არამედ იმიტომაც, რომ ავთანდილი თინათინის ვასალია და სწორედ ეს გარემოება ავალდებულებს ავთანდილს კეთილსინდისიერად შეასრულოს ვასალ-სენიორული ურთიერთობის სელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ კარგად გამოხატავს ფეოდალურ საზოგადოებაში სამეფო გვარეულობის წევრებისა და უმსხვილესი ფეოდალების მისწრაფებას სოლიდარიზმისაკენ, რაც მიზნად ისახავს ფეოდალური საზოგადოების დაბალ ფენებზე მათი ბატონობის შენარჩუნებას. ფეოდალური საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების გასამტკიცებლად შ. რუსთაველის აზრით სწორედ ისინი უნდა შეელოდნენ ერთმანეთს გაჭირვების დროს. თინათინის უბრალო ცნობისმოყვარეობით არ უნდა აიხსნას ის, რომ იგი დაინტერესდა ტარიელის ბედით. მას შემდეგ, რაც ავთანდილი წარმატებით შეასრულებს თინათინის დავალებას და მიაგნებს ტარიელის კვალს, ორივენი, თინათინიც და ავთანდილიც თავიანთ მორალურ ვალდებულებად თვლიან იხსნას სამეფო გვარეულობის ბრწყინვალე წარმომადგენელი — ტარიელი გაჭირვებულნი.

რაც შეეხება დაბალი წოდების წარმომადგენლებს, კერძოდ დაბალი წარმოშობის ფეოდალებს, რაგინდ დიდი თანამდებობა არ უნდა ეკავით მათ მეფის სასახლეში, შ. რუსთაველის აზრით, ისინი არ უნდა იმსახურებოდნენ ისეთ პატივისცემას, როგორსაც იმსახურებენ სამეფო გვარეულობის წარმომადგენლები. ამ მხრივ დამახასიათებელია ავთანდილისა და როსტევეანის ვეზირის — სოგრატის უფლებრივი მდგომარეობა სასახლეში. თანამდებობით ავთანდილი არის „სპასპეტი ლაშქრისა ბეგრ-ათასისა“, სოგრატი კი — როსტევეანის ვეზირია, „მოახლე დასთა დასისა“. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არამარტო წარმოშობით, არამედ იმ ადგილითაც, რომელიც მათ იერარქიულად აგებულ ფეოდალურ სახელმწიფოში უკავიათ. სწორედ ამიტომ ავთანდილისა და სოგრატის უფლებრივი მდგომარეობა სასახლეში სხვადასხვანაირია. ავთანდილი უმსხვილესი ფეოდალია, რომელსაც თავისი ციხე-ქალაქი აქვს და საკუთარი ვასალებიც ჰყავს, სოგრატი მხოლოდ სასახლის თანამდებობის პირია. შოთა რუსთაველი, ავთანდილისა და სოგრატის უფლებრივ მდგომარეობას სასახლეში მათი წარმოშობისა და პოლიტიკური ძლიერების მიხედვით განსაზღვრავს. თინათინის გამეფებასთან დაკავშირებით როსტევეანის მიერ გამართული დიდი ღზინის დროს სუფრის

აღნიშვნით, რომ აქვე იყო „ვეზირი ბერი სოგრატი, თვით მასთანავე მჯდომია“ (573).

შოთა რუსთაველის აზრით ფეოდალური საზოგადოების იდეალურ ნაწილს იმიტომ წარმოადგენს სამეფო გვარეულობის შთამომავლობა და უმსხვილესი რანგის ფეოდალები, რომ მათი მაღალი წარმოშობა უზრუნველყოფს ფეოდალური საზოგადოების დანარჩენი მასისაგან განსხვავებით მათ განსაკუთრებულ პირად ღირსებებს. მაგრამ შ. რუსთაველს სწამს, რომ მაღალი წარმოშობა და გვარიშვილობა არ სწევს ცოველთვის საკითხს. მაღალი წარმოშობა საერთოდ კარგი აღზრდის პირობებში კეთილშობილური თვისებების შექმნის პირობაა, მაგრამ ზმირად ნაკლები აღზრდისა და მორალური თვისებების მქონე მაღალი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელმაც შეიძლება ჩაიდინოს უღირსი საქციელი. სატალთა მეფე რამაზი მაღალი წარმოშობისაა, მაგრამ შ. რუსთაველის აზრით იგი არის „ორგული და მოღალატე“. „მუხთალი და ფიცის გამტკები“. სამეფო გვარეულობის წევრთა შორის უღირსი ადამიანების არსებობით უკმაყოფილო შ. რუსთაველის განწყობილებას კარგად გამოხატავს აფორიზმი, რომელსაც „ვეფხისტყაოსანს“ მიაწერენ:

„ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა; თუ კაცი თავად არ ფარავ, ცუდია გვარიშვილობა“.

შ. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ მართალია ძალიან მკრთალად, მაგრამ მაინც გვაძლევს ეკლესიის მსახურთა და აგრეთვე ვაჭართა კლასის უფლებრივი მდგომარეობის დამახასიათებელ ფეოდალურ საზოგადოებაში.

შ. რუსთაველი დარწმუნებულია, რომ ღმერთი არსებობს მხოლოდ პანთეისტური გაგებით და ამიტომაც ეკლესია და მისი იერარქიული წყობილება სრულებით არ არის საჭირო საზოგადოებაში ღმერთთან მორწმუნეთა შუამავლობისათვის. შოთა რუსთაველის აზრით მორწმუნეებს ეკლესიისაგან დამოუკიდებლად შეუძლიათ ემსახურონ ღმერთს და პატივი სცენ მას. ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სრულიად უმნიშვნელო ადგილი უკავია სამღვდელეობის მაღალ წოდებასა და საეკლესიო იერარქიას. შოთა რუსთაველი ამით აშკარად გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ეკლესიის მსახურთა მიმართ, მაგრამ როგორც რეალისტი პოეტი იგი გვერდს ვერ უვლის ფეოდალურ საზოგადოებაში ეკლესიის გაბატონებულ მდგომარეობას და რელიგიის მსახურთ ძალიან უფერულად წარმოგიდგენს. ნესტანის დანახვისთანავე ტარიელი გრძნობადაკარგული დაეცემა მეფის სასახლეში, რაც შემოფთობას იწვევს სასახლის მსახურთა და პირველ რიგში,

მეფე-დედოფლის მხრივ. გრძნობადაკარგულ და მისუსტებულ ტარიელს შემოეხებებიან სასახლის ეჭიმები

„თავსა ზის პირ-მზე ავთანდილ, მჭვრეტთავან მოსანდომია, სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია“ (571, 2).

შოთა რუსთაველი ასეთი ეპითეტებით არ ამკობს როსტევეანის ვეზირს და კმაყოფილდება მხოლოდ იმის

და აგრეთვე რელიგიის მსახურნი — „მუყრნი“ და „მულიმნი“, რომლებიც როგორც „ვეფხისტყაოსნიდან“ სჩანს სასახლეში შეფეს ემსახურებიან. რელიგიის მსახურთა მიმართ შ. რუსთაველის აგდებულ დამოკიდებულებას საკმაოდ დამაჯერებლად გადმოგვცემს ტარიელი, რომელიც ამბობს:

„სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარე შემომცვიდიანი;
მათ ხელთა ჰქონდათ მუსაფი, ყოფენი იკითხვიდიანი
მტერ-დაცემული ვეონე, არ ვიცი, რას ჩმახვიდიანი.
სამ დღემდის ვიყავ უსულოდ, ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიანი“. (351).

შ. რუსთაველი ფეოდალური საზოგადოების იერარქიიდან ცალკე გამოყოფს ვაჭართა კლასს და გულანშაროს სახელმწიფოში არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების დაწვრილებით აღწერისას დიდი ინტერესით გვაცნობს ამ კლასის თავისუფალი ყოფაცხოვრების სურათებს. მიუხედავად ამისა, შ. რუსთაველს ფეოდალური საზოგადოების არისტოკრატიულ ნაწილთან შედარებით ვაჭართა კლასი ნაკლები ღირსებების მქონედ მიაჩნია. ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიის — შ. რუსთაველისათვის, უცხო და მიუღებელია ვაჭართა სახელმწიფოში გაბატონებული თავისუფალი ყოფაცხოვრების წესები. მას ვაჭართა სახელმწიფოში გაბატონებული ზნეობრივი ნორმები არ მიაჩნია მისაბაძად და ვაჭართა კლასის წარმომადგენლებს დაბალი პირადი ღირსებების მქონედ წარმოგვიდგენს, ამიტომაც მეკობრეებთან შეხვედრის დროს ავთანდილი ვაჭრებს ეუბნება:

„თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი,
შორს ისრითა არ დავხოცნენ, ჩაიხშენით თანა კარნი;
მარტო მნახეთ, ვით შეგება, ვით ვიხმარნე ლომნი მხარნი!
მეკობრისა ნავისანი სისხლნი ჰნახნეთ მონაღვარნი“. (1040).

შ. რუსთაველის აზრით ვაჭართა კლასის წარმომადგენლები მათი ეკონომიური და საზოგადოებრივი მდგომარეობის განუზრჩევლად ნაკლები ღირსებისა არიან ისინი მხოლოდ ყიდვა-გაყიდვავზე და მოგებაზე ფიქრობენ. საზოგადოების მაღალი იდეალები მათთვის უცხოა. ამ მხრივ გამონაკლისს არ შეადგენს ვაჭართა გაერთიანების უფროსი უსენი. ფატმანი, რომელიც ზნეობრივი თვალსაზრისით დიდად არ განსხვავდება თავისი ქმრისაგან, ავთანდილს უამბობს, რომ ნესტანის ამბავს დიდხანს იგი საიღუმლოდ ინახავდა. ფატმანი აღნიშნავს, რომ ნესტანის ამბავი

„ვერ გავანდევ ქმარსა ჩემსა, შესმენისა მქონდა რიდი;
ვთქვი: „თუ ვუთხრა, ვიცი დარბაზს გამამკლავნებს, ისი ფლიდი;“ (1150 2, 3).

ფატმანის შიში არ იყო უსაფუძვლო. გულანშაროს მეფის სასახლეში ლხინის დროს ხელმწიფემ მთლიანად ათქმევინა ნესტანის საიდუმლო „...უტკუოა უსენს, მოვრალსა“, რითაც ამ უკანასკნელმა „გატემა ფიცი, სიმტკიცე სჯულისა“. შოთა რუსთაველი ვერ ფარავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ვაჭრებისადმი და უსენის მოქმედებით უკმაყოფილო ვაჭრების მისამართით აღნიშნავს, რომ „...არა ჰმართებს ყვაგვა ვარდი, ვირსა რქანი“.

ამრიგად, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ერთმანეთთან მკვეთრად დაპირისპირებულია ფეოდალური საზოგადოების ორი ჯგუფი, ვასალ-სენიორალური ურთიერთობის სუბიექტები — ერთი მხრივ, სამეფო გვარეულობა და უმსხვილესი რაგვის ფეოდალები და მეორე მხრივ, ფეოდალური საზოგადოების დანარჩენი მასა.

შ. რუსთაველის აზრით იდეალურ ფეოდალურ საზოგადოებაში სამეფო გვარეულობის წარმომადგენლებსა და უმსხვილეს ფეოდალებს შორის სავსებით დასაშვებია მამაკაცთა და ქალთა უფლებრივი თანასწორობა, რადგანაც სამეფო გვარეულობა და მასთან ერთად, უმსხვილესი ფეოდალები დაუფლებულნი არიან სიბრძნეს, აქვთ მაღალი განათლება და ფეოდალური საზოგადოების დანარჩენი მასისაგან განსხვავდება ინტელექტუალური და ზნეობრივი განვითარების დონით. გარდა ამისა შ. რუსთაველს კარგად ესმის, რომ სამეფო გვარეულობის წარმომადგენელთა და უმსხვილეს ფეოდალთა წარმომადგენლებს შორის, კერძოდ ამ წოდების მამაკაცთა და ქალთა შორის უფლებრივი თანასწორობის აღიარება სრულებით არ უქმნის საფრთხეს ფეოდალური საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების საფუძველებს. სწორედ ამიტომ შ. რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანში“ აკეთებს დასკვნას, იმის შესახებ, რომ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ (394). რადგანაც შ. რუსთაველი მხოლოდ სამეფო გვარეულობის წევრებსა და უმსხვილეს ფეოდალებს უწოდებს „მესს“, „მოვარეს“, „ლომს“ და ა. შ. ცხადია, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში მხოლოდ და მხოლოდ „ლომის ლეკვები“ (ე. ი. სამეფო ფეოდალობის წარმომადგენლები და უმსხვილესი ფეოდალები) არიან თანასწორნი განურჩევლად იმისა, თუ რომელი სქესის წარმომადგენლებია ისინი („ძუ იყოს, თუნდა ხვადია“).

შ. რუსთაველის ზემოთ აღნიშნული აფორიზმის შინაარსის მეტაფორიკული ფართო გაგების წინააღმდეგ პირველმა მიუიოთა აკად. ნ. მარმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამ აფორიზმით „...очень злоупотребили, чтобы выжить из него“.

доказательства того, что Шота был сторонником женского равноправия“, მაგრამ სამწუხაროდ აკად. ნ. მარს თავის მოსაზრებათა დასასაბუთებლად არგუმენტები არ წამოუყენებია და დწერილებით არც განუხილია რუსთაველის ამ აფორიზმში მოცემული დებულება. იგი მხოლოდ იმის მითითებით დაკმაყოფილდა, რომ „На самом деле здесь речь идет о равенстве в тесном кругу царской семьи, как в семье царя зверей“¹. აკად. ნ. მარს მიერ წამოყენებული ზემოაღნიშნული მოსაზრება ვერ გვაძლევს ამომწურავ წარმოდგენას შ. რუსთაველის მიერ ამ აფორიზმში გადმოცემული პოლიტიკური დებულების შინაარსზე. საქმე ისაა, რომ როგორც აკად. ნ. მარს ზემოთ აღნიშნული მოსაზრებიდან სჩანს, მას მეტისმეტად შეზღუდული აქვს წარმოდგენილი იმ პირთა წრე, რომელთა შორისაც შ. რუსთაველს დასაშვებად მიაჩნია მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობა. აკად. ნ. მარს აზრით ისე გამოდის, რომ მეფის გვარეულობის წევრთა შორის თანასწორობა ისევე დასაშვებია, როგორც მხეცთა მეფის — ლომის ოჯახის წევრებს — ლომის ლეკვებს შორის. მაგრამ როგორც აკად. ა. ბარამიძე თავის დროზე გონებაშეხვილურად შენიშნა, ათვანდილი არ არის სამეფო გვარეულობის წევრი, მაგრამ იგი სამეფო გვარეულობის სხვა წევრებთან თანასწორუფლებიანია.²

მართლაც, „ვეფხისტყაოსანში“ ყველგან სამეფო გვარეულობის წევრები მოიხსენიება კეთილშობილური და გმირული თვისებების გამომხატველ ეპითეტებით „მთვარე“, „მზე“, „ლომი“ და ა. შ., მაგრამ საყურადღებოა, რომ ათვანდილი, რომელიც არის არა სამეფო გვარეულობის წევრი, არამედ უმსხვილესი ფეოდალ — მეომარი, ისევე შინაარსის ეპითეტით მოიხსენიება, როგორც სამეფო გვარეულობის წევრები. მეფე როსტეკანის ასული თინათინი, რომელიც უბრძანებს ავთანდილს „წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად“, რწმენას გამოსთქვამს, რომ ამ დავალების შესრულება კიდევ უფრო განამტკიცებს მათ შორის სიყვარულსა და კვირდება ავთანდილს, რომ „მერმე მოდი, ლომო, მესა შეგეყრები, შემეყარე“.

როგორც ჩანს, შ. რუსთაველს მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობა შესაძლებლად მიაჩნია საზოგადოების შედარებით უფრო ფართო წრისათვის, ვიდრე ამას აკად. ნ. მარი ფიქრობს, ჭერძოდ სამეფო გვარეულობის წევრებსა და მეფის სასახლესთან დაკავშირებული უმსხვილესი რანგის ფეოდალებს — მეომრებს შორის. ეს უკანასკნელნი კი როგორც

ი. ჯავახიშვილმა ცხადყო, ფეოდალურ საქართველოში რეველარული არმიის არ არსებობის დროს სამეფო გვარეულობის შემდეგ უმაღლესი სოციალური ფენა იყო.³

„ვეფხისტყაოსანის“ ამ ადგილის ჩვენს მიერ ზემოაღნიშნულ გაგებას რუსთაველოლოგიისათვის დღემდე სრულიად უცნობ გარემოებაზე დამყარებული არგუმენტაციაც გააჩნია. საქმე ის არის, რომ ძველი საბერძნეთის ცნობილი ფილოსოფოსი პლატონი, რომელსაც შ. რუსთაველი დიდი პატივისცემით მოიხსენიებს „ვეფხისტყაოსანში“, ჯერ კიდევ V საუკუნეში ჩ. ე. თავის შრომაში „სახელმწიფო“, გვაძლევს იდეალური სახელმწიფოს პროექტს, რომელიც რეალურად არსებულისაგან დიდად განსხვავდება. ამ იდეალურ სახელმწიფოში პლატონის აზრით სამი წოდება უნდა არსებობდეს: ფილოსოფოსები, მეომრები და აგრეთვე ხელოსნები და მიწათმოქმედნი. პირველი ორი წოდება, — ფილოსოფოსები და მეომრები პლატონის აზრით საზოგადოების შედარებით მცირერიცხოვანი პრივილეგიური ნაწილია, რომელიც სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საკითხებით არის დაკავებული⁴. მრავალრიცხოვანი მესამე წოდება, — ხელოსნები და მიწათმოქმედნი, მართალია პლატონის აზრით იდეალური სახელმწიფოს თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვს ეკუთვნის, მაგრამ ფაქტიურად მათი მდგომარეობა მონის მდგომარეობისაგან არ განსხვავდება. პლატონი გადაჭრით მითითებს, რომ იდეალურ სახელმწიფოში საზოგადოების მხოლოდ ამ პრივილეგიური ნაწილის მამაკაცებსა და ქალებს უნდა გააჩნდეს თანასწორი უფლებები.

თავის შრომაში „სახელმწიფო“ პლატონი შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ ჩვენთვის საკმაოდ ნაცნობი სიტყვებით აყალიბებს სამეფო გვარეულობის წევრთა და მეომრთა წოდების მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის იდეას. „Так, если род мужчин и род женщин, продалжал я Платон I, является разными относительно некоторого искусства или иного дела, то эти дела скажем, следует раздавать тому и другому: а поколику различие их обнаруживается тем, что самка рождает, а самец же паруется, то здесь, скажем, вовсе нет доказательства, что женщина отличается от мужчины в отношении к тому, о чем мы говорим; напротив, еще внушатся мысль,

¹ Н. Я. Марр, Грузинская поэма „Витязь в барсовой шкуре“ Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема, ИАН, 1917 г., стр. 421.

² ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართულ ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1945 წ., გვ. 162.

³ იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. 1, 1928, გვ. 60—63.

⁴ В. В. Святловский, История социализма, Петроград, 1924 г., стр. 26.

что стражи у нас и жены их должны де-
 лать одно и тоже“¹

პლატონის მტკიცება იმის შესახებ, რომ ფილო-
 სოფოსა და მეომართა წოდებებს შიგნით მამაკაცე-
 ბი და ქალები თანასწორუფლებიანი არიან და მათ
 შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ

„Самка рождает, а самец же паруется“,
 შ. რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“ ჩამოყალიბა
 ფილოსოფიურ-პოლიტიკური თვალსაზრისით ღრმად
 გააზრებულ აფორიზმი: „Льва щенки равны
 друг другу, будь то самка или самец“

პლატონის მიერ ჩამოყალიბებული საზოგადოების
 პრივილეგიური ნაწილის მამაკაცთა და ქალთა თა-
 ნასწორუფლებიანობის იდეა, რომელიც დაბეჯითე-
 ბით დაიცვა პლატონმა მის მიერ მოგვიანებით და-
 წერილ შრომაში „კანონები“, რეალურ სინამდვილე-
 სიგან მოწყვეტილ „იდეათა სამყაროს“ სფეროში დარ-
 ჩა და იგი ანტიკურ ქვეყნებში არასდროს განხორ-
 ცილებულა, შუა საუკუნეებმა კი მთლიანად უარყო
 და დაივიწყა ეს პროგრესული მოსაზრება. ამ მოთხ-
 ივნიის განხორციელება საზოგადოებრივ ურთიერთობებ-
 ში პლატონს შეუძლებლად მიაჩნია. პლატონის თხზუ-
 ლებაში „სახელმწიფო“ გლავკონი ეკითხება ამ ნა-
 წარმოების ავტორს: Возможно ли такое госу-
 дарство, и каким образом оно возможно?

პლატონი პასუხობს: „Хотя это и невозможно,
 однакоже общество было бы прекрасно“. პლატონის აზრით შეუძლებელია იდეალური სახელ-
 მწიფოს პრინციპების განხორციელება საზოგადოება-
 ში „Пока в городах,.. не будут или фи-
 лософы царствовать, или нынешние цари
 и властители искренно и удовлетворительно
 философствовать, пока государственная
 сила и философия не совпадут в одно, и
 многие природы, направляющиеся ныне
 отдельно к той и другой, будут взаимно
 исключаться; Дотеле ни города, ни даже,
 думаю человеческого род не жди конца
 злу,.. и описанное в наших рассуждениях
 государство прежде этого не родится, как
 могло бы, и не у одит солнечного света“²

შ. რუსთაველის დამახსურება ის არის, რომ მან
 აღადგინა მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლები-
 ანობის იდეა, ახალი სული შთაბერა მას და იდეალურ-
 რიდან რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებში
 წარმოგვიდგინა თავისი უკვდავი ქმნილებით. საქართველოში

ველოში თამარ მეფის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის
 წარმატებით აღფრთოვანებული შ. რუსთაველი,
 პლატონისაგან განსხვავებით, ღრმად არის დარწმუნ-
 ებული, რომ ფეოდალური საზოგადოების პრივილე-
 გიური ზედაფენის შიგნით მამაკაცთა და ქალთა თა-
 ნასწორუფლებიანობის განხორციელებას დიდი სარ-
 გებლობის მოტანა შეუძლია.

შ. რუსთაველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შე-
 ხედულებების ამ მნიშვნელოვანი ნაწილის პლატონის
 „სახელმწიფოსთან“ დაკავშირების შემდეგ აღარ შე-
 იძლება გაზიარებული იქნას აკად. ნ. მარის მოსაზრე-
 ბა, ჯერ ერთი მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის
 ფარგლების სამეფო გვარეულობის ვიწრო წრით შეზ-
 ლუდვის შესახებ და მეორეც, მის მიერ მოგვიანებით
 წამოყენებული ჰიპოთეზაც, რომლის მიხედვითაც
 აფორიზმი „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნ-
 დაც ხვადია“, თავისი წარმოშობით თითქმის დაკავ-
 შირებულია შ. რუსთაველის უახლესი წინამორბედის
 ნაზიმის შემოქმედებასთან და აგრეთვე ქურთულ ხალ-
 ხურ თქმულებასთან³.

ჩვენის აზრით, უფრო სწორი იქნება ვიფიქროთ,
 რომ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ჩამოყალი-
 ბებულმა მოსაზრებამ ქურთულ ხალხურ თქმულება-
 ში და ნიზამის შემოქმედებაში შემოადგინა ანტი-
 კური სამყაროდან პლატონის შრომების ზეგავლენ-
 ით. შოთა რუსთაველს კი ქურთული ხალხური
 თქმულებიდან და ნიზამის შემოქმედებიდან ამ მო-
 საზრების დასესხება არ სჭირდებოდა, რადგანაც
 როგორც თვით „ვეფხისტყაოსანში“ არის აღნიშნუ-
 ლი შ. რუსთაველი შესანიშნავად იცნობს
 მთელს ანტიკურ სამყაროს და განსაკუთ-
 რებით მისი უდიდესი წარმომადგენლის —
 პლატონის მოძღვრებას. შოთა რუსთაველისა-
 თვის ნიზამისა და ქურთული ხალხური თქმულების
 გარეშეც ცნობილია მამაკაცთა და ქალთა თანასწორ-
 უფლებიანობის იდეის პირველი წყარო და ამიტო-
 მაც გასაკვირი არ არის, რომ შ. რუსთაველი თავის
 პოემაში მოიხსენიებს სხვებთან ერთად ძველი საბერ-
 ძნეთის ცნობილ ფილოსოფოსს პლატონს და „ვე-
 ფხისტყაოსანში“ სრულებით არ არის მოხსენებული
 არც ნიზამი და არც ქურთული ხალხური თქმულება.
 ეს გარემოება ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმას, რომ
 აღმოსავლეთის რენესანსის იდეები უშუალოდ ანტი-
 კურ სამყაროსთან არის დაკავშირებული. აკად. ნ.
 მარის მოსაზრებას თუ გავიზიარებთ გამოდის, რომ
 აფორიზმი „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნ-
 დაც ხვადია“, „ვეფხისტყაოსანის“ უბრალო სამკაულია.
 აკად. ნ. მარი გატაცებული შ. რუსთაველის პოემის

¹ Сочинения Платона, часть III, Политика или государство, Санктпетербург, 1863, стр. 257.

² იქვე, გვ. 281, 283, 284.

³ Н. Я. Марр, Об итогах творчества Руставали и его поэме, Тбилиси, 1964 г., стр. 101.

ფილოლოგიურ-ტიქსტოლოგიური კვლევით, უყურადღებოდ სტოვებს შ. რუსთაველის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა სისტემას და ამ სისტემის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დებულებას, სამეფო გვარეულობის წვერთა და უმსხვილეს ფეოდალთა — მეომართა შორის მამაკაცთა და ქალთა უფლებრივ თანასწორობას. სინამდვილეში, „ფეფხის-ტყაოსანში“ აფთრისში „ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა სვადია“ უბრალო მხატვრულ შედარებას კი არ წარმოადგენს არამედ მასში გადმოცემული იდეა შ. რუსთაველის პოლიტიკურ მოძღვრებათა მთლიანი და თანმიმდევრული სისტემის ერთ-ერთი მთავარი შემაჯავშირებელი რგოლია.

ანტიკურ პერიოდში პლატონის მიერ ჩამოყალიბებული მამაკაცთა და ქალთა თანასწორობების იდეის აღდგენასა და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში. შოთა რუსთაველი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც შუა საუკუნეების პერიოდში, როდესაც დავიწყებებს მიეცა „... ძველი ცივილიზაცია, ძველი ფილოსოფია, პოლიტიკა და იურისპრუდენცია... და გონებრივი განათლების მონოპოლია ხუცებმა ჩაიგდეს ხელთ“¹, პოლიტიკური აზრის ისტორიაში გაბედულად დააყენა ანტიკურობიდან დაწყებული საუკუნეების განმავლობაში მივიწყებული საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხი მამაკაცთა და ქალთა თანასწორობების შესაძლებლობის შესახებ საერთოდ.

და, თუმცა მან ფეოდალური შეზღუდულობის გამო (ისევე როგორც პლატონმა ანტიკური პერიოდის

შეზღუდულობის გამო) ვერ შესძლო ამ პროგრესული იდეის გავრცელება მთელ საზოგადოებაზე, მაგრამ სამავიეროდ შუა საუკუნეების პერიოდში შ. რუსთაველის მიერ ხელახლა წამოყენებულმა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობების იდეამ დასაბამი მისცა ქალის მამაკაცთან უფლებრივი ურთიერთდამოკიდებულების საკითხისადმი სრულიად ახალ მიდგომას. ამ იდეამ თავისი შემდგომი განვითარება ჰპოვა ახალი, რუსთაველის შემდგომი ეპოქის ინტორესების შესაბამისად ჯერ ბუნებით სამართლის სკოლის წარმომადგენლების (პოზსი, გროციუსი და სხვ.), ხოლო უფრო მოგვიანებით მე-18 საუკუნის სახელოვან ფრანგ განმანათლებლების (ვოლტერი, რუსო, დიდრო, მონტესკიე და სხვ.) შრომებში, რომლებმაც შეამზადეს ნიადაგი ფეოდალური თვითნებობის, სოციალური უთანასწორობისა და უფლებობის ლიკვიდაციისათვის.

ის, რაც კულტურისა და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში გააკეთა შ. რუსთაველმა უფლებას აძლევს მას კანონიერი სიამაყის გრძნობით ზემოდან დაბეჭდვებულ თავის თანამედროვეებს. რაც შეეხება ახალი ეპოქის შესაფერისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეების შემუშავებას, და კერძოდ, ქალთა ემანსიპაციის იდეას, რომელიც უფრო გვიანდელ ეპოქასთან არის დაკავშირებული, ამაზე რა თქმა უნდა, ისევე როგორც პლატონს, არც შ. რუსთაველს შეეძლო ეფიქრა, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეების შინაარსს მხოლოდ იმ ეპოქის ეკონომიური წყობილება განსაზღვრავს, რომელშიც ეს იდეები იქმნებოდა.

საქართველოში მოღვაწე პირველი ადვოკატი ქალბი

არის გრძნობა, ადამიანს აკვნიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე განუყრელად რომ თან დაჰყვება — ყველაზე ტკბილი, განუზომლად დიდი, საამაყო და ამადლებული — დედის სიყვარული. პირველი სიტყვა, რომელიც თითოეულმა ჩვენთაგანმა წარმოთქვა დედა იყო, წმინდა ფიცადაც ისა გვყავს და ტკივილის ღროსაც მუდამ ვახსენებთ, ვიგონებთ, ვუხმობთ...

მთელი ხალხის სიყვარულით სარგებლობს საბჭოთა ქვეყანაში ქალი — დედა, ინჟინერი და ტექნიკოსი, ექიმი და მასწავლებელი, იურისტი და ხელოვნების მოღვაწე. კაცობრიობის ისტორიაში პირველად საბჭოების ქვეყანამ მიანიჭა ქალს მამაკაცის თანასწორი უფლებები, გადაუშალა ფართო შესაძლებლობანი ნიჭისა და უნარის გამოვლინებისათვის.

ქალებმაც არ დაიშურეს თავიანთი ცოდნა და ენერგია. გაიზარდა მათი მოღვაწეობის სარბიელი. ისინი მაგალითის მიმცემნი ვახდენენ. ქალებმა თავიანთი კვალი დააჩნიეს იურისპრუდენციასაც. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ადვოკატი ქალი საქართველოში თითოე ჩამოსათვლელი იყო. ახლა, ამ ერთეულების ნაკვალევზე მიაბიჯებს ასობით ადვოკატი ქალი.

ამ წერილში მკითხველი გაცნობა საქართველოში მოღვაწე პირველი ადვოკატი ქალების საქმიანობას.

* * *

სანდომიანი ქალია, შენის ჭადარა თმა და კეთილი ღიმილი. უყურებ, უსმენ და უნებურად გასურს მის სახეზე, ხასიათში დაიჭირო რაიმე განსაკუთრებული — ასეთი ქალები ხომ ყოველ ნაბიჯზე არ გვხვდებიან. ის ხომ რამოდენიმე ათეული წელია დგას მართლმსაჯულების სადარაჯოზე, ის ხომ ერთ-ერთი პირველი ადვოკატი ქალია საქართველოში.

იგი ჩვეული სიღინჯით იგონებს წარსულს, დაძაბული შრომით გაკაფულ გზას, საუბრობს თავის ახლანდელ საქმიანობაზე. მოგონება ბევრია, ბევრზე ბევრი. ან კი რა დაღვეს მათ, როცა გულმართალი, ალალი ადამიანი ხარ და ცდილობ შენი შეგნებული სიცოცხლე შენი ქვეყნის, შენი ერის კეთილდღეობას მოახმარო, ღირსეულად მოიხადო ვალი მშობელი მიწისა და ხალხის წინაშე. ეს კი შესანიშნავად შესძლო ანა დავითის ასულმა კორძაიამ.

.... დაიბადა სოფ. ზვარეში, მემამულის ოჯახში, ბავშვობა დაბა სურამში გაატარა. სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ანა კორძაია სწავლას აგრძელებს ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე, რომელსაც ამთავრებს 1929 წელს. 1930 წლის 25 ოქტომბერს მას საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრად იღებენ. არასოდეს და-



ავიწყდება ის დღე, როდესაც პირველად მოუხდა გამოსვლა პროცესზე ბრალდებულის დასაცავად. ეს ხომ პირველი ნაბიჯი იყო თავისი პროფესიის საინტერესო გზაზე.

უნივერსიტეტში სწავლას სასარგებლო საქმესაც უთავსებდა. 1923 წელს იგი ემსახურებოდა თბილისის მე-8 შრომის სკოლაში ბავშვთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. შემდეგ კი საქართველოს სსრ პროფკავშირებში იურისკონსულტის თანამდებობაზე ვხვდავთ. 1934 წლიდან თბილისის პირველი მაისის იურიდიულ კონსულტაციაში მუშაობს ადვოკატად, 1938 წლიდან დღემდე კი ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატია.

ნაყოფიერი მუშაობის ორბიტიში ჩართული ახალგაზრდა ადვოკატის გული გაზაფხულის ნიაღვარივით მოვარდნილმა სიყვარულმა აამღელვარა. იგი გათხოვდა. ერთი წლის თავზე ახლად შეუდლებულებს ოჯახის პირველი სიხარული, ქალიშვილი შეეძინათ. ახალგაზრდა ადვოკატი კარგი აღმზრდელი დედაც გახდა. ერთი შეხედვით მისი ბიოგრაფია ისეთივეა, როგორც ათასობით საბჭოთა ქალისა, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით იგი პირველი ქალია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ადვოკატურის განმტკიცების საქმეში.

მას შემდეგ განვლო მრავალმა წელიწადმა. ბევრი ძველი შთაბეჭდილება ახლმა ამბებმა შეცვალა, მაგრამ ძველი მაინც დარჩა, დარჩა ყველაზე მთავარი, მნიშვნელოვანი — მეგობრობა. მეგობარი ბევრი ჰყავს მას, მის სახელზე ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში მოდის წერილები, რომლებშიც სწორედ პრეზიდიუმის მთელ შემადგენლობას მის გულკეთილობაზე, ნამდვილ ადამიანურ თვისებებზე, ქალზე რომელიც ხშირად უსასყიდლოდ და უანგაროდ ემსახურება თავის კეთილშობილურ საქმეს, კეთილი მიზნების განხორციელებას...

იგი მთხოვნელებს ყოველთვის საქმიან დახმარებას უწევს. ვინ მოთვლის, თუ რამდენს გაუნათა მან გზა, ვინ მოთვლის რამდენი კეთილი საქმის ინიციატორია.

მთელ მის სიმპათიურ არსებაში ნათლად შეიმჩნევა ახალგაზრდული ენერჯია, საქმისადმი შეუნებელი სიყვარული და ის უბრალოება, რაც მხოლოდ დიდი ბუნების ადამიანებს ახასიათებთ. ანა კორძაიას ეუხერხულება საკუთარ თავზე ლაპარაკი, გატაცებით ყვება თავის კოლეგებზე, მათ მიღწევებსა და საქმიანობაზე.

გადიან წლები. თმაშევერცხლილ ანას სახეს დრომ თავისი დაღი დაასვა, მაგრამ მისი ნიჭი გაზარდა, აამაღლა, გააძლიერა.

წარსულს და მომავალს თავისი რომანტიკა ჰბურავს და ანა კორძაიას თითოეული დაცვითი სიტყვაც ამ რომანტიკის მესაიდუმლეა. მაგრამ, რა იქნებოდა, რომ მომავალსაც არ ჰქონდეს თავისი მგზნებარება, რომ ის სწორედ ამ მგზნებარებით არ პაექრობდეს წარსულთან და ამ ჭიდილში არ ქმნიდეს ახალ მომავალს. მისი ყოველი დაცვითი სიტყვა გაჯადოვებთ ქართული ენის კარგი ცოდნით, მოქმედი კანონმდებლობის მოქნილად გამოყენებით, ცხოვრების ღრმა და სწორი გაგებით.

ანა კორძაიას ეს ღირსება შედეგია სისტემატური და დაკვირვებული შრომისა, უსაზღვრო სიყვარულისა თავისი საქმისადმი.

ჭემმარიტად საოცარია მისი სისხლხორცში გამჯდარი შეუპოვარი შრომისუნარიანობა.

გუშინდელ დღესავით ახსოვს თამარ იაკობის ასულ ლაზარევას, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდად, ცხოვრებაში გამოუცდელმა ადვოკატურის „ჭიშკარი“ რომ შეაღო და საპატიო საქმეს მოჰკიდა ხელი, შრომის ფერხულში ჩაება. მას შემდეგ 45 წელზე მეტმა განვლო.

დღეს კი თ. ლაზარევა თავისი საქმის კარგი მცოდნე, კარგი იურისტი.

ჭადარა თმა და შუბლზე ღარები მეტყველებს, რომ ცხოვრების ბილიკზე იოლად არ უვლია, წლები უზრუნველად არ გაუღევია. 77 წელიწადი. რამდენი რამის მთქმელია ეს წლები. მაგრამ წელთა სიმრავლეს როდი დაუღლია კეთილი ადამიანი. კეთილი საქმისათვის სამსახური მისთვის აუცილებელ მოთხოვნილებად ქცეულა.

ადვოკატ ქალს თუმცა ბევრი საზრუნავი აქვს, მაგრამ დროდადრო მაინც გაიტაცებს წარსულზე ფიქრი, გაახსენდება 1917 წლის რევოლუციის ქარ-ცეცხლი, ტყვია-წამლის ბოლი და სუნი.

საგულისხმო და საყურადღებო ბევრია მის ცხოვრებაში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მრავალ სხვადასხვა ხასიათის, სხვადასხვა პროფესიის ხალხთან მოუხდა შეხვედრა, დაპირისპირება.

ყველაფერ ამას უნარიანად გაძლოა სჭირდება და თ. ლაზარევაც სიყვარულით, ჩვეული ქედუხრელობით ეჭიდება საქმეს.

იურიდიული განათლება 1912 წელს მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტში. 23 წლის გოგონა პირველი ხარისხის დიპლომით ხელში თეორიული ცოდნის გასადრმავებლად ჩამოდის საქართველოში. ცხოვრების პირველი საფეხურები რევოლუციის ბობოქარ დღეებში გაიარა. 1917 წლიდან 1926 წლამდე თამარ იაკობის ასული ლაზარევა ერთადერთი ქალი იყო საქართველოში, რომელიც ასრულებდა ადვოკატის საპატიო მოვალეობას. იგი მხარში ედგა სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. მას სწამდა, რომ სახელმწიფო ბრალმდებელთან ერთად ადვოკატის დაცვით სიტყვას სასამართლო სამსჯავრო პროცესში უდიდესი იდეურ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. იგი ყოველთვის ეძებდა და ეძებს გზებსა და საშუალებებს, რათა კანონიერი დახმარება გაუწიოს სწორი გზიდან შემთხვევით აცდენილ ადამიანებს.

1921 წელს თ. ლაზარევა საქარელოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრად მიიღეს. ადვოკატურაში მუშაობას უთანხმებდა თბილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას 1917 წლიდან 1921 წლამდე, 1925 წლიდან კი მას ვხედავთ სხვადასხვა დაწესებულებებში იურისკონსულტის თანამდებობაზე. 1949 წლიდან დღემდე კიროვის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატია.

ყველასთან თავმდაბალი, გულისხმიერი, თბილი, მოჭირნახულე ადვილად ხვდება ყველას გულისტკივილს. სიმართლის სამსახურმა მოუხვეჭა მას სახელი. ხალხის სასარგებლო, უანგარო შრომაში ჩამოყალიბდა მისი, როგორც ადვოკატი ქალის ადამიანური ღირსებები.

ადვოკატთა მრავალრიცხოვან კოლექტივში დიდად აფასებენ მუყაითსა და გამრჯე






ადამიანს. ეს ხანშიშესული ქალიც კიროვის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ერთიანი, განუყოფელი კოლექტივის ღირსეული წევრია. მისი დღეებიც ლამაზად და საინტერესოდ მიდის, მიუხედავად ხანდაზმულობისა.

ადეოკატმა ქალმა საუკუნის მეოთხედის განმავლობაში დიდი შემოქმედებითი გზა გაიარა. ვუსურვით მომავალშიც ასევე მონდომებით და შთაგონებით განაგრძოს ხალხის სამსახური, ხალხისა, რომელშიაც იგი კომუნიზმის მომავალი მშენებლობის ადამიანურ ხასიათს ზრდის, კეთილშობილურ გრძნობებსა და სურვილებს უდევძებს.

თ. ლაზარევა ზემდგომი ორგანოების ზრუნვითაა გარემოცული. 1946 წელს დაჯილდოებულია მედლით „1941-45 წ. დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“, ხოლო 1961 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით მიღებული აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სიგელი.

* * *



საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანთა გვერდით არიან ერთი შეხედვით პატარა და უპრეტენზიო ადამიანებიც, რომლებიც თავიანთი მიღწევებით უეცრივ არავის აოცებენ, მაგრამ იმდენად შინაარსიანი და მიმზიდველი ცხოვრებით ცხოვრობენ, რომ არ შეიძლება სიყვარულითა და პატივისცემის გრძნობით არ განიმსჭვალოთ მათ მიმართ. ქსენია ხარიტონის ასული ჯიმშელეიშვილი სწორედ ამგვარ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება.

ტკბილია ბავშვობის მოგონება. უზრუნველი, უმანკო წლების გახსენება, გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობით რომ აკვირდებოდი, ხარბად რომ ეტანებოდი ყოველივე ახალს, შენთვის მანამდე უცნობს...

ამ დროს იბადება ცოდნის წყურვილი, შემდეგ თანდათან რომ ძლიერდება.

ბევრი რამ იფარება დავიწყების ფერფლით, მაგრამ ის დღე დაუვიწყარია, პირველად რომ იგრძენი დამოუკიდებლობა ცხოვრებაში, პირველად რომ მიხვედი დაწესებულებაში საბასუსისმგებლო საქმის შესასრულებლად. უფრო მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო წარსდგე ხალხით სავსე აუდიტორიის წინაშე, სადაც ხარბად შემოგყურებს მრავალი თვალი ადამიანებისა.

რამდენი სიტბო, თავშეკავება, საქმისადმი ინტერესი იგრძნობა, როდესაც ქსენია ჯიმშელეიშვილი 1928 წელს პირველად იღებდა მონაწილეობას პროცესში ამჟამად პირველი მაისის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოში. „ისე ვღელავდი, რომ წინასწარ დასახული დაცვის გეგმა სრულიად ვერ გამოვიყენე და დაცვის ახალი პოზიცია ავირჩიე, თურმე იმდენად დამაჯერებელი, რომ სასამართლოს თავმჯდომარემ (ნ. არჩვაძე) განსაკუთრებით შემაქო“ — იგონებს იგი.

ორმოც წელზე მეტია მართლმსაჯულების საქმეს ემსახურება ქსენია ხარიტონის ასული ჯიმშელეიშვილი. ამ ხნის მანძილზე ბევრი, ძალიან ბევრი წაბორძიკებული ახალგაზრდა დაუყენებია ფეხზე, ბევრი სქელტანიანი „საქმეები“ შეუსწავლია, დაკვირვებით გადაუფურცლავს თითოეული ფურცელი, ანალიზი გაუკეთებია თითოეული მომენ-

ტისათვის და აზრთა ჭიდილის შემდეგ სწორი არგუმენტები წამოუყენებია ჭეშმარიტების დასადგენად.

მძიმე და პასუხსაგებია ადვოკატის მუშაობა. იგი მოითხოვს მთელი ენერჯის დაძაბვასა და თავდადებას, დაკვირვებას, დიდ მოთმინებას და პრინციპულობას, რათა თვითეული ადვოკატი დაეხმაროს სასამართლოს და დაცვის ქვეშ მყოფ პირს სიმართლის დადგენაში. თავისი ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე ქსენია ჯიმშელეიშვილს არ უღალატია ამ პრინციპებისათვის; იგი მინდობილი საქმისადმი ყოველთვის იყო თავდადებული, უანგარო; მისთვის არ ყოფილა იოლი და ძნელი საქმე. ყველა საქმე სერიოზულად და ძნელად მიაჩნდა, რამდენი უძილო დამეგები გაუტყვებია საქმეზე ფიქრით, თუ დაცვის როგორი ხერხი აჯობებდა აერჩია, რათა თავისი რწმენა ბრალდებულის უდანაშაულობაზე ნათელი გაეხადა გამოძიებისა და სასამართლოსათვის. იგი განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდებოდა თავისი მოვალეობის შესრულებას წინასწარი გამოძიების დროსაც. ქ. ჯიმშელეიშვილს მრავალი ახალბედა ადვოკატისათვის გაუწევია ხელმძღვანელობა მათ მიერ სტაჟირების გავლის დროს.

ქ. ჯიმშელეიშვილი ხშირად ივონებს 1962 წელს, როდესაც იგი მონაწილეობდა ბ. ა-ბიას და სხვების ბრალდების საქმეში, რომელსაც ბრალს სდებდნენ სოფ. ურთის მცხოვრებ ზ. ქ.-ს საზარელ მკვლელობასა და დაწვაში.

1960 წლის 19 აგვისტოს, შუალამისას, ზუგდიდის რაიონის სოფ. ურთის მცხოვრებლები საშინელმა კივილმა გამოადვიდა. იწოდა მარტოხელა მოხუცი ქალის ზ. ქ.-ს სახლი. ოთახიდან გამოიტანეს ნახევრად დანახშირებული, ზურგში დანაგაყრილი ზ. ქ.-ს ცხედარი. სხვა ეჭვმიტანილ პირებთან ერთად დააპატიმრეს ბ. ა-ბიაც, რომლის ქმედობაც დააკვალიფიცირეს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახვი მკვლელობით. ბ. ა-ბიას მდგომარეობას ამძიმებდა ის გარემოება, რომ წარსულში ნასამართლები იყო მძიმე დანაშაულისათვის და იმ დროისათვის თავს არიდებდა სოფელში მუშაობას. ბრალდებულთა ნაწილი წინასწარი გამოძიების დროს ბ. ა-ბიას ასახელებდა მკვლელობაში თანამონაწილედ. ბრალდებული ბ. ა-ბია, როგორც წინასწარი გამოძიების დროს, ისე სასამართლო პროცესზე კატეგორიულად უარყოფდა ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობას და საერთოდ ზ. ქ.-ს მკვლელობის დროს სოფ. ურთაში ყოფნას.

ბრალდებულს ალიბის დასამტკიცებლად ძალიან სუსტი მასალა ჰქონდა. მას არ ახსოვდა გუდაუთაში მისამართი და გვარი იმ პირისა, ვისთანაც 1960 წლის ივლისის თვეში სახლის რემონტს აკეთებდა. მან იცოდა მხოლოდ სახლის მდებარეობა და მეპატრონის სამუშაო ადგილი. ბ. ა-ბიას გუდაუთაში მუშაობის დროს მეზობლად მცხოვრები ქალი სასიკვდილოდ დაჭრეს რევოლვერით, რომლის საავადმყოფოში წაყვანაზე ბ. ა-ბიაც დაიხმარეს.

ბ. ა-ბიამ ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების დროს დაარწმუნა თავისი ინტერესების დამცველი ქ. ჯიმშელეიშვილი მის სრულ უდანაშაულობაში. ადვოკატმა ქალმა არ დაიშურა თავისი ცოდნა და გამოცდილება ჭეშმარიტების დასადგენად. რამდენიმე საქმიანი შუამდგომლობით, სახლის ადგილზე შემოწმებით, მოწმეების დაკითხვით მან დაადგინა გუდაუთაში, გობჯიას ქ. № 9-ში მცხოვრები სტამბის მუშა სხულუხიას ვინაობა, რომელმაც დაადასტურა ბ. ა-ბიას ჩვენების სისწორე და დასძინა, რომ სამსახურში მას შეგებულბაც კი მისცეს ივლისის თვეში სახლის რემონტის გამო. დადგენილი იქნა აგრეთვე იმ მოქალაქის ვინაობა, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრილი მიყვანილი იქნა გუდაუთის საავადმყოფოში. დაკითხული იქნა პატიმარი სანაია, რო-

მელიც უარყოფდა თავისი პირვანდელი ჩვენების სინამდვილეს, ჩვენებისა, რომელშიაც ბ. ა-ბიას ასახელებდა ზ. ქ-ას მკვლელობაში თანამონაწილედ.

მასასადამე, ყოველი ფაქტი გზას უთმობდა ბ. ა-ბიას გამამართლებელ საბუთებს. აღნიშნული საქმე რამოდენიმეჯერ იქნა დაბრუნებული დამატებით გამოძიებისათვის. საბოლოოდ სიმართლემ თავისი გაიტანა. ქ. ჯიმშელეიშვილისა და საქმეში მონაწილე სხვა ადვოკატთა ენერგიული ჩარევით, როგორც ბ. ა-ბია, ისე მხარეები განთავისუფლებულ იქნენ ამ საქმიდან ბრალდების დაუდგენლობის გამო.

რამდენ ასეთ საინტერესო საქმეში მიუღია მონაწილეობა, რამდენი შუამდგომლობა აღუძრავს წინასწარი გამოძიებისას დამატებით საგამომძიებლო მოქმედებათა ჩასატარებლად და დადებითი შედეგისათვის მიუღწევია, რამდენჯერ ბრალდებულისათვის კვალიფიკაცია შეუცვლევინებია...

ქ. ჯიმშელეიშვილი დაიბადა წულუკიძის რაიონის სოფ. კუხში 1906 წლის 23 დეკემბერს. პირველდაწყებითი განათლება სოფ. კუხის ოთხკლასიან სასწავლებელში მიიღო, 1923 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის მესამე ტექნიკუმი. იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე. უნივერსიტეტში სწავლის დროს ვინაიდან სახელმწიფო სტიპენდიები გამონაკლისი იყო და ოჯახს კი ხელმოკლეობის გამო არ ჰქონდა საშუალება მატერიალური დახმარება გაეწია მისთვის, უხდებოდა სამსახური სხვადასხვა დაწესებულებებში. 1923 წლიდან 1926 წლამდე, ქ. ჯიმშელეიშვილი მუშაობდა სახალხო კომისართა საბჭოში საქმის მწარმოებლად. 1926 წლიდან უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი იყო სახალხო მოსამართლე თბილისის გაერთიანებულ სახალხო სასამართლოში. 1928 წლის 12 ნოემბერს კი მას დებულობენ ადვოკატთა კოლეგიის წევრად. ადვოკატობას იგი უთავსებდა იურისკონსულტობას ჯერ საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ გლეხთა სასახლეში, ხოლო შემდეგ კი საზოგადოებრივი კვების ტრესტში და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობაში, ამჟამად „ნაკადულის“ რედაქციაში. 1941 წლიდან დღემდე ქსენია ჯიმშელეიშვილი კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატია.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ქ. ჯიმშელეიშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულია საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით. ყველას უყვარს დეაწლმოსილი ადვოკატი, გულისხმიერი ამხანაგი და მეგობარი ქსენია ჯიმშელეიშვილი.

უთუოდ კიდევ დიდხანს ემსახურება გულმართალი ადვოკატი ქალი მართლმსაჯულების კეთილშობილურ საქმეს.

გაყვალა ვაყელიშვილი

ჩვენ ინტერვიუ

პროფ. რ. მ. ხალფინა თბილისი

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის რაისა ოსიპეს ასული ხალფინას სახელი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ ესტუმრა თბილისს, ცნობილია არა მარტო სსრ კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ღრმა ერუდიციის ადამიანი, შესანიშნავი პედაგოგი და ბრწყინვალე ლექტორი უკვე რამდენიმე ათეული წელია ეწევა დიდ სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი მონოგრაფიები „პირადი საკუთრების უფლება“, „მემკვიდრეობის სამართალი სსრ კავშირში“, „ხელშეკრულების მნიშვნელობა და არსი საბჭოთა სამოქალაქო სამართალში“, „პროდუქციის მიწოდების უფლებრივი რეგულირება სახალხო მეურნეობაში“ და სხვა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის პრაქტიკის ღრმად შესწავლაზე და ამდიდრებს საბჭოთა სამართლის მეცნიერებას. მის სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა იურისტთა კადრების აღზრდის საქმე. სახელოვანი ქალი დიდ მუშაობას ეწევა სამოქალაქო კანონმდებლობის შემუშავების საქმეშიც.

და აი, პროფ. რ. მ. ხალფინა ქართველი კოლეგების თხოვნით ლექციას ატარებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ლექციის თემაა — „მრეწველობის მართვის რეფორმა და სამართლებრივი თეორიის ზოგიერთი საკითხი“. მისი ხმა და ლაპარაკის მანერა საოცრად ეთანხმება მის გარეგნობას — ერთნაირი სისადავე, სიმშვიდე და ზომიერება. მსჯელობა ხასიათდება საკითხთა დაყენების სიახლით, მახვილი აზრით, ფართო პრობლემების განხილვისა და გადაწყვეტის უნარით.

ჩვენ ვთხოვეთ მეცნიერ ქალს ჟურნალის მკითხველებისათვის მოეთხრო თავის შემოქმედებით გვეგებზე, რომელთა შესრულებასაც ის ამ ახლო ხანში აპირებს:

— ავტორთა დიდ ჯგუფთან ერთად ვმუშაობ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მონოგრაფიაზე, გამოსაცემად გამზადებ საბჭოთა ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილს, ბურჟუაზიული სამოქალაქო სამართლის რეაქციულ როლს კაპიტალისტური მონოპოლიების გაერთიანებების საქმიანობის რეგულირებაში. სურვილები და მიზნები საკმაოა, მაგრამ... უმჯობესია ცოტა ვთქვა და ბევრი გავაკეთო.

ამასთან შეიმჩნევა, რომ იგი უფრო სიამოვნებით ლაპარაკობს თავისი კოლეგების საქმიანობაზე, ვიდრე საკუთარზე...

ჩვენ ვეკითხებით პროფ. რ. ხალფინას, თუ რომელ ქართველ მეცნიერთა შრომები მიაჩნია მას განსაკუთრებით მნიშვნელოვანად. სახელოვანი მეცნიერის სიტყვებით პროფ. თ. წერეთლისა და გ. მაყაშვილის მონოგრაფიები დიდი შენაძენია საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში. მაღალ მეცნიერულ დონეზე დგას პროფ. ს. ჯორბენაძის მოღვაწეობა. მეცნიერული კვლევის დიდ უნარს იჩენენ პროფ. ლ. ალექსიძე, დოც. გ. ინწკირველი, დოც. გ. ჟვანია, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი შ. ჩიკვაშვილი.

თბილისში ყოფნის დროს პროფ. რ. მ. ხალფინამ დაათვალიერა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, მთაწმინდის პანთეონი...

ცნობის მოყვარეობით აღვსილი ათვალიერებდა იგი შესანიშნავ ძეგლებს ქართული ხუროთმოძღვრებისა, მოზაიკური და ფრესკული მხატვრობისა — ბიჭვინთის, წრომისა და გელათის მოზაიკებს, ატენის, დავით გარეჯის, ბეთანიის, ყინწვისისა და სხვ. ფრესკებს.

მონუსხულივით იდგა დიდგორისა და ვანის განძთან, იოანე მონასძის, ბექა და ბეშქენ ოპიზართა უკვდავ ნაწარმოებებთან და ისეთი სასიამოვნო საუბარი ჰქონდა მეგზურთან ხელოვნებათმცოდნეობის საკითხებზე, როგორც შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ამ დარგში ღრმად განსწავლულ პიროვნებას. ქართული ტიხრული მინანქარის ნიმუშები მხატვრული ღირსებით და ფერების შეხამებით ბიზანტიურ მინანქარზე უფრო მნიშვნელოვანიაო, ამბობს იგი და თან დასძენს: მსოფლიოს, ბევრ განთქმულ ხელოვნების მუზეუმში ვყოფილვარ, მაგრამ

დიდგორისა და ვანის განძის მსგავსი არა მინახავს რაო.

დიდი ტემპერამენტისა და მგზნებარე გულის ადამიანი რ .ო. ხალფინა გიმორჩილებს თავისი დიდბუნოვნებით და უზადო გემოვნებით. საინტერესოდ ლაპარაკობს მხატვრობაზე, ლიტერატურაზე, მუსიკაზე, ენათმეცნიერებაზე და რა თქმა უნდა ყველაზე უფრო მეტად იურისპრუდენციაზე. უსმენთ ამ ქალს და გაოცებთ მისი განათლების ესოდენ დიდი ჰორიზონტი...

დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე რაისა ხალფინა შემოქმედებითი ენერჯითაა სავსე. გვინდა ვუსურვოთ სახელოვან ქალს დიდი საქმეები, ახალი საინტერესო შრომები იურიდიული მეცნიერების განვითარებისათვის. ახალ შეხვედრამდე ჩვენს დედაქალაქში, ახალ შეხვედრამდე ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე!

ლ. ისაკაძე

ინფორმაცია

წიგნის ბანსილვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრამ მოაწყო ნ. ვ. ჟოგინის და ფ. ნ. ფატკულინის წიგნის საჯარო განხილვა.

მომხსენებით გამოვიდა პროფ. ბ. ხარაზიშვილი. მან აღნიშნა, რომ განსახილველი წიგნის გამოცემა მოსაწონია, რადგან წინასწარი გამოძიების საკითხზე ასე სრული, ყველა საკითხის მომცველი შრომა დიდი ხანია არ გამოსულა. უდავოა, რომ იგი სასარგებლო იქნება, როგორც საგამომძიებლო, სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაკათათვის ისე მეცნიერ-იურისტებისა და სტუდენტებისათვის. შრომაში მოტანილია და გაანალიზებული საგამომძიებლო ორგანოების პრაქტიკა. ავტორები მკითხველებს აწვდიან იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ აზრებს წინასწარი გამოძიების თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. მოსაწონია საკითხების ლოგიკური, თანმიმდევრული განლაგება. ნაშრომის ღირსებულ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ისიც, რომ იგი დაწერილია პოპულარული, გასაგები ენით.

მომხსენებლის აზრით, განსახილველი შრომა შეიცავს რიგ ნაკლოვან მხარეებსაც.

როგორც ცნობილია სისხლის სამართლის საქმე აღძვრება ფაქტის გამო, რომელიც ამავე დროს საქმის აღძვრის საფუძველს წარმოადგენს. ნაშრომის ავტორები მიუთითებენ რა, რომ საფუძველი არ არის ვერსია, თვლიან, რომ იგი მტკიცე და უდავო უნდა იყოს. ბ. ხარაზიშვილი ეთანხმება ავტორებს, რომ საფუძველი არ არის ვერსია, მაგრამ აღნიშნავს, რომ იგი ყოველთვის ატარებს სავარაუდო ხასიათს. კამოძიების ბოლოს საფუძველმა შეიძლება სხვა სახე მიიღოს ან საერთოდ არ გვექონდეს საქმე დანაშაულთან; მაგალითად, გამორიცხული არ არის, რომ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრას მკვლელობის ფაქტის გამო, მაგრამ გამოძიებით დადგინდეს, რომ ადგილი ჰქონდა არა მკვლელობას, არამედ უბედურ შემთხვევას. ამის გამო ავტორების მტკიცება, რომ საქმის აღძვრის საფუძველი უნდა იყოს მტკიცე და უდავო და რომ იგი არ უნდა ატარებდეს სავარაუდო ხასიათს, მომხსენებელს არ მიაჩნია მართებულად.

პროფ. ბ. ხარაზიშვილს არასწორად მიაჩნია აგრეთვე ნაშრომის 21—22 გვერდებზე ავტორთა მტკიცება, თითქოს სისხლის სამართლის

საქმის აღძვრამდე, გამოჩაღების სახით, დასაშვებია ზოგიერთი საგამომძიებლო მოქმედების ჩატარება (დაკავება, ჩხრეკა და სხვა). სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე პრინციპულად არც ერთი საგამომძიებლო მოქმედების ჩატარება არ არის გამართლებული. სისხლის სამართლის საქმის აღძვრით იწყება სისხლის სამართლის პროცესი და მამასადამე, გამოძიება. ამიტომ მანამდე საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარება არ შეიძლება. მართალია, ამასთან დაკავშირებით პრაქტიკულად იქმნება სიტუაციები, მაგრამ ეს საფუძველს არ ვაძლევს საქმე არ გვექონდეს აღძვრული და გამოძიება ვაწარმოოთ. თუ არსებობს ჩხრეკის, დაკავების და სხვა მოქმედებათა საფუძველი, მაშინ არსებობს საქმის აღძვრის საფუძველიც. უფრო მართებულია საქმე აღძვრათ იმ ფაქტისათვის რისთვისაც ვატარებთ საგამომძიებლო მოქმედებებს და თუ არ დადგინდა დანაშაულის ფაქტი შემდეგ ეს საქმე მოვსპოთ, ვიდრე ვაწარმოოთ პროცესუალური მოქმედებანი საქმის აღძვრის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ ტექნიკური სიძნელეების გამო ვარღვევთ პრინციპს და ვამეტებთ უფლებამოსილებას.

ნაშრომის 26-ე გვერდზე ავტორები ლაპარაკობენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე კონკრეტული პირის მიმართ. მათი აზრით სისხლის სამართლის საქმის აღძვრა კონკრეტულ პირის მიმართ ხდება მაშინ, როდესაც საჭირო არ არის საქმეზე წინასწარი გამოძიება. პროფ. ბ. ხარაზიშვილი თვლის, რომ არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ლაპარაკი სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე კონკრეტული პირის მიმართ. ავტორების მიერ მოყვანილ შემთხვევაშიც საქმის აღძვრა კი არ ხდება, არამედ დაგინდება, რომ წინასწარი გამოძიება საქმეზე საჭირო არ არის და იგი უნდა განიხილოს სასამართლომ.

პროფ. ბ. ხარაზიშვილის აზრით ნაშრომში დამაჯერებლად არ არის მოცემული სასამართლო საგამომძიებლების ინსტიტუტის კრიტიკა. ავტორები ედავებიან ვიშინსკის, რომელიც აყენებდა საკითხს, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე საქმის შეწყვეტით ერთგვარად ხდება სასამართლო ფუნქციების განხორციელება. ავტორები არ იზიარებენ რა ამ დებულებას იგიწყებენ იმას, რომ წინასწარი გამოძიე-



ბის დროს საქმის შეწყვეტისას გამოძიებელი არსებითად წყვეტს პირის ბრალეულობის საკითხს. ამიტომ ამ აზრის კატეგორიული უარყოფა არ არის მართებული.

დოც. მ. ლეკვეიშვილი აღნიშნავს, რომ განსახილველი წიგნის გამოსვლა უდავოდ მისასალმებელია. განსხვავებით ამ საკითხზე ადრე გამოხატულ შრომებისაგან ეს შრომა დაფუძნებულია ახალ კანონმდებლობაზე და უეჭველად მეტ სარგებლობას მოუტანს განსაკუთრებით სსსამართლო, საგამომძიებლო და პროკურატურის ორგანოების მუშაკებს.

დოც. მ. ლეკვეიშვილის აზრით განსახილველ წიგნში უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო მოცემული და გაანალიზებული საგამომძიებლო ორგანოების პრაქტიკა. ერთერთი ავტორი, კერძოდ ნ. ვ. ყოგინი გამოცდილი პრაქტიკოსი მუშაია, რის გამოც მოსალოდნელი იყო პრაქტიკიდან ისეთი მასალის მოტანა და გაანალიზება, რომელიც თეორიაში დავას იწვევს.

დოც. მ. ლეკვეიშვილი თვლის, რომ შრომის პირველი თავი, რომელიც შეეხება სისხლის სამართლის საქმის აღძვრას არ შეესაბამება თემას. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ცალკე სტადიაა, რომელიც წინ უსწრებს წინასწარ გამოძიებას. გარდა ამისა ავტორებს აღნიშნულ საკითხებზე გამოცემული აქვთ ცალკე შრომა და ამ მხრივაც ზედმეტად მიაწინა მისი განმეორება განსახილველ წიგნში.

შრომის 34-ე გვერდზე ავტორები მიუთითებენ, რომ მხოლოდ სსსამართლის შეუძლია პირი სცნოს ბრალეულად. 321 გვერდზე კი ლაპარაკობენ რა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის და დამნაშავეს თავდებქვეშ გადაცემის შესახებ წინასწარი გამოძიების სტადიაზე სურთ დასაბუთონ, რომ ამ დროს არ ხდება ბრალეულობის საკითხის არსებითად გადაწყვეტა. ავტორების დასაბუთება მოკლებულია დამაჯერებლობას, რაც იმითაა გამოწვეული, რომ წინასწარი გამოძიებისას საქმის შეწყვეტის ან დამნაშავეს თავდებქვეშ გადაცემის დროს გაშომძიებელი ფაქტიურად არსებითად წყვეტს პირის ბრალეულობის საკითხს. პირველ შემთხვევაში იგი პირს თვლის არაბრალეულად, ხოლო მეორე შემთხვევაში ბრალეულად.

დოც. მ. ლეკვეიშვილი არ ეთანხმება ავრეთვე განსახილველი შრომის ავტორებს იმაში, რომ ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემისას საჭიროა დანაშაულის შედგენილობის ყველა ელემენტის დადგენა.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. მოსესიანი აღნიშნავს, რომ ნ. ვ. ყოგინისა და ფ. ნ. ფაქტულის წიგნი სასარგებლოა პირველ რიგში პრაქტიკული მუშაკებისათვის. ეს წიგნი მთელი თავით მაღლა დგას ამ საკითხზე მანამდე

გამოცემულ სხვა წიგნებთან შედარებით, რადგან მათ შემდეგ მიღებული იქნა ახალი კოდექსები, თეორია წინ წავიდა. განსახილველ წიგნში ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი ყველა ახალი თვალსაზრისი კარგადაა განხილული და გაანალიზებული.

გ. მოსესიანი არ იზიარებს დოც. მ. ლეკვეიშვილის მოსაზრებას, რომელიც არ ეთანხმება ავტორებს, რომ ბრალდების წაყენების დროს დანაშაულის შედგენილობა დადგენილი უნდა იყოს. გ. მოსესიანის აზრით ამ საკითხში განსახილველი წიგნის ავტორები უფრო მართებულ პოზიციაზე დგანან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში პირი შეიძლება უსაფუძვლოდ იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისმგებაში. რასაკვირველია, ეს არ გამოირიცხავს არც ახალ ვერსიებს, არც საქმის შემდგომ წარმოებას და გამოძიებლის აზრის შესაძლებელ შეცვლას.

ამხ. გ. მოსესიანი თვლის, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე ზოგჯერ არსებითად ხდება პირის ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტამავალითად, საქმის შეწყვეტისას დამნაშავეს თავდებქვეშ გადაცემით. „საფუძვლები“ კი თვლიან, რომ ბრალეულობის საკითხს წყვეტს მხოლოდ სსსამართლო. კანონმდებლობაში ამის გამო წინააღმდეგობას აქვს ადგილი.

გ. მოსესიანის აზრით სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე პრაქტიკაში ხდება საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარება. ეს მოქმედებანი შეზღუდულია და ცნობილია, როგორც გადაუღებელი საგამომძიებლო მოქმედებანი. პრაქტიკულად შეუძლებელია იმ მოტივით, რომ საქმე ჯერ არ არის აღძრული, არ მოვახდინოთ დამნაშავეს დაკავება დანაშაულის ჩადენის ადგილას, მისი პირადი ჩხრეკა და სხვა.

განსახილველი წიგნის ავტორები თვლიან, რომ დამამტიციებელ საბუთების წყაროებს ახასიათებთ დამამტიციებელი ძალა. გ. მოსესიანის აზრით კი თუ დამამტიციებელი საბუთები ფაქტიური მონაცემებია, მაშინ დამამტიციებელი ძალა აქვთ საბუთებს და არა წყაროებს.

შ. ფაფიაშვილი აღნიშნავს, რომ არ შეიძლება გაზიარებულ იქნას ავტორების მიერ შრომის მე-6-7 გვერდებზე გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზებს ვუწოდოთ არა წყაროები, როგორც ეს მიღებულია პროცესუალური ლიტერატურაში, არამედ იურიდიულ ფაქტები. საქმის აღძვრის საბაზებისათვის წყაროების წოდება სრულად შეესაბამება მათ იურიდიულ ბუნებას და არ არის გამართლებული მათი შეცვლა.

ამხ. შ. ფაფიაშვილი არასწორად მიიჩნევს ავ-

ტორთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ჩვენების ადგილზე შემოწმება არის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ან საგამომძიებლო ექსპერიმენტის ნიშნისა. მისი აზრით ჩვენების ადგილზე შემოწმება არის დამოუკიდებელი სახის საგამომძიებლო მოქმედება, რომელიც თავისი ჩატარების ტაქტიკური თავისებურებებით არსებითად განსხვავდება, როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ისე საგამომძიებლო ექსპერიმენტისაგან.

შ. ფაფიაშვილი ტაქტიკურად გაუმართლებლად მიიჩნევს ავტორთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის დადგენილებაში მითითებული იქნეს ძირითადი დამამტკიცებელი საბუთები. (ნაშრომის 205-210 გვ.). ასეთი სახის დადგენილება ბრალდებულისათვის ნათელს გახდის თუ რა დამამტკიცებელი საბუთები აქვს გამოძიებას, რა გარემოებები, რა ფაქტები მისთვის ცნობილი და რა არა.

სისხლის სამართლის კათედრის გამგემ, პროფ. ბ. ფურცხვანიძემ შეაჯამა განხილვის შედეგები. მან გაიზიარა ის აზრი, რომ განსახილველი წიგნი უეჭველად სასარგებლოა და მისი ვაიმოსვლა მისასალმებელი.

შემდეგ პროფ. ბ. ფურცხვანიძე შეეხო წიგნის მიმართ გამოთქმულ შენიშვნებს. მან აღნიშნა დებულება, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე არ უნდა ჩატარდეს საგამომძიებლო მოქმედებანი, საერთოდ სწორი დებულებაა, მაგრამ პრაქტიკულ საქმიანობაში წარმოუდგენელია, რომ საქმის აღძვრამდე არ მივიღოთ ზოგიერთი ღონისძიება, რომლებიც

ფაქტიურად პროცესუალური მოქმედებებია. იმისათვის რათა დანაშაული არ გაგვრძელდეს და დროულად იქნეს აღკვეთილი, დროულად იქნეს შეპყრობილი დამნაშავე და ა. შ. ხშირად საჭირო ხდება ისეთ გადაუდებელ მოქმედებათა ჩატარება, როგორცაა ექვმინტიანის დაკავება, პირადი ჩხრეკა და სხვა.

პროფ. ბ. ფურცხვანიძე იზიარებს გამოსული ამხანაგების მოსაზრებას, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე საქმის შეწყვეტისა და დამნაშავეს თავდებქვეშ გადაცემის საკითხის გადაწყვეტისას არსებითად წყდება ბრალეულობის საკითხი. იგი არ ეთანხმება პროფ. ბ. ხარაზიშვილს, რომელიც თვლის, რომ უფრო სწორი იქნებოდა თუ ამ საკითხს სასამართლო გადაწყვეტდა. ეს აზრი მართებული იქნებოდა თუ გამომძიებლები ჩათვლებოდნენ სასამართლო გამომძიებლებად, მაგრამ საბჭოთა პროცესით ასე როდია.

პროფ. ბ. ფურცხვანიძე არ ეთანხმება აგრეთვე დოც. მ. ლეკვეიშვილს, რომელიც თვლის, რომ ბრალდების წაყენების დროს არ შეიძლება დადასტურებულად იქნეს მიჩნეული ბრალი. პროფ. ბ. ფურცხვანიძე თვლის, რომ თუ გამომძიებელი არ არის დარწმუნებული პირის ბრალეულობაში, ისე ვერც წაუყენებს მას ბრალდებას.

დასასრულს პროფ. ბ. ფურცხვანიძემ მალღობა გადაუხადა ამხანაგებს განსახილველი წიგნის საფუძვლიანი შესწავლისა და საქმიანი შენიშვნების გაკეთებისათვის.

უ. კობიაშვილი.

მშახის ორგანოების პრაქტიკა



1. თუ ფაქტიური საქორწინო ურთიერთობა წარმოიშვა 1944 წლის 8 ივლისის შემდეგ სახალხო სასამართლომ არ უნდა დაადასტუროს ასეთი ქორწინების ფაქტი და არც მშახის ბიურომ უნდა მოახდინოს ამ ქორწინების რეგისტრაცია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მშახის განყოფილებაში შემოვიდა მოქ. გ-ს საჩივარი ქ. თბილისის ერთერთი რაიონის მშახის ბიუროს თანამშრომელთა მოქმედებაზე.

მოქ. გ. აღნიშნავდა, რომ ქ. თბილისის ერთერთი რაიონის სახალხო სასამართლომ მას დაუდგინა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იმის შესახებ, რომ 1959 წლიდან ფაქტიურ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა აწ გარდაცვალებულ მოქ. კ-სთან; მშახის ბიუროს ხსენებული დადგენილების საფუძველზე არ აფორმებს ქორწინების აქტს და უარს ამბობს მისი მცირეწლოვანი შვილის დაბადების სააქტო ჩანაწერში სათანადო შესწორების შეტანაზე (ბავშვი დაბადებულია 1960 წელს და რეგისტრირებულია როგორც მარტოხელა დედის შვილი). იურიდიული კომისიის მშახის განყოფილებამ

სწორად ჩასთვალა მშახის ბიუროს თანამშრომელთა მოქმედება და სასამართლოს ზემოხსენებული დადგენილება გადაუგზავნა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს გადასასინჯად.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა სახალხო სასამართლოს დადგენილება და განუმარტა განმცხადებელს, რომ სახალხო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება დაედგინა ისეთი ფაქტიური ცოლ-ქმრული ურთიერთობა, რომელიც წარმოიშვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების — „ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძღვების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ“, — გამოცემის შემდეგ.

2. მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიის მშახის განყოფილებაში შემოვიდა მოქ. შ-ს საჩივარი იმის შესახებ, რომ 1952 წელს გათხოვდა მოქ. მ-ქზე, რომელთანაც ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინა 3 შვილი. მოქ. მ-ქ ამჟამად გატარდა ქორწინების რეგისტრაციაში მოქ. ბ-თან და მშახის ბიუროში განაცხადა, რომ შედის პირველ ქორწინებაში.

ფილებამ დაადგინა, რომ მოქ. შ-ქ არ ყოფილა რეგისტრირებულ ქორწინებაში მოქ. მ-თან, რის შემდეგაც განუმარტა მოქ. შ-ს, რომ 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შემდეგ მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება ითვლება ქორწინების სახელმწიფოებრივ ფორმად და იგი წარმოშობს მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობებს. ვინაიდან მომჩივანი არ იყო რეგისტრირებულ ქორწინებაში მოქ. მ-თან, ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა შესულიყო რეგისტრირებულ ქორწინებაში სხვა ქალთან.

3. უკეთუ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ქალს შვილი შეეძინა სხვა მამაკაცისაგან, მას შეუძლია ბავშვი დაბადების რეგისტრაციაში გაატაროს როგორც მარტოხელა დედის შვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიის მშახის განყოფილებაში შემოვიდა მოქ. ქ-ს განცხადება იმის შესახებ, რომ იგი ქორწინების რეგისტრაციაში იმყოფება მოქ. ქ-სთან, მაგრამ კ-სთან ფაქტიური ცოლ-ქმრული ურთიერთობის შედეგად შეეძინა შვილი, რომელიც სურს გაატაროს დაბადების რეგისტრაციაში თავის ქალიშვილობის გვარზე. იმ მოტივით, რომ ქორწინების რეგისტრაციის შედეგად იგი ატარებს მეუღლის გვარს და პას-

პორტშიც ეს გვარი აქვს ჩაწერილი მშახის ბიურომ მას უარი უთხრა, რათა ბავშვი გატარებული ყოფილიყო განმცხადებლის ქალიშვილობის გვარზე.

იურიდიული კომისიის მშახის განყოფილებამ განუმარტა მშახის ბიუროსა და მოქ. ქ-ეს, რომ უკეთუ ბავშვის მამა არ არის განმცხადებლის რეგისტრირებული ქმარი, მას შეუძლია ბავშვი დაბადების რეგისტრაციაში გაატაროს როგორც მარტოხელა დედის შვილი და დაბადების სააქტო

ჩანაწერის გრაფაში „განსაკუთრებული აღნიშვნები“ გააკეთოს შენიშვნა, რომ ის რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება მოქ. ქ-თან, მაგრამ იგი ბავშვის მამა არ არის; რაც შეეხება გვარს, დაბადების სააქტო ჩანაწერში ბავშვს ჩაეწერება ის გვარი, რასაც დედა ატარებს, ხოლო

შემდგომ თუ ბავშვის დედა განქორწინდება თვის მეუღლესთან და დაიბრუნებს ქალიშვილობის გვარს, ან გამოიცვლის გვარს, მაშინ შესაძლებელი იქნება შესწორება იქნას შეტანილი ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში, სახელდობრ, შესწორდეს გვარი.

4. მოქალაქის მამის სახელის გამოცვლა კანონით გათვალისწინებული არ არის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში შემოვიდა მოქ. ს-ის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი სრულწლოვანია, სურს გამოიცვალოს სახელი, მამის სახელი და გვარი, მაგრამ მმაჩის ბიურო უარს ეუბნება მამის სახელის გამოცვლაზე.

იურიდიული კომისიის მმაჩის განყოფილება განუმარტა მოქ. ს-ს, რომ გვარის ან სახელის

გამოცვლა შეუძლია მოქალაქეს, რომელმაც სრულწლოვანებას მიაღწია; რაც შეეხება მამის სახელის გამოცვლას, მამის სახელის გამოცვლა კანონით გათვალისწინებული არ არის.

მამის სახელის შესწორება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამა სახელს გამოიცვლის, ანდა შეიღალდ ამყვანის სახელის მიხედვით ჩაეწერება მამის სახელი შეიღალდ აყვანის.

5. ერთი მეუღლის მიერ გვარის გამოცვლა, არ იწვევს მეორე მეუღლის გვარის გამოცვლას

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მმაჩის განყოფილებაში შემოვიდა მოქ. ა-ს შეკითხვა იმის შესახებ, რომ მან ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ მიიღო ქმრის გვარი ა-ვა. მისმა ქმარმა მცირეწლოვან შვილებთან ერთად გამოიცვალა გვარი, მაგრამ მმაჩის არქივა გვარის გამოცვლის შემდეგ შეასწორა ქორწინების სააქტო ჩანაწერში მხოლოდ მისი ქმრის გვარი, რის გამოც ის-მის კითხვა თუ მოქ. ა-მ ქორწინების შემდეგ მიიღო ქმრის გვარი, ხოლო ქმარმა კი ეს გვარი

შემდეგ გამოიცვალა სხვა გვარზე, რატომ მისმა ცოლმა უნდა ატაროს ქმრის ძველი გვარი და მექანიკურად მასაც არ უნდა გამოეცვალოს გვარი?

იურიდიული კომისიის მმაჩის განყოფილებამ განუმარტა მოქ. ა-ვას, რომ ერთი მეუღლის მიერ გვარის გამოცვლა, არ იწვევს მეორე მეუღლის გვარის გამოცვლას. უკეთუ განცხადებელს სურს გამოიცვალოს ქორწინების გვარი, უნდა ქმრისაგან დამოუკიდებლად მიმართოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მმაჩის ბიუროს.

6. თუ მოქალაქე განცხადებაში ქორწინების შესახებ უჩვენებს, რომ შედის პირველ ქორწინებაში და ამასვე მოწმობს მისი პირადობის დამადასტურებელი საბუთი (პასპორტი), მმაჩის ბიურო მას ატარებს ქორწინების რეგისტრაციაში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიის მმაჩის განყოფილებაში შემოვიდა მოქ. ბ-ის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი ქორწინების რეგისტრაციაში იმყოფება მოქ. ც-თან, რომელმაც ისე, რომ არ შეწყვიტა ქორწინების აქტი განმცხადებელთან, იქორწინა მეორედ მოქ. გ-თან და მმაჩის ბიუროში რეგისტრაციის დროს განცხადებაში ქორწინების შესახებ უჩვენა, რომ შედის პირველ ქორწინებაში და წარადგინა პასპორტი, რომელშიც არ იყო ჩარტყმული შტამები ქორწინების რეგისტრაციის შესახებ. მმაჩის ბიურომ არ გა-

მოიკვლია რა მოქ. ც-ის განცხადების სისწორე გაატარა მხარეები ქორწინების რეგისტრაციაში. იურიდიული კომისიის მმაჩის განყოფილებამ განუმარტა მოქ. ბ-ს, რომ უკეთუ მოქალაქე განცხადებაში ქორწინების შესახებ უჩვენებს, რომ შედის პირველ ქორწინებაში, ამასვე მოწმობს მისი პასპორტი, მმაჩის ბიურო არ არის კომპეტენტი დაიწყოს გამოძიება; იგი მხოლოდ აფრთხილებს მექორწინე მხარეებს რომ მმაჩის ორგანოებში ტყუილი ცნობების მიცემისათვის პასუხს აგებენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 223 მუხლის საფუძველზე და ატარებს მხარეებს ქორწინების რეგისტრაციაში.

7. მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვები ტარდებიან მმაჩის ორგანოებში მამის გვარზე და კანონმა ამ წესიდან გამონაკლისი არ იცის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიის მმაჩის განყოფილებას შუამდგომლობით მიმართა ერთ-ერთი რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს რაიონალური კომპა იმის შესახებ, რომ მოქ. კუს აწვარდაცვალბულ მოქ. გ-თან ფაქტიური ცოლქმრული ურთიერთობის შედეგად შეეძინა ბავშვი და სასოფლო საბჭო არ ატარებს ბავშვს დაბადების რეგისტრაციაში მამის გვარზე, რადგან მშობლები არ იყვნენ ქორწინების რეგისტრაციაში (ბავშვის დედის საქორწინო ასაკის მიუღწევლობის გამო).

იურიდიული კომისიის მმაჩის განყოფილებამ განუმარტა აღმასრულებელ კომიტეტსა და მოქალაქე კ-ის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების 21 მუხლის შესაბამისად იმ დედის მიერ შობილი ბავშვი, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფება, ბავშვი დაბადების რეგისტრაციაში ტარდება დედის გვარზე და მამის სახელი ეძლევა დედის მითითებით. ვინაიდან კანონმა ამ წესიდან გამონაკლისი არ იცის, არ შეიძლება ბავშვი გატარებულ იქნას სასოფლო საბჭოს მიერ დაბადების რეგისტრაციაში მამის გვარზე.

8. შვილად აყვანის წესით შესაძლებელია ბავშვის დაბადების საოლქო ჩანაწერში შეყვანილი იქნას მამად ფაქტიური მამა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიის მმაჩის განყოფილებაში შემოვიდა მოქ. შ-ის განცხადება იმის შესახებ, რომ მოქ. ბ-თან ფაქტიური ცოლქმრული ურთიერთობის შედეგად შეეძინა ბავშვი და რასაკვირველია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბავშვი დაბადების რეგისტრაციაში გატარებული იქნა დედის გვარზე, ხოლო დაბადებიდან ბავშვის აღზრდაზე მზრუნველობას იჩენენ განმცხადებლის დედა და ცოლი. ბავშვის დედა არც სცნობს თავის შვილს და მამას თანხმობას აძლევს შვილად აყვანაზე. როგორც ბავშვს, ისე მის აღზრდელებს სურთ, რათა შესწორდეს არასრულწლოვანის (იგი 15 წლისაა)

დაბადების სააქტო ჩანაწერში და ფაქტიური მამა შეყვანილი იქნას დაბადების სააქტო ჩანაწერში, როგორც კანონიერი მამა.

იურიდიული კომისიის მმაჩის განყოფილებამ ბამ განუმარტა განმცხადებელს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი მისი აღზრდილია და დედას არავითარი წვლილი არ მიუძღვის შვილის აღზრდაში, კანონის შესაბამისად არ შეიძლება განმცხადებელი შეყვანილი იქნას მამად ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში. კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებელია მამის გვარი ბავშვს მიეცეს მხოლოდ შვილად აყვანის გაფორმების გზით და ამის შემდეგ დაბადების სააქტო ჩანაწერში განმცხადებელი შეყვანილი იქნას მამად.

9. შვილად აყვანის აქტის გაფორმების შედეგად შესაძლებელია არ იქნას შეტანილი რაიმე ცვლილება შვილად აყვანილის დაბადების სააქტო ჩანაწერში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიის მმაჩის განყოფილებაში შემოვიდა მოქ. შ-ს განცხადება იმის შესახებ, რომ შვილად აყვანა მცირეწლოვანი თ-ლი და არ სურს შეტანილი იქნას რაიმე შესწორება ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში, ხოლო მმაჩის ბიურო შვილად აყვანით სწერს ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მშობლებად.

იურიდიული კომისიის მმაჩის განყოფილე-

განუმარტა როგორც მოქალაქეს, ისე მმაჩის ბიუროს, რომ შვილად აყვანის აქტის გაფორმების შედეგად შესაძლებელია არავითარი ცვლილებები არ შევიდეს შვილად აყვანის დაბადების სააქტო ჩანაწერში, რადგან შვილად აყვანის აქტის გაფორმების შემდეგ ბავშვის მშობლები კარგავენ, ხოლო შვილად აყვანის იძენენ ბავშვის მიმართ ყოველგვარ უფლება-მოვალეობას, განურჩევლად იმისა, ისინი ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში ფიგურირებული არიან თუ არა მშობლები.

საქონლის დებულება

1. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შესანახად მიბარებული საქონლის დაბრუნებაზე იწყება პირველი გაფრთხილების დღიდან.

თბილისის ხეცისა და საშენ მასალების საექსპორტო ბაზამ აღძრა სარჩელი თბილისის შამხანური ღვინის ქარხნის მიმართ 1963 წლის დეკემბერს შესანახად მიბარებული 62 ტონა ცემენტის ნატურით დაბრუნებაზე. სარჩელი აღძრა 1965 წ. 30 დეკემბერს. სახელმწიფო არბიტრმა სარჩელი ხანდაზმულად ჩასთვალა, ვინაიდან სადაო ცემენტის გადაცემასა და სარჩელის აღძვრას შორის გავიდა ერთ წელზე მეტი დრო.

ზედამხედველობის წესით საქმის გარჩევის დროს მიღებული იქნა მხედველობაში, რომ სადაო ცემენტის შესანახად მიბარების დროს მხარეებმა არ გააპირობეს შენახვის ვადა, ხოლო

სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 28-ე მუხლი და საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 427-ე მუხლი არ ითვალისწინებს მიბარების ვადების რაიმე ზღვარს; მოცემულ შემთხვევაში 1963 წლის დეკემბერს შესანახად მიბარებული ცემენტის დაბრუნება მოსარჩელემ მოითხოვა 1965 წლის 26 მაისს, ხოლო სარჩელი აღძრა 1965 წლის 30 დეკემბერს, ე. ი. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში. გამომდინარე აქედან არბიტრაჟის გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.

2. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი მიწოდებული საქონლის ღირებულებაზე სარჩელის აღძვრისათვის

არმავირის კარიერების სამმართველომ 1964 წლის 1-დან 6-სექტემბრამდე, რამდენიმე გზავნილით, ქუთაისის ავტოქარხანას მიაწოდა 15722 ტონა ქვიშა. მიღებული ქვიშა ქუთაისის ავტოქარხანამ დაიწუნა და უარი განაცხადა მისი ღირებულების განაღდებაზე. ანგარიში წარდგენილი იყო ინკასოზე დავიანებით, სახელდობრ 1965 წლის თებერვალში.

არმავირის კარიერების სამმართველომ მიმართა არბიტრაჟს სარჩელით. 1965 წლის 24 დეკემბერს არბიტრმა იცნო სარჩელი ხანდაზმულად და ამ საფუძველით არ დააკმაყოფილა სარჩელი. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის განგარიშების დროს, არბიტრი გამომდინარეობდა საქონლის გამოგზავნის თარიღებიდან ე. ი. 1964 წლის 1, 3, 6, 7 და 16 სექტემბრიდან.

ეს გადაწყვეტილება ცნობილი იქნა არა სწორად და საქმე დაუბრუნდა არბიტრს არსებითად განსახილველად, ვინაიდან სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვა-

და იწყება სარჩელის უფლების წარმოშობის დღიდან; სარჩელის უფლება წარმოიშობა იმ დღეს, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეიტყოს თავისი უფლების დარღვევა. ანგარიშსწორების არსებული წესის თანახმად, მიმწოდებელს უფლება აქვს 30 დღის განმავლობაში, საქონლის განტვირთვის დღიდან, წარმოადგინოს ანგარიში გასანაღდებად ბანკში, ინკასოზე. სამი დღის განმავლობაში მყიდველს აქვს უფლება განაცხადოს უარი ანგარიშის აქცეპტზე და მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიტყოს მიმწოდებელმა დარღვეულია თუ არა მის უფლება მიწოდებული პროდუქციის ღირებულების მიღებაზე. მოცემულ შემთხვევაში, რამდენადაც საქონლის მიწოდება მოხდა 1964 წლის 1-დან 16 სექტემბრამდე ხოლო სარჩელი აღძრულა 1965 წლის 24 სექტემბერს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა იყო სავსებით დაკულო.

ანგარიშის წარდგენის ფაქტიურ თარიღს, მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან ასეთი წარდგენილი იყო დადგენილი ვადის დარღვევით.

3. მიმღები ორგანიზაციის საქონელმცოდნეს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა საქონლის რაოდენობრივ მიღებაში, როგორც საზოგადოებრიობის წარმომადგენელი, გარკვეული პირობების დაცვის შემთხვევაში.

3 ყაზახეთის საბაკალეო ვაჭრობის უსტ-კამენოგორსკის ბაზამ აღძრა სარჩელი ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნისაგან ბორჯომის წყლის და-

ნაკლისისა და მტვრევის ღირებულების ანაზღაურებაზე; სარჩელის დასამტკიცებლად მოსარჩელემ წარმოადგინა ამავე ორგანიზაციის საზოგა-



დობრობის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. საქმის გარჩევის პროცესში გამოირკვა, რომ საზოგადოებრიობის წარმომადგენლად გამოყოფილი იქნა მოსარჩელე ორგანიზაციის საქონელმცოდნე. არბიტრმა დავის პირველად გადაწყვეტის დროს ჩასთვალა, რომ საქონლისმცოდნე არ შეიძლება ღებულობდეს მონაწილეობას საქონლის რაოდენობრივ მიღებაში, ვინაიდან საქონლისა და პროდუქციის რაოდენობრივი მიღების შესახებ ინსტრუქციის მე-20 მუხლის თანახმად, მიმღები ორგანიზაციის მატერიალურად პასუხისმგებელი და მათი დაქვემდებარებული პირები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან მატერიალური ფასეულობების აღრიცხვასა, შენახვასა, მიღებასა და გაცემასთან არ უნდა იყვნენ გამოყო-

ფილი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებად. ზედამხედველობის წესით შემოტანილ საჩივარში მოსარჩელე უთითებდა იმას, რომ აქტის შედგენაში მონაწილე საქონელმცოდნე არ არის მატერიალურად პასუხისმგებელი პირი და ამიტომ მისი მონაწილეობა აქტის შედგენაში სწორია.

წამოჭრილ დავასთან დაკავშირებით გაეგზავნა შეკითხვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს, რომელმაც 1966 წლის 28 თებერვლის წერილით განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელმცოდნე არ არის დაკავშირებული მატერიალური ფასეულობების აღრიცხვასთან, ის შეიძლება გამოყოფილი იქნეს როგორც მიმღები ორგანიზაციის საზოგადოებრიობის წარმომადგენელი.

4. საქონლის დანაკლისზე შედგენილი ორმხრივი აქტიც სავალდებულოა დამტკიცებული იქნეს მიმღები ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ.

საქონლისა და პროდუქციის რაოდენობრივი მიღების შესახებ ინსტრუქციის 26-ე მუხლის შეფარდებასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი, საჭიროა თუ არა მიმღები ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ ისეთი აქტის დამტკიცება, რომლის შედგენაში მონაწილეობს მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი და ადას-

ტურებს დანაკლისის ფაქტს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა იმავე № ი-2/-წერილით განმარტა, რომ ინსტრუქცია არ ითვალისწინებს არავითარ გამონაკლისს მიმწოდებლის მონაწილეობით შედგენილი აქტებისათვის.

5. ინსტრუქცია ტექნიკურად გაუმართავ კონვენერით გადაზიდვის შედეგად ტვირთის გაფუჭებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, ძალაშია რკინიგზის ახალი წესდების დამტკიცების შემდეგაც.

ერევის სპეცვაჭრობის № 102 მაღაზიამ მიიღო ქ. თბილისიდან ერთი კონტეინერი შეკერილი მზანაწარმი. ვახსნის დროს ნაწარმი აღმოჩნდა დასველებული, რის გამოც მან დაჰკარგა სასაქონლო სახე. სარჩელი აღიძრა საქონლის მიმწოდებელ თბილტანსაცმელვაჭრობისა და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მიმართ. მოსარჩელე ეძიებდა ჯარიმას და აგრეთვე ითხოვდა, რათა მიმწოდებელს განეკარგა დაწუნებული საქონელი. მიმწოდებელმა, თავის მხრივ, აღძრა შემხვედრი სარჩელი სადაო საქონლის ღირებულების ანაზღაურებაზე, ვინაიდან მყიდველმა უარი განაცხადა მისი ანგარიშის აქცეპტზე.

სტრუქციულ მითითებას.

ზედამხედველობის წესით საქმის გარჩევის დროს წამოიჭრა საკითხი ძალაშია თუ არა ამჟამად ეს ინსტრუქციული მითითება, იმასთან დაკავშირებით, რომ 1964 წლის ოქტომბრიდან მოქმედებს რკინიგზის ახალი წესდება დამტკიცებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 აპრილის № 270 დადგენილებით.

საქმეში წარმოდგენილი ტექნიკური და კომერციული აქტებით დადგინდა, რომ ტვირთი დასველდა გზაში კონტეინერის დეფექტურობის გამო; ვინაიდან კონტეინერს აღმოაჩნდა როგორც ფარული, ისე აშკარა დეფექტები, არბიტრმა იცნო საქონლის გამოგზავნის და რკინიგზის სოლიდარული პასუხისმგებლობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა № ი-2 იანვრის წერილით განმარტა, რომ ნაჩვენები № ი-1-34 ინსტრუქციული მითითება რჩება ძალაში.

მომჩივანს განემარტა, რომ ზემოთმოყვანილი ინსტრუქციის მიხედვით-ის ფაქტი, რომ კონტეინერის ერთერთი დადგენილი დეფექტი ატარებდა აშკარა ხასიათს, აკისრებს მას, როგორც საქონლის გამოგზავნის პასუხისმგებლობას ტვირთია არა სათანადო კონტეინერში ჩატვირთვისათვის, ამავე დროს, მასვე მიეთითა იმაზე, რომ რკინიგზის წესდების 46-ე მუხლის ძალით, კონტეინერის ვარგისიანობის განსაზღვრა კომერციული თვალსაზრისით ეკისრება საქონლის გამგზავნს და არა რკინიგზას.

არბიტრაჟის გადაწყვეტილება ამ ნაწილში ემყარებოდა 1960 წლის 29 იანვრის № ი-1-34 ინ-

6. არბიტრაჟმა არ გაიზიარა მხარეების შეთანხმება არა სათანადო ხარისხის საქონლის გამომშვები ორგანიზაციის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებაზე.

ტრესტი შასტანტრაციტის მუშათა მომარაგების განყოფილების არტემოვსკის განყოფილებაში აღძრა სარჩელი თბილისის უქსოვადი საფეიქრო ქსოვილების და ნაწარმის ფაბრიკის მიმართ არა სათანადო ხარისხის საქონლის ღირებულებისა და ჯარიმის გადახდევინებაზე. სარჩელი დამყარებული იყო სასაქონლო ექსპერტიზის აქტზე, რომელიც შედგა ქ. შასტში.

საქმის არბიტრაჟში გარჩევის დროს მოპასუხემ წარმოადგინა დამატებითი შეთანხმება, ხელმოწერილი ორივე მხარის წარმომადგენლის მიერ, რომლითაც მოდავე მხარეები შეთანხმდნენ

არბიტრაჟიდან საქმის გაწვევაზე იმ პირობით, რომ ფაბრიკა მიწოდებს მუშათა მომარაგების განყოფილებას გარკვეული რაოდენობის პროდუქციას და მისი ღირებულებით დაფარავს წუნდებული საქონლის ღირებულებას.

არბიტრაჟმა მხარეების ეს შეთანხმება უარყო, როგორც კანონსაწინააღმდეგო, ვინაიდან საქმის მასალებით დადასტურებული იყო წუნდებული საქონლის მიწოდების ფაქტი, ხოლო მხარეების შეთანხმება მიმართული წუნის გამომშვები ორგანიზაციის პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებაზე, ბათილია.

საპრეტენზიო თანხის ინკასოს წესით ჩამოწერა ეწინააღმდეგება ანგარიშსწორების დადგენილ წესს

თბილისის საკონდიტრო კომბინატმა ანგარიშის ინკასოზე წარდგენის საშუალებით, ჩამოაწერა საქბაკალების ქუთაისის ბაზის ანგარიშიდან ჯარიმა, რომელიც მისი აზრით უნდა გადახდოდა იმ სავაჭრო ორგანიზაციებს, რომლებმაც თვითნებურად დაუბრუნეს საქბაკალების განრიგით მიწოდებული კაკაოს ფხვნილი. საქბაკალების ქუთაისის ბაზამ აღძრა სარჩელი თბილისის საკონდიტრო კომბინატისა და სავაჭრო ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც კაკაოს ფხვნილი დააბრუნეს. სახელმწიფო არბიტრაჟმა საქმის პირველად გარჩევის დროს არსებითად განიხილა კაკაოს ფხვნილის მიწოდებაზე დაშვებული განრიგების სისწორის საკითხი და ჩათვალა რა რომ განრიგების არა სწორად დამუშავებაში ბრალი მიუძღვის თვით მოსარჩელეს, უარი უთხრა მას სარჩელში.

საქმის ზედამხედველობის წესით განხილვის დროს გამოიკვია, რომ ვანრიგი დაშვებული იყო არა მოსარჩელე ქუთაისის ბაზის, არამედ საქბაკალების რესპუბლიკური ბაზის მიერ და ამიტომ მითითება მოსარჩელის რაიმე ბრალზე სწორი არ იყო. ვარდა ამისა ჯარიმის თანხის ინკასოს წესით გადახდევინება, პირდაპირ ეწინააღმდეგება ანგარიშსწორების დადგენილ წესს, რომლის თანახმად, ინკასო გამოიყენება მხოლოდ სასაქონლო ოპერაციების ჩატარების დროს და არა საპრეტენზიო თანხების ამოღებისათვის და ამიტომ არბიტრაჟს არც უნდა ემსჯელა ეკუთვნოდა თუ არა საკონდიტრო კომბინატს რაიმე ჯარიმა მაძიებლისაგან. ყველა ამის გამო, საქმე დაუბრუნდა სახარბიტროს განმეორებით განხილვისათვის, რის შედეგად სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.

სასამართლო პრაქტიკა

სამოქალაქო სასამართლოს საქმეებზე

1. შემინული აივანი არ ჩაითვლება საცხოვრებელ ფართად და ამიტომ იგი არ შეიძლება გამოეყოს მოსარჩელეს საცხოვრებელი ფართის სახით.

ქეთევან ნიკოლოზის ასულმა ხანიაშვილმა აღძრა სარჩელი ალბერტ ნიკოლოზის ძე ხანიაშვილთან საკოლმეურნეო კომლიდან საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ.

სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლომ 1965 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა და მოსარჩელეს გამოუყო 7 კვ. მ. საცხოვრებელი ფართი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინების შესწორება იმ მხრივ, რომ მოსარჩელე შესახლებული ყოფილიყო საერთო ფართში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 10 იანვრის № 3 დადგენილებით დააკმაყოფილა პროტესტი შემდეგი საფუძვლების გამო:

სადავო ბინაში, რომელშიც კომლის 5 წევრი ცხოვრობს შედგება ერთი 19 კვ. მ. ოთახისა და 13 კვ. მ. შემინული აივნისაგან.

სასამართლომ შემინული აივანი ჩათვალა საცხოვრებელ ფართად და მოსარჩელეს საცხოვრებლად გამოუყო 7 კვ. მ. ფართი აივნიდან, რაც კანონით დაუშვებელია.

აღნიშნულის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა შესწორა სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება და შეასახლა მოსარჩელე საერთო ფართში წილის გამოყოფის გარეშე.

2. მოსარჩელისათვის ბინის ფართის გამოყოფით არ უნდა შეილახოს ბინის დანარჩენ დამქირავებელთა კანონიერი ინტერესები.

მოსარჩელისათვის ფართის გამოყოფისას მისი კუთვნილი წილი უნდა გამოეყოს არა მთელი ბინიდან, არამედ ბინის იმ ნაწილიდან, რომლითაც მოსარჩელე და მოპასუხე ფაქტიურად სარგებლობდნენ.

იზოლდა გიორგის ასულმა გოგლიძემ აღძრა სარჩელი მოპასუხე თ. მ. ხაზარაძე-დოლენჯიშვილთან, რ. მ. დოლენჯიშვილთან და თანამოპასუხე თბილისის ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოსთან ბინის ფართის გამოყოფის შესახებ.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1965 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი და მოსარჩელეს სადავო ბინიდან გამოუყო 11 კვ. მ. საცხოვრებელი ფართი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1965 წლის 17 ნოემბრის განჩინებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ პროტესტი შეიტანა უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების და საქარ-

თველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად სახალხო სასამართლოში დაბრუნების მიზნით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა პროტესტი შემდეგი საფუძვლების გამო:

სადავო ბინის ფართობი სულ არის 31,5 კვ. მ. და შედგება ორი ოთახისაგან. გადაწყვეტილების თანახმად მოსარჩელეს უნდა გამოეყოს 16 კვმ. ოთახიდან 11 კვ. მ. ფართი. ფართის გამოყოფა უნდა მოხდეს ოთახის გადაკეთებით, რის შედეგად ბინის ძირითად დამქირავებლებს თ. ხაზარაძე-დოლენჯიშვილს და რ. დოლენჯიშვილს რჩებათ ორ სულზე 15 კვ. მ. ფართი, რაც უხეშად ლახავს მათ უფლებებს.

გარდა ამისა, დადგენილია, რომ მოსარჩელე ი. გოგლიძე და მოპასუხე რობერტ დოლენჯიშვილი იყვნენ რა ქორწინებაში, ფაქტიურად

ორგზდნენ 15,5 კვ. მ. ფართის ოთახში. ერთმ, სასამართლოს მოსარჩელის უფლება უნდა ეცნო 15,5 კვ. მ. ფართის ოთახზე მოპასუხე რ. დოღენჯიშვილთან ერთად და არა წილებზე ბინის მთელი ფართობიდან.

აღნიშნულის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1966 წ.

10 იანვრის № 60 დადგენილებით გაუქმა თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება და საქმე დააბრუნა სახალხო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის.

მ. როდესაც მუშაკი აღდგენილია სამუშაოზე იმის გამო, რომ მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, მას უნდა აუნაზღაურდეს განაცდური 2 თვის ხელფასი.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1965 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით გენო პაპუნას ასული ძუსოშვილი აღდგენილი იქნა სამუშაოზე სააფთიქო მაღაზია № 4-ში მოლარედ, ოცი დღის ხელფასის ანაზღაურებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1965 წლის 25 მაისის განჩინებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება დატოვებულია უცვლელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ შეატანა პროტესტი უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებაში და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში შესწორების შეტანის მიზნით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა პროტესტი შემდეგი საფუძვლების გამო:

მოსარჩელე აღდგენილია სამუშაოზე იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყდა დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო.

თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 13 სექტემბრის № 13 დადგენილების მე-18-ე პუნქტისა ასეთ შემთხვევაში პირს უნდა აუნაზღაურდეს არა 20 დღის, არამედ 2 თვის განაცდური ხელფასი.

აღნიშნულის გამო, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 10 იანვრის № 8 დადგენილებით შეასწორა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება ამ მხრივ, რომ მოპასუხე ორგანიზაციას დაეკისრა მოსარჩელისათვის 2 თვის განაცდური ხელფასის გადახდევინება.

სისხლის სამართლის საქმეებზე

1. არ შეიძლება საქმის წარმოებით შეწყვეტა იმის გამო, რომ დანაშაულებმა მათ მიერ გატაცებული ქონება ნებაყოფლობით დააბრუნეს. გატაცებული ქონების ნებაყოფლობით დაბრუნება მხოლოდ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა და ის გთვლისწინებული უნდა იქნას სასჯელის განსაზღვრისას.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახელგობის სასამართლომ 1965 წლის 27-29 დეკემბრის განჩინით ტრაპაიძე და მარსაგიშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სსკ 94 მუხ. II ნაწილით და შეუფარდა თითოეულს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ტრაპაიძესა და მარსაგიშვილს მსჯავრი დაედოთ მასში, რომ მუშაობდნენ რა თბილფესსაცმელვაჭრობის“ № 11 მაღაზიაში, დაუკავშირდნენ ერთმანეთს და მიითვისეს 1785 მანეთი. რევიზორების მიერ დანაკლისის გამოვლინებისთანავე ტრაპაიძემ და მარსაგიშვილმა დააბრუნეს მიითვისებული თანხა.

საკასაციო კოლეგიაში მჯავრდებულებმა მო-

ითხოვეს საქმის წარმოებით შეწყვეტა მათ მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების არ არსებობის მოტივით. მათ მოთხოვნას მხარი დაუჭირა პროკურორმა.

კოლეგიამ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა და თავისი 1965 წლის 23 დეკემბრის № 3375 განჩინებით მიუთითა, რომ გატაცებული ქონების ნებაყოფლობითი დაბრუნება არ გომორიცხავს ქმედობის დანაშაულებრივ ხასიათს. ამავე დროს კოლეგიამ საქართველოს სსრ სსკ 38 მუხლის შესაბამისად ეს გარემოება ჩათვალა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ფაქტორებად და მსჯავდებულებს თავისუფლების აღკვეთა შეუცვალა პირობითი მსჯავრით.

2. საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის II ნაწილი მოიცავს დაზარალებულისათვის სხეულის მსუბუქი დაზიანების მიყენებასაც, რის გამოც მამონ, როდესაც ხულიგნობას თან ერთვის დაზარალებულის მსუბუქი დაზიანება, დამნაშავეს ქმედობა უნდა დაკვალიფიციტირდეს არა საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის II ნაწილისა და 112 მუხლის ერთობლიობით, არამედ მხოლოდ საქართველოს სსრ სსკ 228 მუხ. II ნაწილით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1965 წლის 15 დეკემბრის № 697 დადგენილებით შეიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1965 წლის 8 სექტემბრის განჩინება და მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც სალირაშვილი და მამულოვი მსჯავდებული იქნენ საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის II ნაწილით და 112 მუხლის II ნაწილით.

სალირაშვილს და მამულოვს მსჯავრი დაედოთ

მასში, რომ ჩაიდინეს ხულიგნობა, რა დროსაც ერთმანეთს მიაყენეს სხეულის მსუბუქი დაზიანება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო პრეზიდიუმმა შეცვალა განაჩენი და განჩინებდა და მიუთითა, რომ „სალირაშვილსა და მამულოვს არასწორად აქვთ წარდგენილი საქართველოს სსრ სსკ 112 მუხლი, რადგან საქართველოს სსრ სსკ 228 მუხ. II ნაწილი მოიცავს ამ დანაშაულსაც“.

3. ავტოშემთხვევით გამოწვეული სიკვდილი არ შეერაცხვის მძღოლს ბრალად თუ დადგინდა, რომ მომხდარი შედეგის თავიდან აცილება მას არ შეეძლო.

გარდაბნის სახალხო სასამართლოს 1965 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით ბერიძეშვილს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ 241 მუხლის I ნაწილით იმის გამო, რომ იგი მთვრალ მდგომარეობაში მართავდა მანქანას. მის მანქანას გამოეკიდა ივანიშვილი და იმ დროს, როდესაც მას უნდოდა მანქანის საფეხურზე ამტარიყო მარჯვენა მხრიდან, დაუსხლტა ფეხი, მოყვა მანქანის უკანა საბურავების ქვეშ და გარდაიცვალა.

კასატორმა (დაზარალებულის წარმომადგენელმა) მოითხოვა საქმის დამატებით გამოძიე-

ბაზე გადაეცემა ივანიშვილის სიკვდილის ბერიძეშვილისათვის ბრალად დასადებად და ამის შედეგად მისი ქმედობის საქართველოს სსრ სსკ 241 მუხ. I ნაწილიდან ამავე მუხლის III ნაწილზე გადასაკვალიფიციტირებლად.

კოლეგიამ კასატორის მოთხოვნა უარყო და მიუთითა, იმის გამო, რომ ტექნიკური ექსპერტის დასკვნის თანახმად ბერიძეშვილს არ შეეძლო დამდგარი შედეგის თავიდან აცილება, ეს შედეგი არ შეიძლება მას ბრალად დაედოს.

4. თანამდებობის პირის მიერ დაუდევრობით სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის 473 მანეთის ზიანის მიყენება არ ჩაითვლება მნიშვნელოვან ზიანად და ასეთ შემთხვევაში არ არის საქართველოს სსრ სსკ 188 მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობა.

ვანის სახალხო სასამართლოს 1965 წლის 14 ივლისის განაჩენით ხურციძე დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სსრ სსკ 188 მუხლის I ნაწილით და მიესაჯა გამსწორებელი სამუშაო ერთი წლით. ხურციძეს მსჯავრი დაედო მასში, რომ მუშაობდა რა მაიაკოვსკის რაიონის სოფელ სალხინოს მღაზიაში გამგე-გამყიდველად,

შემოწმებისას აღმოაჩნდა ხარისხდაცემული პროდუქტი რომლის ღირებულება 473 მანეთი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ ჩასთვალა 473 მანეთის ზიანი მნიშვნელოვანად და საქმე წარმოებით შეწყვიტა.

6 10/114



ფასი 50 ლა.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 2

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР